ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№022(12701) 29 იანვარი ხუთშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი


# მზად ვართ

## ათგუნდიანი ჩემპიონატისთვის

რამდენით გავაგრძელებთ და რამდენით დავამთავრებთ?

>> 2

## ვიდრე სეზონი განახლდება...

**დინამო:** ფრე რუსებთან

ქართული კლუბების სამზადისი

>> 2-4

**ზესტაფონი:** კრივოი როგი ანთალიასთან გასწორდა

# მჭედლიძე და რომას ხარიხა

ლეგიონი წუხელ

>> 5

იუვენტუსმა ინტერი ისევ წინ გაუშვა



სერია A და პრემიერლიგა >> 6

# სკანდალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ეჭვმიტანილია სექსუალურ ძალადობაში

რობინიოს გასაჭირი >> 10



# წააგო, მაგრამ მაინც ჩემპიონია...

ლომინეიშვილის გამარჯვება

ჭადრაკი >> 12

პროფლიგა

# მზად ვართ ათგუნდიანი ჩემპიონატისთვის

## საპრიზო ფონდი 100 ათასით გაიზრდება

საქართველოს XX ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა 11 გუნდით კი დაიწყო, მაგრამ შესაძლოა, 10-ით გაგრძელდეს. „ბორჯომი“ უფულოდაა და ისე უჭირს, ვერც კი ვარჯიშობს. ჩემპიონატი 7 თებერვალს უნდა განახლდეს, „ბორჯომს“ სახსარი ჯერაც არ უჩანს. ამის გამო, პროფესიული ფეხბურთის ლიგას მივმართეთ და გენმდივან **პაატა ბურჯალიანისგან** ასეთი განმარტება მივიღეთ:

*„თუ სიტუაცია არ შეიცვალა და გუნდის არსებობისთვის საჭირო თანხა არ გამოიძებნა, უმაღლეს ლიგაში კორექტივები მოხდება. ყოველდღე ვუკავშირდებით იმ კლუბებს, რომელთაც ფინანსური პრობლემები აქვთ. ყველაზე მძიმე დღეში „ბორჯომია“, არის იმედი, რომ უკეთესობა იქნება, მაგრამ რა ვუყოთ ვადებს? - თუ თებერვლის პირველი რიცხვებისთვის „ბორჯომში“ სიტუაცია არ გამოსწორდა, შესაბამის გადაწყვეტილებას მივიღებთ. რა თქმა უნდა, შუა სეზონში უმაღლეს ლიგას გუნდს ვერ დავამატებთ, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, პროფლიგა მზად იქნება, 11-ს ნაცვლად 10-გუნდიანი უმაღლესი ლიგა ჩაატაროს“.*

სეზონის წინ კლუბები პროფლიგაში იმის გარანტიას თუ პირობას დებენ, რომ მინიმალური ფინანსური შესაძლებლობები ექნებათ და ტურნირს უპრობლემოდ ჩაამთავრებენ. სერიოზულ საქმეში, ანუ ნამდვილ ბიზნესში, მხოლოდ ერთი ფინანსური გარანტია არსებობს - მაღალი რეპუტაციის მქონე ბანკები. საქართველოში ფეხბურთი, როგორც ბიზნესი, ნაკლებადაა განვითარებული (ვინძლო, ესეც კი საკამათოა) და პროფლიგის მდგომარეობაში შესვლა ძნელი არ უნდა იყოს - ყველაფერს სკურპულოზურად რომ მიჰყვე, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი, ალბათ, ვერც ჩატარდება. მაგრამ როგორ ვუშველოთ პრობლემას? უკვე მერამდენედ ხდება, რომ ამა თუ იმ გუნდს შუა სეზონში ფული შემოაკლდება და... ფულშემოკლებული გუნდი იმითიცაა ცუდი, რომ კორუფციის ალბათობაც იზრდება. მოკლედ, უმაღლეს ლიგაში უფულო გუნდის ადგილი არ არის, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება. პროფლიგაში გვითხრეს - ამ საკითხზე ერთხელაც ვიმსჯელებთო და ვნახოთ, იქნებ, მომავალ სეზონში მაინც ავიცილოთ შუა გზაზე პატრონისგან თუ ფულისგან მიტოვებული გუნდები. სხვათა შორის, ამ სეზონის საწევრო გადასახდი (30 000 ლარი) პროფლიგაში პირველმა „ბორჯომმა“ შეიტანა და ვინ იფიქრებდა, რომ კლუბი ასეთ დღეში ჩავარდებოდა.

გუშინ სალამოს პროფლიგას „ბორჯომიდან“ დაუკავშირდნენ. როგორც ბურჯალიანმა გვითხრა, კლუბმა გამოძებნა საშუალება, რომ სეზონის მეორე ეტაპზეც ითამაშოს - ბორჯომელთა თქმით, გუნდი ვარჯიშს 30 იანვარს დაიწყებს. ცხადია, ამით პრობლემა არ ამოწურულა - ჯერ უნდა გადახტე და „ჰოპლა“ მერე დაიძახო!

პროფლიგა კი აგრძელებს ქართული ფეხბურთის კომერციალიზაციაზე ზრუნვას. მედიაკომპანია „კოლხიდამ“, რომელიც პროფლიგისა და ფეხბურთის ფედერაციის პარტნიორია, წინა სეზონის საპრიზო ფონდისთვის საჭირო თანხა უკვე გაიღო - 200 000 ლარი. XIX ეროვნულ ჩემპიონატის გუნდებზე ეს თანხა ადგილების მიხედვით ასე განაწილდა:

| კლუბი | თანხა |
|---|---|
| 1. დინამო | 40 000 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 30 000 |
| 3. ზესტაფონი | 25 000 |
| 4. ოლიმპი | 22 000 |
| 5. ამერი | 20 000 |
| 6. მესხეთი | 18 000 |
| 7. მგლები | 16 000 |
| 8. ბორჯომი | 12 000 |
| 9. სიონი | 10 000 |
| 10. ლოკომოტივი | 7 000 |

წინა სეზონის უმაღლეს ლიგაში 14 გუნდი მონაწილეობდა. აქედან, 3 („ბათუმი“, „დილა“ და „მერანი“) გავარდა, ხოლო ცხინვალის „სპარტაკმა“ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად პლეიოფი ითამაშა - ამ ოთხ გუნდს საპრიზო ფონდიდან არაფერი ერგო.

„კოლხიდა“ 2008/09-წლების სეზონისთვისაც გაიღებს 200 ათას ლარს საპრიზო ფონდისთვის, რასაც სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ამდენივე თანხა დაემატება. ანუ, ჯამში 400 000 ლარი გროვდება. პროფლიგა აპირებს, რომ ეროვნული ჩემპიონატის საპრიზო ფონდი 300 ათას ლარამდე გაზარდოს, დარჩენილი 100 ათასი კი თასისა და სუპერთასის საპრიზო ფონდს მოახმაროს.

ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ მაინც რამდენი გუნდით ჩაამთავრებს ამ სეზონს უმაღლესი ლიგა? დაველოდოთ თებერვლის პირველ რიცხვებს...

**დავით თავართქილაძე**

დინამო

# ფრე რუსებთან

## ვაწაძემ და აკირემმა ივარჯიშეს

თბილისის „დინამო“ ანთალიის სიახლოვეს გაშენებულ საკურორტო დაბა სიდეში მზადებას განაგრძობს. თავდაპირველად, საქართველოს ჩემპიონს ცუდ ამინდში მოუხდა ვარჯიში - ჯერ იყო და, ევროპულმა გრიგალმა შეაწუხა, მერე გადაუღებელი წვიმები იყო... მოკლედ, **რაინერ ცობელმა** გუნდი თავის გემოზე ვერ ავარჯიშა. მოედნის ნაცვლად, ფეხბურთელებს ფიზიკური კონდიციების აღდგენაზე ზრუნვა ტრენაჟორების დარბაზსა და საცურაო აუზში მოუხდათ.

გამოდარების შემდეგ დინამოელებმა მოედანზე გადაინაცვლეს. ამასობაში, ინდივიდუალურად ივარჯიშეს **მათე ვაწაძემ** და **ჯორჯ აკირემმა**. გუშინ კი საქართველოს ჩემპიონმა პირველი საკონტროლო შეხვედრაც გამართა - „დინამო“ რუსეთის პრემიერლიგის ბოლო გათამაშების მეოთხეადგილოსან პერმის „ამკარს“ დაუზავდა - 0:0.

საინტერესოა რუსული კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაცია. როგორც „ამკარის“ პრესსამსახური გვატყობინებს, **ვიტალი გრიშინსა** და **მიტარ ნოვაკოვიჩს** ორი საგოლე მომენტი ვერ გამოუყენებიათ. მინიმუმ ამდენივე ნაღდი შანსი ჰქონიათ დინამოელებსაც, მაგრამ „ამკარის“ მეკარეთა (მწვრთნელმა ორი გოლკიპერი ათამაშა) სანაქებო თამაშის გამო, ვერაფერს გამხდარან. თავად თამაში კი, უმთავრესად. მოედნის ცენტრში მიმდინარეობდაო...

აღსანიშნავია, რომ „დინამომდე“ პერმელებმა იმავე ანგარიშით ითამაშეს ბელგოროდის „სალუტ-ენერგიასთან“ და უკრაინულ „ვორსკლასთან“, „ფრედ ითამაშეს აზერბაიჯანულ „გაბალასთანაც, ოღონდ - 1:1, მეორებუნდესლიგელ „კიკერსთან“ (ოფენბახი) კი სულაც წააგეს - 0:2.

**მერაბ მამულაშვილი**

საკლუბო ლიცენზირება

პრესკონფერენცია

# ჩიხურას უმაღლეს ლიგაში გადასვლა არ უნდა

## ინგლისურ პრემიერლიგაში ერთ მატჩს იმაზე მეტი მაყურებელი დაესწრო, ვიდრე ჩვენი ერთი გუნდის თამაშს ნახევარ სეზონში

**გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში გამართული პრესკონფერენცია საკლუბო ლიცენზირების თემას შეეხო. მასმედიის წინაშე ფედერაციის საკლუბო ლიცენზირების კომიტეტის ხელმძღვანელი ბაქარ ჟორდანია და მისი თანამშრომლები სრული შემადგენლობით წარდგნენ. ჟორდანიამ პრესკონფერენციაზე არაერთი საგულისხმო რამ ითქვა. მოდი, მივყვეთ თანამიმდევრობით:**



- მსოფლიოს საფეხბურთო ბაზარზე ქვეყნები ორ კატეგორიად - მოთამაშეთა იმპორტიორებად და ექსპორტიორებად იყოფა. ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, საქართველო კიდევ კარგა ხანს იქნება ექსპორტიორი ქვეყანა. საკლუბო ლიცენზირების ერთ-ერთი მთავარი მიზანია ფეხბურთელების აღზრდა. სწორედ ეს უნდა იყოს პრიორიტეტი და არა უცხოელი ლეგიონერების ჩამოყვანა. ესაა სწორედ პრიორიტეტი ფიფასა და უეფასთვის. სხვათა შორის, ბოლო წლებში ფეხბურთელების ექსპორტით „ვიტ ჯორჯიაა“ გამორჩეული. სწორედ ამიტომ, კლუბებმა ფინანსები უცხოეთიდან ლეგიონერების ჩამოყვანაში კი არ უნდა დახარჯონ, არამედ დუბლებსა და ბავშვთა გუნდებს უნდა მოახმარონ მოთამაშეების აღსაზრდელად.

- ასევე, ჩვენი მიზანია, ქართული კლუბების მმართველ სტრუქტურებში განათლებული, პროფესიონალები კადრები მუშაობდნენ და არა ვინმეს ბიძაშვილ-მამიდაშვილი ან ძმაკაცი. კლუბში ფინანსებიც პროფესიონალებმა უნდა მართონ.

- პლუს ამას, კლუბებისთვის აუცილებელია აწყობილი და გამართული ინფრასტრუქტურაც, ფინანსური მდგრადობა. სწორედ ამიტომ შემოვიღეთ უმაღლეს ლიგაში ეგრეთ წოდებული „სამწლიანი წესი“, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს „ერთწლიანი“ გუნდების არსებობას. ეს მექანიზმი დაგვიცავს, რომ აღარ განმეორდეს „მესხეთისა“და „ბორჯომის“ მაგალითი, როცა ფინანსური კრიზისის გამო ეროვნულ ჩემპიონატში ამ გუნდების მონაწილეობას დიდი კითხვის ნიშანი დაესვა. ეს სისტემა ასევე გამორიცხავს გაუგებრობებსა და ფინანსურ ზარალს. გეხსომებათ, „სპარტაკ-ალანია“ რომ გაკოტრდა, ამით ფინანსურად თბილისის „დინამომაც“ იზარალა.

- მოხდა ლიცენზირების კომიტეტის მოდერნიზება. ეს სტრუქტურა ახლა უფრო ეფექტურად მუშაობს. ლიცენზირებისას კლუბებისგან მხოლოდ საჭირო დოკუმენტაციის მიღებით არ ვკმაყოფილდებით. კლუბებთან სემინარების გარდა, ადგილზე ვითარების შესასწავლად ამ კლუბებში 5-8 გასვლა მაინც მოვაწყვეთ.

- ჩვენს ფეხბურთში არასწორად ესმით სპონსორის ცნება. სპონსორია ის, ვინც ფეხბურთში ჩადებული ფულისგან მოგებას არ ელის. თუ მოგებას ელოდები, მაშინ სპონსორი კი არა, მეწილე ხარ. სპონსორებმა კლუბები საკუთარი საქმიანობის რეკლამირებისთვის, ფირმების იმიჯისთვის უნდა გამოიყენონ და უმალ მოგებაზე არ უნდა იფიქრონ. ჯერ ჩვენი ფეხბურთი უნდა ვაქციოთ წარმატებულად და მოგებაზე მხოლოდ მერე შეიძლება ფიქრი.

- ჩვენში კიდევ ერთი რამ ესმით არასწორად. დღეს ჩვენში ხელოვნურსაფრიანი მოედანი პრესტიჟულად მიიჩნევა. არადა, ეს სულაც არ არის საუკეთესო გამოსავალი... გასულ სეზონში უეფას ლიცენზირება თბილისის „დინამომ“, „ვიტ ჯორჯიამ“, „ოლიმპმა“, „ამერმა“, „სიონმა“, „ბორჯომმა“, „ლოკომოტივმა“ და „ზესტაფონმა“ გაიარეს. „ზესტაფონს“ „სამწლიანი წესი“ არ ჰქონდა შესრულებული, მაგრამ უეფას გამონაკლისი ვთხოვეთ და დაგვთანხმდა, ჩრდილოეთ ირლანდიის ერთ-ერთ კლუბს კი მსგავს გამონაკლისზე უარი უთხრა. წელს ეროვნული ჩემპიონატის ლიცენზირებაზე უმაღლესი ლიგის ყველა კლუბმა გამოთქვა სურვილი. თუმცა ძალზე მაკვირვებს პირველლიგელთა საქმე. აღმოსავლეთი ზონიდან მხოლოდ „ამერს“ აქვს მსგავსი სურვილი. სამწუხარო და გაუგებარია საჩხერის „ჩიხურის“ პოზიცია. ეს გუნდი პირველ ადგილზეა, მაგრამ კლუბის მესვეურებს არათუ სურვილი არ აქვთ, რომ უმაღლეს ლიგაში ასპარეზობისთვის ლიცენზირების პროცედურა გაიარონ, არამედ, წერილიც კი მოგვწერეს - არ გვინდაო. თუ „ჩიხურას“ ან რომელიმე კლუბს ჰგონია, რომ უმაღლესში გადასასვლელ საგზურს მოიპოვებს და მერე მას სხვა კლუბზე გაყიდის, ძალიან ცდება. თუ უმაღლესში გადამსვლელ კლუბს არ ექნება ეროვნული პირველობის ლიცენზია, მაშინ მის ადგილს ის მომდევნო გუნდი დაიკავებს, რომელსაც ეს ლიცენზია აღებული ექნება. დასავლეთ ზონაში უკეთესი მდგომარეობაა. ერთბაშად 5 კლუბს სურს ეროვნული ჩემპიონატის ლიცენზიის მოპოვება - „სამტრედიას“, ზუგდიდის „ბაიას“, „ბათუმს“, მარტვილის „მერანსა“ და ქუთაისის „ტორპედო 2008-ს“. ფოთის „კოლხეთში“, „ჭიათურაში“, ხობის „კოლხეთში“, „ჰერეთსა“ და „ნორჩ დინამოელში“ ლიცენზირებაზე ან არავინ მუშაობს, ან ვერაფრით გავაგებინეთ ამ სისტემის არსი და მიზანი. 2010/11 წლების სეზონში პირველ ლიგაშიც აუცილებელი იქნება ეროვნული ჩემპიონატის ლიცენზიის მოპოვება. რა თქმა უნდა, უმაღლეს ლიგასთან შედარებით პირობები შემსუბუქებული იქნება, მაგრამ ამ სისტემის დანერგვა აუცილებელია.

- რაც შეეხება სტადიონების ლიცენზირებას. აქამდე, უეფას ლიცენზია მხოლოდ ბორის პაიჭაძისა და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონებს ჰქონდათ. მათ კიდევ ორი - „ზესტაფონისა“ და რუსთავის „ფოლადის“ სტადიონები დაემატა. ეროვნული ჩემპიონატის ლიცენზია კი უმაღლესი ლიგის 9 სტადიონს აქვს.

- ხშირად წამიკითხავს, კლუბების მესვეურები პრესაში აცხადებენ - 10, 15, 20-ათასიანი სტადიონები უნდა ავაშენოთო. სტადიონებზე მაყურებელთა დასწრების მაჩვენებელი აშკარად დაბალია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ეტაპზე ჩვენში ამხელა ტევადობის არენების აშენების არანაირი საჭიროება არ არის. ჯობია, ეს ფული კლუბებმა ახალგაზრდა ფეხბურთელების ჩამოყალიბებასა და ბავშვთა გუნდებს მოახმარონ. ვნახოთ, როგორია ჩვენს სტადიონებზე დასწრების მაჩვენებელი: ნახევარი სეზონის განმავლობაში, ამ მხრივ ყველაზე კარგი ჯამური მაჩვენებელი „ზესტაფონის“ არენაზეა - 24 450 მაყურებელი, მეორეზე „მგლების“ საშინაო სტადიონია - 19 300. ამ დროს კი ინგლისურ პრემიერლიგაში „ჰალი“-“არსენალის“ მატჩს 25 ათასი ქომაგი დაესწრო. ყველაზე დაბალი მაჩვენებელია „ლოკომოტივისა“ და „სპარტაკის“ არენებზე. მიმდინარე სეზონში ყველაზე მაღალი დასწრება „ზესტაფონისა“ და „მგლების“ საშინაო მატჩზე იყო - შესაბამისად, 5 000 და 3 500.

- ლიცენზირების თემაზე რამდენიმე სემინარი გაიმართა უცხოეთში. შემოსავლების მიხედვით, საქართველო ბოლო, მეოთხე კატეგორიის ქვეყნებს შორისაა. ტალინის სემინარზე სწორედ ამ კატეგორიის ფედერაციები იყვნენ წარმოდგენილნი. ჩემი კოლეგები იყვნენ სან-მარინოდან, ლიხტენშტაინიდან, მოლდოვიდან, სომხეთიდან, კვიპროსიდან, უელსიდან, ჩრდილოეთ ირლანდიიდან, ფარერებიდან, ალბანეთიდან და... ჩვენ ამ ქვეყნებს შორის ყველაზე შემოსავლიანად გვცნეს...

**დავით ცაბაძე**

ავტორის ფოტო

ლეგიონერი

# ყენიას გასაჭირი

გერმანიის თასის მერვედფინალში გელზენკირხენის „შალკემ“ იენის „კარლ ცაისს“ 4:1 რომ მოუგო, **ლევან კობიაშვილმა** შეცვლაზე ითამაშა, **ლევან ყენია** კი საერთოდ არ ყოფილა „შალკეს“ სამატჩო განაცხადში. ცხადია, დავინტერესდით, რა იყო ამის მიზეზი და ყენიას გელზენკირხენში დავუკავშირდით.

„ბოლო ორი კვირაა, არ მივარჯიშია. ფეხის ზედა კუნთი მაქვს დაჭიმული, ტრავმა შუასასეზონო შეკრების დროს მივიღე, რასაც დიდ დატვირთვებს ვაბრალებ. ამ წამდე, ფაქტობრივად, 3 თვე გამიცდა დაშავებული კოჭის გამო და ამხელა პაუზის შემდეგ უცებ დიდ დატვირთვებზე გადავედი. თუ ყველაფერი კარგად იქნა, ორშაბათს გუნდთან ერთად დავიწყებ ვარჯიშს“, - გვითხრა ყენიამ, ვინც საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელიცაა და 11 თებერვალს ირლანდიასთან მატჩისთვის მისი სრული მზადყოფნა საჭიროა.

**დავით თავართქილაძე**



ლევან ყენია

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკონტროლო მატჩები



ავტორის ფოტო

# ოლიმპი უკეთესი იყო, მაგრამ...

## ხუბუა რუსთავში დაბრუნდა. სიმურგის ქართული კვარტეტი შეიძლება სექსტეტად იქცეს

**ოლიმპი-სიმურგი 0:0**

ოლიმპი: ალავიძე, გ. ონიანი, აკუასაგა, მაჭავარიანი, ჩიკვილაძე, სეთურიძე, დობროვოლსკი, ბაბუნაშვილი, ხიგუა, გ. ჩხეტიანი, მეგრელაძე.

*მეორე ტაიმში შევიდნენ: დეკანოსიძე, მიკუჩაძე, უგრეხელიძე, მიქაბერიძე, კაკულია.*

გაძევება: მეგრელაძე (70)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

მოგეხსენებათ, აზერბაიჯანული „სიმურგი" მოსამზადებელ შეკრებას საქართველოში გადის. გუშინ ზაქათალელებს, რომლებმაც პირველ შეხვედრაში „ნორჩი დინამოელი" 3:0 დაამარცხეს (საბოლოო ანგარიში პენალტით **დავით ბოლქვაძემ** დააფიქსირა), რუსთავის „ოლიმპი" გაეჯიბრა. ამხანაგური შეხვედრა, რომელიც „მერანის" სტადიონზე ჩატარდა, უგოლო ფრით მორჩა.

საერთო ჯამში **ვარლამ კილასონიას** გუნდი გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, მაგრამ... ეგ იყო, ბურთი ჯიუტად არ შედიოდა კარში. არადა, რუსთაველებს არაერთი საგოლე მომენტი ჰქონდათ. ორი შანსი **თენგიზ ჩიკვილაძეს** მიეცა - პირველ შემთხვევაში ხელსაყრელი პოზიციიდან კარში გვარიანად ვერ დაარტყა, მერე კი აზერბაიჯანელთა მეკარემ რთული ბურთი მოიგერია. ამის შემდეგ **გია მეგრელაძემაც** სცადა გატანა, მაგრამ მისი სახიფათო დარტყმა კარს მცირე მანძილით ასცდა.

აქტიურობდა **კოკა მიკუჩაძეც**, მაგრამ უშედეგოდ. მეგრელაძე ვახსენეთ და, იმასაც დავძენთ, რომ 70-ე წუთზე არბიტრმა **მალხაზ ბეუქლიშვილმა** ლაინსმენთან კამათის გამო ის მოედნიდან გააძევა. რუსთაველთა გუნდში ერთი სიახლე იყო - აზერბაიჯანში ტესტირებაზე მყოფი ნახევარმცველი **გელა ხუბუა** დაბრუნდა და გუშინ ორივე ტაიმი ითამაშა. „სტანდარდიდან" დაბრუნებულ მეკარე **მიხეილ ალავიძეზე** კი ადრე გაცნობეთ.

ახლა „სიმურგზეც" ვთქვათ. ზაქათალელთა გუნდში ოთხიდან მხოლოდ სამმა ქართველმა ლეგიონერმა ითამაშა. **დავით ბოლქვაძემ** პირველი 45 წუთი დაჰყო მოედანზე. ნახევარმცველმა **კახა ჩხეტიანმა** და მცველმა **მიხეილ მახვილაძემ** კი სრულად ითამაშეს. „სიმურგში" ქართული კვარტეტი წამყვანია. ამ ოთხეულს, მცირე ტრავმის გამო, გუშინ **ირაკლი დოლიძე** გამოაკლდა. გაცნობებთ იმასაც, რომ „სიმურგში" კიდევ ორი ქართველი ფეხბურთელია ტესტირებაზე - ჭაბუკიანის „პერეთის" 23 წლის ნახევარმცველი **შალვა ლობჟანიძე** და 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდის 19 წლის შუახაზელი **ბექა ახალბედაშვილ**, რომელთაც „სიმურგის" თავკაცი **რომან პაკორა** აკვირდება და საბოლოო გადაწყვეტილებას თებერვალში მიიღებს.

„ოლიმპი" და „სიმურგი" კიდევ ერთ ამხანაგურ მატჩს გამართავენ. ისინი ერთმანეთს 30 იანვარს, სპორტკომპლექს „ოლიმპიკში" გაეჯიბრებიან.

**დავით ცაბაძე**

# ისევ დავითაშვილი და მუჯირი

**სიონი-ბათუმი 2:0**

1:0 ი. შენგელია (25. ს. დავითაშვილის პასით), 2:0 რუსეიშვილი (60. ჯ. მუჯირის პასით)

სიონი: ჭანტურია, ორბელაძე, სვანიძე, დიდავა, ჯ. მუჯირი, შალამბერიძე, ზ. ჭელიძე, ხიდეშელი, ი. შენგელია, დავითაშვილი, რ. გოცირიძე.

*შეცვლაზე შევიდნენ: ბობლიაშვილი, ნაყოფია, ქემოკლიძე, შავგულიძე, ალადაშვილი, უგულავა, ბაჯელიძე, სანიკიძე, რუსეიშვილი, ბობოხიძე.*

„სიონი" ზღვისპირეთში მოსამზადებელ შეკრებას განაგრძობს. გუშინ **ოთარ კორღალიძის** გუნდმა მორიგი საკონტროლო შეხვედრა გამართა. ქვემოქართლელები ქობულეთში „ბათუმს" შეხვდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლნისელებმა პირველლიგელი მეტოქე აშკარად დაჯაბნეს - თითო ტაიმში მშვიდად გაუტანეს თითო გოლი. ჯერ იყო და, **სულიკო დავითაშვილის** გამჭოლი პასი **ირაკლი შენგელიამ** ზუსტი დარტყმით დააფასა, მეორე ნახევარში კი **ჯაბა მუჯირის** მიერ საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ბოლნისელთა ახალგაზრდა ფორვარდმა **გიორგი რუსეიშვილმა** აქცია გოლად. ისე გამოვიდა, რომ წინა საკონტროლო მატჩში (რომელშიც „სიონმა" ცხინვალის „სპარტაკს" 2:1 მოუგო) გოლების ავტორებმა, დავითაშვილმა და მუჯირმა, ამჯერად საგოლე პასები გაიფორმეს.

კორღალიძის შეგირდებს უფრო დიდი ანგარიშითაც შეეძლოთ მოგება, მაგრამ უამრავი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს. იმავე რუსეიშვილს არაფერი უშლიდა ხელს, დუბლი გაეხერხებინა, მაგრამ მის დარტყმულზე ბათუმელები ძელმა იხსნა. ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა ჰქონდა **მიხეილ ბობოხიძესაც**, მაგრამ მასაც უმტყუნა მიზანმა.

„სიონს" მომდევნო ტესტმატჩი დღეს, 29 იანვარს, ქობულეთში ფოთის „კოლხეთთან" უწევს.

**დავით ცაბაძე**

# ქართული მიდი-მოდი

| გუნდი | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება, საკონტროლო მატჩები |
|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია<br>რამაზ მუმლაძე | | მგელაძე (გაგრა) | 8 იანვრიდან - თბილისში<br>18 იანვრიდან - ანთალიაში<br>ვიტ ჯორჯია-ტობოლი 0:3 |
| დინამო<br>რაინერ ცობელი | ოდიკაძე (დიორი, უნგრეთი), შ. გრიგალაშვილი (ზესტაფონი), ელიავა (იჯარა დაუმთავრდა), ინწკირველი (ქარვანი) | კოშკაძე (სიონი), ლომია (მგლები), ქავთარაძე (ბორჯომი, იჯარა დაუმთავრდა), ტომიჩი (ჩერნოგორია), ჩარასი (არგენტინა) | 10 იანვრიდან - თბილისში<br>დინამო-სპარტაკი 1:0<br>23 იანვრიდან - ანთალიაში<br>დინამო-ბათუმი 4:0<br>დინამო-ამკარი (რუსეთი) 0:0 |
| ოლიმპი<br>ვარლამ კილასონია | მერლანი (?), კ. ალადაშვილი (სიონი), ფიფია (?) | რეხვიაშვილი (მგლები, იჯარა დაუმთავრდა), ხუბუა (სიონი, იჯარა დაუმთავრდა), მიქაბერიძე (მგლები, იჯარა დაუმთავრდა), მ. ალავიძე (სტანდარდი, აზერბაიჯანი), ვ. უგრეხელიძე (სიონი), კაკულია (ნ/დინამო) | 10 იანვრიდან - რუსთავში<br>ოლიმპი-ნ/დინამო 6:0<br>ოლიმპი-დილა 1:0<br>ოლიმპი-სიმურგი 0:0 |
| ზესტაფონი<br>გია გეგუჩაძე | რ. ონიანი (მგლები), ლომაშვილი (?), ბოიომო (?), **ბ. გოცირიძე (დნიპრო, უკრაინა)** ჭანტურია (სიონი) | **ლ. მელქაძე (უგუნდოდ), მამალაძე (მგლები), კაჭკაჭიშვილი (დინამო 2), მ. კაკალაძე (სამტრედია),** ნინამძღვრიშვილი, ელბაქიძე, ჩიმაკაძე (სამივე - ამერი), ტეტუნაშვილი (გაგრა) | **5 იანვრიდან - ზესტაფონში<br>18 იანვრიდან - თურქეთში<br>ზესტაფონი-ვორსკლა 2:1<br>ზესტაფონი-ზარია 0:5<br>ზესტაფონი-ყუბანი 0:0<br>ზესტაფონი-კრივბასი 3:2** |
| სიონი<br>ოთარ კორღალიძე | ს. იაშვილი (იჯარა დაუმთავრდა, ანჟი, რუსეთი), **კოშკაძე (დინამო)**, ჩივაძე, ქურასბედიანი, ოქროპირიძე, შ. ჯიქია (ყველა სპარტაკი), ბ. ნოზაძე (მგლები), ქვაჩახია (?), ხუბუა (იჯარა დაუმთავრდა, ოლიმპი) | ი. ვაშაკიძე (მარტვილი), ხიდეშელი, შალამბერიძე, (ორივე სპარტაკი), ჯ. მუჯირი (ირანი), კ. ალადაშვილი (ოლიმპი), ორბელაძე (დაჩია, მოლდოვა), რუსიეშვილი (ზოოვეტი), ბობოხიძე (უგუნდო), ჭანტურია (ზესტაფონი) | **5 იანვრიდან - თბილისში<br>სიონი-IBSU 2:1<br>მგლები-სიონი 1:0<br>სიონი-ბათუმი 0:0<br>სიონი-სპარტაკი 2:1** |
| ლოკომოტივი<br>გიორგი კიკნაძე.<br>ზაზა ზამთარაძე | სარალიძე (?), **ალექსიძე (დიორ ეტო), დარასელია (კარიერა დაასრულა)**, ბათიაშვილი, ზ.ჩხეტიანი (ორივე მესხეთი), ფარულავა (?), კახელიშვილი (?) | ქუცურუა (მგლები, იჯარა დაუმთავრდა), ი. კიკნაძე (ბორჯომი) | 11 იანვრიდან - თბილისში |
| მგლები<br>ბესიკ შეროზია | **ლომია (დინამო), მამალაძე (ზესტაფონი)**, ქუცურუა (ლოკომოტივი, იჯარა დაუმთავრდა), დარსანია (?), გრიგოროვიჩი (?), რეხვიაშვილი, მიქაბერიძე (ოლიმპი, იჯარა დაუსრულდათ), ომელიანოვი (?) | **რ. ონიანი (ზესტაფონი), ბ. ნოზაძე (სიონი), სომხიშვილი (მესხეთი), რაქვიაშვილი (მესხეთი)**, ბაკარანძე (კოლხეთი), დ. ქირია (ბუხარა, უზბეკეთი), მალიჩავა (უგუნდოდ), ინჯგია (უგუნდოდ), გ. ჭედია (ტორპედო, ბელარუსი) | 8 იანვრიდან - ზუგდიდში<br>15 იანვრიდან - ჩაქვში<br>მგლები-სიონი 1:0 |
| მესხეთი<br>კობა თედიაშვილი | **გაგუა (კარიერა დაასრულა)**, გ. კვახაძე (სპარტაკი), **სომხიშვილი (მგლები), გრიგალაშვილი (ზესტაფონი), რაქვიაშვილი (მგლები)**, ლეკიშვილი (სიონი), ლ. მერებაშვილი (?), ახალაია (?) | ბათიაშვილი, ზ. ჩხეტიანი (ორივე ლოკომოტივი), ნ. ვაშაკიძე, ვ. ხორგუაშვილი, პ. ხორგუაშვილი (სამივე ბორჯომი) | 28 იანვრიდან - ბორჯომში |
| გაგრა<br>ვლადიმერ ხაჩიძე | **მგელაძე (ვიტ ჯორჯია)**, მეტრეველი (სპარტაკი), ტეტუნაშვილი (ზესტაფონი) | ბ. ცხადაძე (სტანდარდი, აზერბაიჯანი), კუპრეიშვილი (სპარტაკი), კოზლენკო (უკრაინა) | **9 იანვრიდან - ზესტაფონში<br>15 იანვრიდან - ანთალიაში<br>გაგრა-მეტალურგსი (ლატვია) 0:0<br>გაგრა-აპოლონია (ალბანეთი) 5:2<br>გაგრა-ზაგრები (ხორვატია) 0:3<br>გაგრა-კაისარაი (ყაზახეთი) 2:1** |
| ბორჯომი<br>გიორგი სუხიაშვილი | ქარქუზაშვილი, ავალიანი (ორივე სპარტაკი), შეყრილაძე (?), ქავთარაძე (დინამო, იჯარა დაუმთავრდა), კიკნაძე (?), **ლაცაბიძე (კარიერა დაასრულა)**, ლ. ვაშაკიძე, ვ. ხორგუაშვილი, პ. ხორგუაშვილი (სამივე მესხეთი) | | |
| სპარტაკი<br>სერგო გაბელაია | ხიდეშელი, შალამბერიძე (ორივე სიონი), მ. ღონღაძე (?), თექთურმანიძე (?), თარხნიშვილი (?), კუპრეიშვილი (გაგრა), ქვილითაია (?) | ჩივაძე, შ. ჯიქია, ოქროპირიძე, ქურასბედიანი (ოთხივე სიონი), მეტრეველი (გაგრა), გ. თურმანიძე (სამტრედია), ქარქუზაშვილი, ავალიანი (ორივე ბორჯომი), გ. კვახაძე (მესხეთი), მგალობლიშვილი (ჩიხურა), კოდალაევი (მერანი), შერაზადიშვილი, ჯანელიძე, ტლაშაძე | **დინამო-სპარტაკი 1:0<br>20 იანვრიდან - ქობულეთში<br>სპარტაკი-სამტრედია 4:2<br>სპარტაკი-სიონი 1:2<br>სპარტაკი-კოლხეთი 2:0** |

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგლები

# დარჩება ჭედია?

## ჩხუბი შერიგებით დასრულდა

ბოლნისის „სიონსა" და ზუგდიდის „მგლების" მოთამაშეებს ერთმანეთთან არა მარტო სპორტული, არამედ პირადი ურთიერთობებიც ჰქონდათ გასარკვევი. საქართველოს ჩემპიონატის პირველ წრეში „სიონი" „მგლებს" შინ მასპინძლობდა. ის მატჩი ბოლნისში 2:2 დასრულდა, მაგრამ მოედანზე ისეთი ჩხუბი ატყდა, დედა შვილს არ აიყვანდა.

24 იანვარს ამ დაპირისპირებამ კიდევ ერთხელ ამოხეთქა, ამჯერად - ურეკში. აქ „სიონისა" და „მგლების" ტესტმატჩი გაიმართა. ზუგდიდელებმა 1:0 მოიგეს. მატჩის მიწურულს, **გიორგი ჭედიასა და ლევან სანიკიძის** ორთაბრძოლას კინაღამ მორიგი ჯგუფური ჩხუბი მოჰყვა. საბედნიეროდ, ამ ორთაბრძოლას უკვე სხვა გაგრძელება ჰქონდა.

„თამაში ნორმალურად მიდიოდა, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე... მეორე ტაიმში მოხდა პატარა ინციდენტი. ისეთი არა, როგორიც „ბოლნისში", საჩემპიონატო შეხვედრის დროს... სერიოზული არაფერი ყოფილა, მაგრამ მაინც სიფრთხილე გამოვიჩინე - მოედანზე შევედი და ორივე მხარეს დაწყნარება საკმაოდ ემოციურად ვთხოვე... ბოლოს და ბოლოს, ქართველები ვართ და ერთმანეთში მეტი სიყვარული და დათმობა გვმართებს. ეტყობა, ბოლნისური ინციდენტის შემდეგ მოთამაშეებს წყენა ჰქონდათ დარჩენილი. საბედნიეროდ, ბიჭები დაწყნარდნენ, მატჩის ბოლოს კი ერთმანეთს ხელიც ჩამოართვეს და შერიგდნენ კიდეც. ეს ძალიან გამიხარდა, რადგან ზუგდიდი, თბილისი და ბოლნისი ერთნაირად უნდა გვიყვარდეს. ბოლოს და ბოლოს, ბოლნისში მეგობრები მყავს, ჩვენს ჩემპიონატს კი „ეროვნული" ტყუილად არ ჰქვია. საბედნიეროდ, ჩხუბი და უსიამოვნება წარსულს ჩავაბარეთ", - გვითხრა „მგლების" მთავარმა მწვრთნელმა ბესიკ შეროზიამ.

ზუგდიდელთა მწვრთნელი თამაშის ხარისხითაც კმაყოფილია, თუმცა ურეკში ბევრ საკონტროლო შეხვედრას არ გეგმავს. „დროის სიმცირის გამო, მოსამზადებელ ეტაპზე ბევრ ტესტმატჩს ვერც ჩავატარებთ. ახლა მთავარი ყურადღება გადავიტანეთ მოთამაშეთა სისწრაფის, ძალის, ფუნქციური მომზადების გაძლიერებაზე, კოორდინაციასა და სწრაფ აზროვნებაზე. მხოლოდ ერთი საკონტროლო შეხვედრა ჩავატარეთ - „სიონთან", შემდეგ კი ორმხრივი შეხვედრა გავმართეთ, რომელიც 3:3 დასრულდა. ეს უფრო ტაქტიკური ვარჯიში იყო, თამაშს ხშირად ვაჩერებდი და შეცდომებზე ვუთითებდი... ტაიმები კი 35-წუთიანი გვქონდა. 29 იანვარს „სამტრედიას" ვესტუმრებით და საკონტროლო მატჩს ჩავატარებთ. ეს იქნება შეკრების ბოლო სპარინგი. ჩემპიონატის განახლებამდე დარჩენილ დროში ტაქტიკურ ვარჯიშებს ვგეგმავთ. სიმართლე გითხრათ, ამას ფსიქოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებითაც ვაკეთებ - ბიჭებს უნდა „მოშივდეთ" ფეხბურთი, თუ შეიძლება ასე ითქვას", - ამბობს შეროზია.

რაც შეეხება ცვლილებებს, ამ მხრივ რამდენიმე საკითხი გვქონდა გასარკვევი. ზუგდიდელებთან ვარჯიშობს თავდამსხმელი **პაატა ბაკარაძე**, რომლის გადაბირების სურვილიც ახალციხის „მესხეთს" გაუჩნდა. ამას გარდა, გასარკვევი იყო ყოფილის „ტორპედოს" თავდამსხმელ **გიორგი ჭედიას** საკითხი.

„ჭედიასთან დაკავშირებით სიტუაცია გაურკვეველია. ის ჩვენთან ვარჯიშობს და დარჩენის სურვილიც აქვს. თავიდან, ბელარუსებს მისი იჯარით დათმობა არ სურდათ, მაგრამ ვითარება შეიცვალა და როგორც გვითხრეს, არ არის გამორიცხული, ნახევარი წრით დაგვითმონ. ეს საკითხი ორ-სამ დღეში გადაწყდება და იმედი მაქვს, გიორგის დატოვებას მოვახერხებთ. ბაკარაძის გაშვებას კი არ ვაპირებთ, ის ჩვენთან რჩება. ნელ-ნელა ფორმას იბრუნებს ირაკლი მალიჩავა. „ლოკომოტივიდან" წასვლის შემდეგ, მას ფეხბურთი არ უთამაშია, თუმცა ამ ერთწლიანი ჩავარდნის ალმოფხვრის იმედი გვაქვს. ნიჭიერი ბიჭია და არ მინდა, რომ დაიკარგოს. სიახლეა გიორგი გულორდავას დამატებაც. ის თავიდან ჩვენთან არ ემზადებოდა და საერთოდაც, ჩვენგან წასული მეგონა. გიორგი თბილისის „ლოკომოტივის" კუთვნილება იყო. თუმცა საბოლოოდ შეთანხმება მოხერხდა და, სავარაუდოდ, მასთან წლინახევრიან კონტრაქტს გავაფორმებთ. უზბეკეთიდან დავით ქირიას ჩამოსვლა ხალხისთვის უკვე ცნობილია. მიხარია, რომ ის იმედებს მიმართლებს. ქირია გუნდისთვის საჭირო მოთამაშეა", - დარწმუნებულია „მგლების" მწვრთნელი.


ბესიკ შეროზია

გარდა ზემოთ დასახელებულებისა, „მგლებში" რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშის დაწინაურებაცაა მოსალოდნელი - ფლანგის ნახევარმცველმა **დავით ჯანაშიამ** შარშან გუნდში უკვე ითამაშა. ამას გარდა, „ნორჩი დინამოელიდან" აიყვანეს ცენტრალური მცველი, 19 წლის **დავით ხარჩილავა**. რაც შეეხება თავდასხმას, შეროზია იმედოვნებს, რომ ამ რგოლში „მგლებს" წალენჯიხის „სქურის" ფორვარდი, თბილისის „ოლიმპის" გაზრდილი **გიორგი გოგიბერაძე** შეეშველება.

**მერაბ მამულაშვილი**

ვიტ ჯორჯია

# სპორტული გადაიდო

ანთალიაში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფ „ვიტ ჯორჯიას" გუშინ კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი უნდა ჩაეტარებინა. სპარინგპარტნიორიც შერჩეულ-შეგულებული იყო - რუმინეთის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე „სპორტული", მაგრამ... როგორც „ვეტერინართა" პრესატაშე **დავით ერაძემ** გვაცნობა, ძლიერი წვიმისა და ქარიშხლის გამო, მეტოქეები შეთანხმდნენ, რომ მატჩი გადადებულიყო. თამაში დღეს გაიმართება. „ვიტ ჯორჯია" „სპორტულს" თბილისის დროით 16 საათზე დაუპირისპირდება.

**დავით ცაბაძე**

ზესტაფონი

# კრივორი როგი ანთალიასთან გასწორდა


გია გეგუჩაძე

ანთალიასთან ახლოს, სიდეში, „ზესტაფონი" შუასასეზონო შეკრებას აგრძელებს. გუშინ ფეროელებმა მორიგი საკონტროლო მატჩი ითამაშეს და უკრაინის უმაღლესი ლიგის ბინადარ „კრივბასს" 3:2 მოუგეს. პირველი გოლი კრივოიროგელებმა გაიტანეს, **ბესიკ ჩიმაკაძემ** მე-20 წუთზე გაათანაბრა, შვიდ წუთში **გიორგი ჭელიძემაც** იყოჩაღა, ხოლო 43-ე წუთზე **გიორგი კვესიაშვილმაც** - მოკლედ, პირველი ტაიმი იმერლებმა 3:1 მოიგეს, უკრაინელებმა კი მეორე გოლი შესვენების შემდეგ გაიტანეს.

„ზესტაფონმა" პირველ ტაიმში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: რ. კვასხვაძე - კვესიაშვილი, ს. თოდუა, გ. ხიდეშელი, ელბაქიძე - გ. ჭელიძე, გორგიაშვილი, გრიგალაშვილი, კაკალაძე - ჩიმაკაძე, მელქაძე.

*მეორე ტაიმში შევიდნენ: ა. ტეტუნაშვილი, ჭანკოტაძე, სტეფანიშვილი, სუხიაშვილი, კაჭკაჭიშვილი.*

თუ ზესტაფონელთა თავკაცი აქამდე უფრო 4-3-3 განლაგებას ანიჭებდა უპირატესობას, გუშინ **გია გეგუჩაძემ** 4-4-2 სქემით ითამაშა. ნახევარდაცვის ცენტრში **შოთა გრიგალაშვილი** და **თორნიკე გორგიაშვილი** მოქმედებდნენ, ფლანგებზე კი შემტევები - მარჯვნივ **გიორგი ჭელიძე**, ხოლო მარცხნივ - **მიხეილ კაკალაძე**.

ალსანიშნავია, რომ „ზესტაფონის" მხრიდან პირველი გოლის ავტორი ჩიმაკაძე ჯერაც თბილისის „ამერის" ფეხბურთელია და ტრანსფერის საკითხი თურქული შეკრების დასრულების შემდეგ გაირკვევა.

ნამატჩევს გეგუჩაძეს კომენტარი ვთხოვეთ: „რა თქმა უნდა, სასიხარულოა, რომ მოვიგეთ, თუმცა ამ ეტაპზე შედეგს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ, მთავარია, სეზონის განახლებისთვის კარგად მოვემზადოთ. მას შემდეგ, რაც მეორე ტაიმში შეცვლები გავაკეთეთ, ცოტა არ იყოს, ავირიეთ და უპირატესობა მეტოქემ მოიპოვა".

„ზესტაფონი" ბოლო საკონტროლო მატჩებს 1-ელ თებერვალს გამართავს - კიევის „არსენალსა" და ყაზახურ „ლოკომოტივთან". გეგუჩაძემ ისიც გვითხრა, რომ დღეში ორი მატჩი სპეციალურად დაინიშნა - ყველას რომ მიეცეს თამაშის საშუალებაო.

რა თქმა უნდა, შეკრების ბოლო მატჩებს კლუბი სხვადასხვა შემადგენლობებით ჩაატარებს, 2 თებერვალს კი შინ დაბრუნდება. და კიდევ: „ზესტაფონი"-„კრივბასის" შეხვედრას საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის **ექტორ კუპერის** თანაშემწე **ხოსე ფანტაგუცი** დაესწრო.

**დავით თავართქილაძე**

გაგრა

# კაისარს კაისრისა...

## ახალი უკრაინელის დუბლი. ნიგერიელთან კონტრაქტის გაფორმება გადაწყვეტილია, კიდევ ერთი აფრიკელი გზაშია

„გაგრა" ანთალიაში ემზადება და საკონტროლო შეხვედრებს ატარებს. გუშინ **ვლადიმერ ხაჩიძის** გაწვრთნილები ყაზახეთის ჩემპიონატის უმაღლესლიგელს, ამ ქვეყნის ჩემპიონატის ერთ-ერთ უმდიდრეს კლუბ „კაისარს" შეხვდნენ.

სანამ უშუალოდ შეხვედრაზე გადავალთ, სიახლეებზე მოგახსენებთ: უკვე დიდი ხანია, ანთალიაში გუნდთან ერთად ვარჯიშობს უკრაინელი ცენტრალური მცველი **ვლადიმირ კოზლენკო**. ის 21 წლისაა. „გაგრამდე" კოზლენკო უკრაინის პირველი ლიგის კლუბ ლუგანსკის „კომუნალნიკში" თამაშობდა.

ის, რომ ახალგაზრდა ცენტრალური მცველი ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა, ინტერნეტში მოძიებული ოქმებით შევიტყვეთ. მაგრამ უცნაური ის იყო, რომ თავად „კომუნალნიკი" უკრაინის პირველი ლიგის სატურნირო ცხრილში... ვერ აღმოვაჩინეთ. არადა, გუნდმა პირველ წრეში ნამდვილად ითამაშა. დავადგინეთ: „კომუნალნიკი" მსოფლიოს ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი პირველი უკრაინული მსხვერპლი აღმოჩნდა - გაჭირვების გამო, ლუგანსკის მერიამ ქალაქის მეორე გუნდი (მოგეხსენებათ, „ზარია" უკრაინის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშობს) ველარ შეინახა. ასე რომ, „კომუნალნიკი" დაიშალა, შედეგად კი 21 წლის ნიჭიერი მცველი უგუნდოდ დარჩა. ის უკრაინის სხვა კლუბში ვერ მოეწყო და „გაგრის" წინადადებას დათანხმდა. ახალგაზრდა ფეხბურთელის აყვანა ქართული კლუბის პრეზიდენტ **ბესიკ ჩიხრაძეს** უკრაინელმა მეგობრებმა ურჩიეს. კოზლენკომ უკვე 3 მატჩი ჩაატარა - ჯერ ალბანურ „აპოლონიასა" და „ზაგრებთან", გუშინ კი ყაზახურ „კაისართან". უკრაინელმა გაგრელთა თავკაც ხაჩიძის მოწონება დაიმსახურა. მოვლენებს გავუსწრებთ და გეტყვით, რომ გუშინდელ შეხვედრაში უკრაინელმა გადამწყვეტი როლი შეასრულა. ასე რომ, შეგვიძლია ჩავთვალოთ, კოზლენკოს ბედი გადაწყვეტილია, თუმცა ჯერ უცნობია, რამდენწლიან კონტრაქტს გაუფორმებს „გაგრა".

გადაწყვეტილია ნიგერიელი თავდამსხმელის **ოვონიკოკი აბაიომი სეუნის** საკითხიც. მართალია, ის თბილისში, „გაგრა 2-თან" ერთად ვარჯიშობს და ხაჩიძეს ჯერ არ უნახავს, მაგრამ კოჭებში ეტყობა, საკმაოდ ნიჭიერი ბიჭია, თან მისი ამბავიც სწრაფად გადაწყდა.

კიდევ ერთი სატრანსფერო ამბავი: თბილისში 19 წლის განელი ნახევარმცველი **კუმა უისდომი** ჩამოვიდა. დღეს მას „გაგრა 2-ში" გასინჯავენ. ის ეროვნული გუნდის წევრობის კანდიდატია და როგორც კლუბში გვითხრეს, ნაკრების მწვრთნელმა რამდენიმე საკონტროლო შეხვედრაში ათამაშა ქვეყნის კლუბების ნაკრებთან.

ახლა რაც შეეხება უშუალოდ ტესტმატჩს. ყაზახებთან შეხვედრა ქართველების გამარჯვებით დასრულდა - 2:1. ეს იყო დაბა სიდეში „გაგრის" ბოლო საკონტროლო თამაში. პირველ ტაიმში ხაჩიძის გუნდიდან ერთადერთი გოლი თავურით, სწორედ ხსენებულმა კოზლენკომ გაიტანა.

მეორე ნახევარში ყაზახებმა ანგარიში გაათანაბრეს: მსაჯმა ქართველების კარში 11-მეტრიანი დანიშნა. მეტოქემ შანსი ხელიდან არ გაუშვა - 1:1. გავიდა ცოტა ხანი და იმავე კოზლენკომ „კაისარის" კარი მეორედაც აილო - უკრაინელმა ლეგიონერმა თავი ამჯერად საჯარიმო დარტყმით გამოიჩინა და „გაგრის" მოგებაში მთავარი წვლილი შეიტანა.

„გაგრის" კაპიტანმა **რევაზ თევდორაძემ** ნამატჩევს კლუბის ოფიციალურ ვებგვერდთან კომენტარში განაცხადა, რომ გამარჯვება თანაგუნდელის, **ბაჩანა ცხადაძის** ახალდაბადებულ ვაჟს, პატარა კახას მიუძღვნეს (გუნდის მილოცვას ჩვენც ვუერთდებით და ცხადაძეებს პატარა კახის დაბადებას ვულოცავთ).

მატჩის თაობაზე კი თევდორაძემ ეს თქვა: „საკმაოდ დაძაბული მატჩი იყო, ორივე გუნდს ჰქონდა მომენტები და მოხარული ვართ, რომ გამარჯვება მოვიპოვეთ. ორივე გოლი კოზლენკომ გაიტანა. ის ძალიან კარგი ფეხბურთელია. ისე, ჩვენს კარში საეჭვო პენალტი დაინიშნა და მსაჯი ალბათ შეცდა, მაგრამ ჩვენმა უკრაინელმა თანაგუნდელმა ჩინებულად შეასრულა საჯარიმო დარტყმა და ყველა ძალიან გაგვახარა. რაც შეეხება გუნდს, ასეთი შეკრული, მებრძოლი და ერთიანი „გაგრა" მე არ მინახავს. საქართველოს ჩემპიონატში ჩვენს სიტყვას ვიტყვით და ვეცდებით, რაც შეიძლება მაღალ საფეხურზე ავიდეთ".

„გაგრა" თურქულ შეკრებას 31 იანვარს ამთავრებს. თბილისში გუნდი 1-ელ თებერვალს დაბრუნდება.

**მერაბ მამულაშვილი**

სპარტაკი

# ხუთწუთიანი ინტერვალით

**კოლხეთი-სპარტაკი 0:2**

0:1 ქორიძე (23) 0:2 ავალიანი (28)

სპარტაკი: კოდალაევი, კობახიძე, გ. კვასხვაძე, ქარქუზაშვილი, მგალობლიშვილი, გაბელაია, ავალიანი, თურმანიძე, შონია, მაისურაძე, სირბილაძე.

*მეორე ტაიმში შევიდნენ: ქურასბედიანი, შ. ჯიქია, მეტრეველი, ლებანიძე, ჯანგიძე, გ. ჩივაძე.*

ბოლნისის „სიონთან" მარცხის (1:2) შემდეგ ცხინვალის „სპარტაკი" ფოთის ესტუმრა და ადგილობრივ „კოლხეთთან" ამხანაგური შეხვედრა გამართა. **სერგო გაბელაიას** შეგირდებმა პირველ ლიგაში დაქვეითებული კოლხები დაჯაბნეს. „სპარტაკმა" ორივე ბურთი პირველ ტაიმში გაიტანა. ცხინვალელებს უფრო დიდი სხვაობითაც შეეძლოთ მოგება, მაგრამ გოლის გატანის სხვა შანსები ვერ გამოიყენეს. გოლები **ვაჟა ქორიძისა** და **კონსტანტინე ავალიანის** ანგარიშზეა. ხუთწუთიან ინტერვალში გატანილი ორი გოლით ცხინვალელებმა „კოლხეთს" წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურეს.

ამ მატჩის შემდეგ გაბელაიას გუნდი დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდა. „სპარტაკი" ქობულეთშია და დღეს მორიგ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. მას ჩაქვში „ბათუმი" ელოდება.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოკომოტივი

# ოჰ, ეს საშინელი ლოდინი...

თბილისის „ლოკომოტივმა" სეზონი რიხით დაიწყო და რამდენიმე ტურით წამოსკუპდა ცხრილის კენწეროში, მერე კი დალმა დაეშვა და ჩემპიონატის პირველი ეტაპი მეექვსე ადგილზე ჩაამთავრა. შუასასეზონო პერიოდში გაირკვა, რომ კლუბის ბიუჯეტი შემცირდება, მაგრამ დღემდე გაურკვეველია, რა ფინანსური რესურსი ექნება „ლოკომოტივს" სეზონის მეორე ეტაპზე.

მწვრთნელები და ფეხბურთელები ელოდებიან, რა მოხდება „ლოკომოტივში", ფინანსურად რა გაქანების გუნდი იქნება. **ზაზა ზამთარაძე** და **გიორგი კიკნაძე** ფეხბურთელებს საგურამოში, კლუბის ბაზაზე ავარჯიშებენ, მაგრამ თან უცდიან, მოვა თუ არა სპონსორი „ლოკომოტივში". ლოდინი კი დამღლელია, პირველ რიგში ღლის ნერვებს, ტვინის გადაძაბვა მოქმედებს ყველაფერზე, გუნება-განწყობილებაზე და, რა თქმა უნდა, მოსამზადებელ ეტაპზეც. „ლოკომოტივიდან" ჯერ საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე **გიორგი ლომაიამ** დააპირა წასვლა, მაგრამ ავსტრიულ „ალტახში" ტრანსფერი ჩაეშალა. ლომაია „ლოკომოტივში" კი დაბრუნდა, მაგრამ ჯერ არავინ იცის, გააგრძელებს თუ არა კლუბთან კონტრაქტს - ყველაფერი ხომ ფინანსებზეა დამოკიდებული. „ლოკო" დატოვა გუნდის საუკეთესო ფორვარდმა **რატი ალექსიძემ** და უნგრულ „დიორეტოს" მიაშურა, **ვიტალი დარასელია** კი ფეხბურთის თამაშს თავს ანებებს, ხოლო არცთუ მდიდარ ახალციხის „მესხეთს" არაერთი ლოკომოტიველის აყვანა სურს. მეკარე **ზურაბ ბათიაშვილი**, მცველი **თემურ ფარულავა**, შემტევი **გიორგი კახელიშვილი**, საყრდენი ნახევარმცველი **ზვიად ჩხეტიანი** - ესენი თუ გამოაკლდებიან კიკნაძე-ზამთრაძის გუნდს, ამით „ლოკომოტივი" მნიშვნელოვნად შესუსტდება და ძირითადად გამოუცდელი ახალგაზრდების იმედზე დარჩება. თუ ფინანსები არ გამოჩნდა, არ გვგონია, „ლოკომოტივში" დაბალ ანაზღაურებაზე ითამაშოს გუნდის ლიდერმა **ლევან ცქიტიშვილმა**.

არადა, „ლოკომოტივი" ერთობ მნიშვნელოვანი კლუბია ქართული ფეხბურთისთვის - ააშენა ბაზა, სადაც ეროვნული ნაკრებიც ვარჯიშობს, ფეხბურთში დააბრუნა ალექსიძე, „ლოკომოტივში" აღიდგინა ფორმა ნაკრების მეკარე ლომაიამ; ალექსიძის გარდა, ეროვნულ ჩემპიონატს დაუბრუნა ცქიტიშვილი და დარასელია, „ლოკომოტივის" პრეზიდენტი **ლექსო თოფურია** მედიაკომპანია „კოლხიდის" თანამფლობელი და ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრია... ერთი სიტყვით, „ლოკომოტივი" საკმაოდ ტევადი ორგანიზმი გახდა ქართული ფეხბურთისთვის, მაგრამ კლუბს სპონსორი ვერ უპოვია, რათა არარენტაბელურ, მაგრამ კარგ საქმეს ფულით შეეხიდოს.

„ლოკომოტივის" დამფინანსებელი - გადაზიდვების კომპანია „სილქ როუდის" ქართული ჯგუფია. ცხადია, საერთო ფინანსურმა კრიზისმა ტვირთების გადაზიდვა მნიშვნელოვნად შეამცირა, ესეც რომ არა, საქართველოში საფეხბურთო კლუბის ყოლა ფინანსურად წამგებიანია. „ლოკომოტივი" თითქოს ჩიხში მოექცა, ეს ლოდინიც ხომ უსაშველოდ გაიწელა. დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ... ასეთი ტენდენციით ელიან სპონსორის მისვლას „ლოკომოტივში". კარგი ამბები ძალიან მოგვენატრა და იქნებ, იქ მაინც მოხდეს კიდევ ერთი კარგი რამ...

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონი

# მჭედლიძე და რომას ხარიხა


ლევან მჭედლიძე

კიდევ ერთხელ გაუცრუვდა იმედები **ზურაბ ხიზანიშვილს - სემ ელერდაისმა** კვლავ არ შეიყვანა განაცხადში, არადა, „ბოლტონთან" მატჩისთვის გუნდთან ერთად ჩვეულებრივ ემზადებოდა. დრო არ ითმენს, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდეც ცოტა დრო რჩება - ერთი კი ცხადია, რომ ელერდაისის გეგმებში ქართველი მცველი არ ფიგურირებს.

**კახა კალაძე** ჯერაც ტრავმირებულია, ამიტომ, მას არც „ჯენოასთან" საშინაო მატჩში (1:1) უთამაშია. სამაგიეროდ, გამოჩნდა თითქოს მივიწყებული **ლევან მჭედლიძე**. „პალერმო" „რომას" ესტუმრა და მატჩის 61-ე წუთზე, როცა სტუმრები 1:2-ს აგებდნენ, **დავიდე ბალარდინიმ** ნახევარმცველი **ანტონიო ნოჩერინო** ახალგაზრდა ქართველი ფორვარდით შეცვალა. ჩვენებურმა ერთობ იაქტიურა. მოედანზე შესვლიდან ექვს წუთში მას გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ... **მარკ ბრეშანოს** ჩაწოდების შემდეგ მისი თავური ხარიხას მოხვდა. 75-ე წუთზე, თითქმის ანალოგიური პოზიციიდან (ახლა **ფაბიო ლივერანის** პასით), ლევანმა კვლავ თავით სცადა ფონს გასვლა, მაგრამ ოდნავ ააცილა მიზანს. მატჩში ანგარიში აღარ შეცვლილა...

გერმანიის თასის მერვედფინალურ მატჩში კი „კარლსრუემ" „ვეენს" უმასპინძლა, 0:1 წააგო და ტურნირიდან გავარდა. ჩვენდა მოულოდნელად, „კარლსრუეს" რიგებში არ გამოჩენილა **ალექსანდრე იაშვილი**, რომელმაც მთელი მატჩი სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ინდივიდუალური მომზადება

**კარატეში**

ყალიბდება 10-კაციანი (ორივე სქესისთვის) ელიტური ჯგუფი, რომელიც ფიზიკური მომზადების გარდა, გაივლის ზოგად ფსიქოლოგიას, ავტოტრენინგს, თერაპიის რამდენიმე სპეციფიკურ ფორმას.

ჯგუფს აყალიბებს საერთაშორისო კატეგორიის ინსტრუქტორი, ექსპერტი მამუკა დავითიშვილი-ბაგრატიონი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება აღმოსავლეთის ქვეყნებში.

დაგვიკავშირდით: ოფისი (Tel/Fax) 963 189

ინსტრუქტორი 895 131 662

მისამართი: ქ. თბილისი, არმიის სპორტული კომპლექსი, უნივერსიტეტის 2.

სატრანსფერო ამბები

# სალუქვაძე სამი წლით რუბინელია

ესპანურ მარბელიაში შეკრებაზე მყოფმა რუსეთის ჩემპიონმა „რუბინმა" ზაპოროჟიეს „მეტალურგთან" სპარინგი 0:1 დათმო. ამ მატჩში **დავით კვირკველიამ** პირველი ტაიმი ითამაშა, **ლაშა სალუქვაძემ** კი - მეორე. „რუბინმა" გოლი პირველ ტაიმში გაუშვა. 30 იანვარს ეს გუნდი ადგილობრივ „მარბელიასთან" გამოცდის ძალებს.

„მარბელიასთან" მატჩს სალუქვაძე სრულფასოვანი რუბინელის სტატუსით შეხვდება - მან კლუბთან ახალი 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. აღსანიშნავია, რომ ლაშა უკვე მესამედ აფორმებს „რუბინთან" ხელშეკრულებას - 27 წლის სალუქვაძე 2005 წლიდან თათრეთის მთავარი კლუბის წევრია.

# განუგრავა ჩეხეთიდან გაუშვეს


გიორგი განუგრავა

ბოლესლავის (ჩეხეთი) „მლადის" ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, რომ გუნდიდან გაუშვეს ორი ფეხბურთელი - **ფრანტიშეკ შევინსკი** და **გიორგი განუგრავა**. *„ორივე მათგანს აქვს შეთავაზება სხვა გუნდებიდან, თუმცა ჯერჯერობით მოლაპარაკებები ფინალურ სტადიაში არ არის"*, - განაცხადა „მლადის" სპორტულმა დირექტორმა **ზდენეკ კუდელამ**.

შეგახსენებთ, რომ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე სამი დღეღა დარჩა. ჩეხური გუნდი გუშინ თურქეთში გაემგზავრა მოსამზადებელ შეკრებაზე, შევინსკი და განუგრავა კი შინ დარჩნენ, ისინი დროებით „მლადის" სათადარიგო გუნდში ივარჯიშებენ. 20 წლის განუგრავამ ჩეხეთში თავი ვერაფრით დაიმკვიდრა. ერთ დროს ეროვნული გუნდის წევრმა, „მლადის" მაისურით წლევანდელ სეზონში მხოლოდ ერთი საჩემპიონატო მატჩი ითამაშა. ამჟამად, ბოლესლავის კლუბი 31 ქულით მეორე ადგილზეა.

# გოგინაშვილი ბრესტში დაბრუნდა

ბელარუსის უმაღლეს ლიგაში შარშანდელი სეზონი თავდამსხმელმა **რომან გოგინაშვილმა** ბრესტის „დინამოში" დაიწყო. მაგრამ მას მერე, რაც ის მწვრთნელმა დუბლებში გადაიყვანა, ჩვენებურმა გუნდი შეიცვალა და სოლიგორსკის „შახტიორში" გადავიდა. სამწუხაროდ, გოგინაშვილმა ვერც „შახტიორში" გამოიჩინა თავი და საახალწლოდ ამ გუნდსაც დაშორდა. ქართველ ლეგიონერს კლუბის მოძებნა არ გასჭირვებია - ის ბრესტის „დინამოში" დაბრუნდა. „დინამომ" პირველი საკონტროლო შეხვედრა გამართა - „გრანიტს" უმასპინძლა და 2:0 გაიმარჯვა. ამ შეხვედრაში ქართველმა პირველი 30 წუთი ითამაშა.

# სახოკია ყოფილი გუნდის წინააღმდეგ

შესაძლოა, ყაზახურ „ტობოლში" ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშოს - ამ გუნდში **ზაზა სახოკია** ისინჯება. „ვიტ ჯორჯიის" ყოფილმა ფორვარდმა შარშანდელი სეზონი სომხურ „მიკაში" გაატარა. სახოკიას ყოფილ კლუბ „ვიტ ჯორჯიასთან" ამხანაგურ მატჩშიც მიუღია მონაწილეობა. შეგახსენებთ, რომ ეს მატჩი ყაზახებმა დიდი ანგარიშით, 3:0 მოიგეს. „ტობოლი" ყაზახეთის ვიცე-ჩემპიონი გახლავთ...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# გიორგი ადამია ბაქოს დაუთმეს

**გიორგი ადამიას** სატრანსფერო საგა და გაწამაწია დასრულდა - უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეიდან, 28 წლის ქართველი ფორვარდი „ბაქოს" წევრია. „აზერისპორტთან" ინტერვიუში ბაქოს „ნეფთჩის" ვიცე-პრეზიდენტმა **ილგარ გულუზადემ**, რომელიც პირველი შემაფერხებელი ბარიერი იყო ადამიას ტრანსფერის საქმეში, განაცხადა, რომ გიორგის ხელს აღარ შეუშლიან. ანუ, ადამიას თავისუფლად შეუძლია, „ბაქოს" წევრი გახდეს, რადგან ამ კლუბმა მოთხოვნილი კომპენსაცია გადაიხადა. თანხას არ აზუსტებენ, თუმცა სულ ბოლოს „ნეფთჩი" ადამიას სანაცვლოდ 100 ათას ამერიკულ დოლარს ითხოვდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ვენსია

# თარხნიშვილი ფინიშის სწორზე?

„შერიფის" გამოცდილმა კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** „პრო ტვ-ისთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ სერიოზულად ფიქრობს კარიერის დასრულებაზე. 37 წლის ქართველი მცველი საბოლოო გადაწყვეტილებას სეზონის ბოლოს მიიღებს. გორელი ფეხბურთელი ტირასპოლის „შერიფში" 1999 წლის 1-ელ თებერვლიდან ირიცხება. დღე-დღეზე მის მოლდოვურ კარიერაში ათწლოვანი იუბილე შესრულდება. ამ ხნის განმავლობაში თარხნიშვილი პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე ტიტულოვანი ქართველი ფეხბურთელი გახდა. მან 8-ჯერ მოიპოვა მოლდოვის ჩემპიონის ტიტული, ხუთჯერ - თასი, ოთხჯერ - ქვეყნის სუპერთასი, ორჯერ დსთ-ს თასი, ასევე ორჯერ გახდა მოლდოვის საუკეთესო ფეხბურთელი, სამჯერ კი - საუკეთესო მცველი.

დიდი ხანია ვაჟა „შერიფის" კაპიტანია. ახლახან ის კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა 2008 წლის საუკეთესო შერიფელად დაასახელა. დსთ-ის თასზე თარხნიშვილს სამჯერ მოუწია პენალტების სერიაში 11-მეტრიანის შესრულებამ და სამჯერვე გაიტანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# რა მოხდება ამ დღეებში?

## კვარაცხელია კაუნასში ვარჯიშობს


გია კვარაცხელია

მინსკის „მტზ-რიპოს" ქართველი ნახევარმცველი **გია კვარაცხელია** ამჟამად ლიტვაშია და ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან კლუბ „კაუნასში" ვარჯიშობს. ზაფხულამდე გია ამ კლუბში ირიცხებოდა და როცა ეს ინფორმაცია შევიტყვეთ, მივიჩნიეთ, რომ შესაძლებელი იყო, კვარაცხელია ბელარუსიდან ლიტვაში დაბრუნებულიყო. „მტზ-რიპო" მას 4 თვე ხელფასს არ უხდიდა. კვარაცხელიას თავისუფალი აგენტის სტატუსის მიღება სურდა. „კაუნასისა" და „მტზ-რიპოს" მფლობელი ლიტველი ბიზნესმენი **ვლადიმერ რომანოვია**. კვარაცხელიას კლუბიდან კლუბში გადასვლაში ხელს არავინ შეუშლიდა.

*„ლიტვურ კლუ. ში .რ დავბრუნებულვარ, აქ დროებით ვვარჯიშობ, რადგან ხელმძღვანელობა გულიანად მოიქცა და ფორმის აღდგენის საშუალება მომცა. დღე-დღეზე ველოდები ვითარების გარკვევას, სად წავალ და რა სტატუსით, ჯერ წარმოდგენაც არ მაქვს. რომანოვთან ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს და მიუხედავად სახელფასო დავალიანებისა, ფიფაში ჩივილს არ ვაპირებ. ეს პირადად რომანოვსაც ვუთხარი. ის შემპირდა, რომ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რომელიმე სერიოზულ კლუბში გადამიყვანდ.. მე მისი იმედი მაქვს და ველოდები, რა მოხდება უახლოეს დღეებში"*, - გვითხრა კვარაცხელიამ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXI ტური

# ვან დერ სარი ისტორიაში შევიდა

## ეშმაკებს უკანასკნელი გოლი სამირ ნასრიმ შორეულ ნოემბრის თვეში გაუტანა

"მანჩესტერ იუნაიტედმა" "ვესტ ბრომვიჩი" მინასთან გაასწორა. "ეშმაკებმა" მასპინძელს ხუთი უპასუხო გოლი გაუტანეს. "მანჩესტერს" სტუმრად ამაზე დიდი ანგარიშით მხოლოდ ერთხელ, 1999 წლის თებერვალში, "ნოტინგემ ფორესტთან" მოუგია – 8:1.

გუშინწინდელი წარმატება კიდევ ერთი მიზეზის გამო იყო ღირშესანიშნავი: **ედვინ ვან დერ სარი** და მისი მცველები პრემიერლიგის ისტორიაში შევიდნენ. მათ ზედიზედ მე-11 მატჩში არ გაუშვეს გოლი. ჰოლანდიელმა გოლკიპერმა "ჩელსის" კარის დარაჯის, **პეტრ ჩეხის** რეკორდი დაამხო.

ლონდონელი მეკარე 2004-05 წლების სეზონში, დეკემბრიდან აპრილამდე 1025 წუთის განმავლობაში კარს მშრალად ინახავდა. ვან დერ სარმა მისი შედეგი 7 წუთით გააუმჯობესა. ბოლო გოლი, რომელიც მას ინგლისის ჩემპიონატში გაუტანეს, 2008 წლის 8 ნოემბრით თარიღდება. გოლის ავტორია **სამირ ნასრი**. "არსენალმა" "ემირიტს სთედიუმზე" ჩატარებული ის მატჩი 2:1 მოიგო.



ედვინ ვან დერ სარმა პრემიერლიგის რეკორდი დაამყარა

"იუნაიტედმა" ორი გოლი პირველსავე ნახევარში შეაგდო. თავი გამოიჩინეს **დიმიტარ ბერბატოვმა** და **კარლოს ტევესმა**. ამ უკანასკნელმა **სკოტ კარსონის** მიუტევებელი შეცდომით ისარგებლა. შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე ვესტ ბრომვიჩელები 10 კაცის ამარა დარჩნენ. მსაჯმა **რობ სტაილზმა** გუნდის მარცხენა მცველი და კაპიტანი **პოლ რობინსონი** გააძევა. ამ ფეხბურთელმა კარიერაში მე-9 წითელი ბარათი მიიღო.

მეორე ნახევარში "ეშმაკებმა" კიდევ სამჯერ იხეირეს. **ნემანია ვიდიჩის** გოლს **კრისტიანო რონალდომ** დუბლი მიაყოლა. სხვათა შორის, პორტუგალიელ ვარსკვლავს გასული წლის 15 ნოემბრის შემდეგ არ ჰქონდა გატანილი. იმის გარდა, რომ "მანჩესტერ იუნაიტედი" 11-მატჩიანი მშრალი სერიით ინონებს თავს, მან ზედიზედ მეექვსე შეხვედრაც მოიგო. გუშინ "ლივერპულმა" "ვიგანთან" მორიგი ქულები გაანიავა. შედეგად, "ეშმაკებმა" კიდევ უფრო განიმტკიცეს პოზიციები ცხრილის სათავეში: ისინი "ლივერპულს" უკვე ორი ქულით უსწრებენ და ერთი თამაში თადარიგში აქვთ...

გუშინწინ მნიშვნელოვანი თამაში მოიგო "ასტონ ვილამ". ბირმინგემელებმა სტუმრად "პორტსმუთი" დაამარცხეს. ერთადერთი გოლი იმ **ემილ ჰესკიმ** შეაგდო, რომელმაც "ვილასთან" კონტრაქტი სამი დღით ადრე გააფორმა. **მარტინ ონილმა** "ვიგანს" მის სანაცვლოდ 3.5 მილიონი გირვანქა მიუთვალა. ვეტერანმა თავდამსხმელმა საუცხოო დებიუტი გამოაცხო. "ვილა" მეოთხე ადგილზე იმყოფება და "არსენალს" ხუთი ქულით უსწრებს. უფრო მეტიც, მას მეორე ადგილისაგან სულ რაღაც ერთი ქულა აშორებს.

რაც შეეხება "პორტსმუთს", **ტონი ადამსის** შეგირდები გასავარდნ ზონას უახლოვდებიან. ამ მწვრთნელმა გუნდის დამრიგებლის რანგში მე-14 შეხვედრა ჩაატარა და აქედან მხოლოდ ორი მოიგო. ყველა სიკეთესთან ერთად, ოთხი დღით ადრე, "პორტსმუთი" ინგლისის ასოციაციის თასსაც გამოეთიშა...

"ტოტენჰემის" შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა იტალიელ მეკარე **კარლო კუდიჩინის**. "მამლებმა" ის "ჩელსიდან" გასულ უქმეებზე შეიძინეს. კუდიჩინის დებიუტიც წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. მართალია, კარლომ ერთი გოლი გაუშვა, მაგრამ მისმა გუნდმა დამაჯერებლად მოიგო. მაგრამ "მამლებს" თავი ქუდში ჯერარ აქვთ. მათ გასავარდნი ზონისაგან სამი ქულა ჰყოფთ, თუმცა ბურთების უკეთესი ბალანსის წყალობით, საკმაოდ მაღლა იმყოფებიან.

**შალვა ბიბილაშვილი**

### სანდერლენდი–ფულჰემი 1:0

**სანდერლენდი:** ფულოპი, კოლინსი, ანტონ ფერდინანდი, მაკარტნი (71. მაკშეინი), ბერდსლი, უაითჰედი, ტაინიო (81. ლიდბიტერი), რიდი (76. ედვარდსი), მალბრანკი, ჯოუნსი, სისე.

**ფულჰემი:** შვარცერი, ჰანგელანდი, აარონ ჰიუზი, კონჩესკი, პანტსილი, დენი მერფი, ეტუჰუ (83. ნევლანდი), საიმონ დევისი (76. გერა), დემპსი, ენდრიუ ჯონსონი, ზამორა.

**გოლები:** 1:0 ჯოუნსი (55).

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 19(8)-19(2); **ჯარიმა:** 3-10; **კუთხური:** 3-1; **ბურთის ფლობა:** 48%-53%.

**მაყურებელი:** 36 539

### ვესტ ბრომვ.–მანჩესტერ იუნ. 0:5

**ვესტ ბრომვიჩი:** კარსონი, დონკი, კარდოსო, რობინსონი, ჰიოფკენსი, კორენი, ვალერო, ბრანტი, ცუივერლოონი (64. მორისონი), სიმპსონი (64. ბედნარი), ფორჩუნი (46. მარეკ ჩეხი).

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ვიდიჩი, რიო ფერდინანდი (70. ვეს ბრაუნი), ოში, გარი ნევილი (71. ეკერსლი), გიგზი, ქერიკი, რონალდო, პარკი, ტევესი, ბერბატოვი (77. ტოშიჩი).

**გოლები:** 0:1 ბერბატოვი (22), 0:2 ტევესი (44), 0:3 ვიდიჩი (60), 0:4 რონალდო (65), 0:5 რონალდო (73).

**გაძევება:** რობინსონი (40. ვესტ ბრომვიჩი).

**გაფრთხილება:** 5-2; **დარტყმა:** 12(1)-17(8); **ჯარიმა:** 13-8; **კუთხური:** 5-4; **ბურთის ფლობა:** 38%-63%.

**მაყურებელი:** 26 105

### პორტსმუთი–ასტონ ვილა 0:1

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, დესტენი, კემპბელი (46. კაბული), ჰრეიდარსონი, გლენ ჯონსონი, მულინზი, შონ დევისი, ბელჰაჯი, პენანტი, კანუ (75. უტაკა), კრაუჩი.

**ვილა:** ფრიდელი, კერტის დევისი, ნაიტი, ლუკ იანგი, კუელიარი, ბერი, სტილიან პეტროვი, მილნერი, კრეიგ გარდნერი (64. სიდველი), ჰესკი (83. შორი), აგბონლაორი.

**გოლები:** 0:1 ჰესკი (21).

**გაძევება:** ბელჰაჯი (71. პორტსმუთი)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 20(4)-9(1); **ჯარიმა:** 10-12; **კუთხური:** 17-5; **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 19 073

### ტოტენჰემი–სტოკ სიტი 3:1

**ტოტენჰემი:** კუდიჩინი, ვუდგეიტი, დოსონი, ასუ-ეკოტო, ჩორლუკა, მოდრიჩი, ლენონი (90. ჰადლსტონი), ბენტლი, დეფო, პავლიუჩენკო (90. ფრეიზერ კემპბელი).

**სტოკი:** სორენსენი, ადბულა ფაიე (46. სონკო), შოკროსი, ჰიგინბოთემი, ვილკინსონი (46. გრიფინი), ამდი ფაიე (49. ფულერი), ველანი, კრესველი, ეთერინგტონი, დელაპი, ბიტი.

**გოლები:** 1:0 ლენონი (8), 2:0 დეფო (21), 3:0 დოსონი (24), 3:1 ბიტი (57).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 22(8)-8(3); **ჯარიმა:** 20-22; **კუთხური:** 7-4; **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 36 072

### ჩელსი–მიდლსბრო 2:0

**ჩელსი:** ჩეხი, ტერი, ალექსი, ეშლი კოული, ბოსინგვა, ობი მიკელი, ლემპარდი, ბალაკი, მალუდა (46. დროგბა), ანელკა (89. სტოხი), კალუ (82. დეკუ).

**მიდლსბრო:** ტერნბული, რიგოტი, ვიტერი, პოგატეცი, მაკმაჰონი, ბეიტსი, ონილი, მოჰამედი (64. თუნჯაი), დაუნინგი, ადამ ჯონსონი, მარლონ კინგი (64. აფონსო ალვეში).

**გოლები:** 1:0 კალუ (58), 2:0 კალუ (81).

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 24(8)-9(1); **ჯარიმა:** 7-20; **კუთხური:** 8-3; **ბურთის ფლობა:** 68%-32%.

**მაყურებელი:** 40 280

### ვიგანი–ლივერპული 1:1

**ვიგანი:** პოლიტი, შარნერი, ბოისი, ფიგეროა, მალხიოტი, ბრაუნი, კატერმოული, რაიან ტეილორი (80. კამარა), დე რიდერი (64. კუმასი), ზაქი (77. როდალიეგა), მიდო.

**ლივერპული:** რეინა, შკრტელი, კარაგერი, აურელიო, არბელოა, მასკერანო, ლუკასი, ტორესი (72. რიერა), ჯერარდი (84. რობი კინი), ბაბელი, ბენაიუნი (75. კუიტი).

**გოლები:** 0:1 ბენაიუნი (41), 1:1 მიდო (83-პენ).

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 6(2)-12(3); **ჯარიმა:** 12-18; **კუთხური:** 2-2; **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 21 237

### მანჩესტერ სიტი–ნიუკასლი 2:1

**სიტი:** ჰარტი, ონუოჰა, კომპანი, ბრიჯი, რიჩარდსი, დე იონგი (78. ელანო), საბალეტა (83. ჟელსონი), ირლანდი, რაიტ-ფილიპსი (90. ფელიპე), ბელამი, რობინიო.

**ნიუკასლი:** ჰარპერი, ბასონგი, სტივ ტეილორი, ხოსე ენრიკე, ედგარი, ბარტონი (64. ლიოვენკრანდსი), კოლოჩინი, დაფი, ჯერემი (90. ლუალუა), ოუენი (19. გუტიერესი), ქეროლი.

**გოლები:** 1:0 რაიტ-ფილიპსი (17), 2:0 ბელამი (77), 2:1 ქეროლი (81).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 14(5)-4(1); **ჯარიმა:** 8-15; **კუთხური:** 7-0; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 42 280

### ბლექბერნი–ბოლტონი 2:2

**ბლექბერნი:** რობინსონი, ნელსენი, სამბა, უორნოკი, ოოიერი (58. სანტა კრუსი), გრელა (90. მოკოენა), ენდრიუსი, პედერსენი (58. თუგაი), ემერტონი, მაკარტი, რობერტსი.

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, პიუგრენიე, გარი კაჰილი, სამუელი, სტეინსონი, ბეშამი, მუამბა, ნოლანი, მეტიუ ტეილორი, კევინ დევისი, მაკუკულა (75. მარკ დევისი).

**გოლები:** 0:1 მეტიუ ტეილორი (15), 0:2 კევინ დევისი (35), 1:2 უორნოკი (66), 2:2 მაკარტი (87).

*71-ე წუთზე მაკარტიმ ვერ გაიტანა პენალტი*

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 15(7)-8(3); **ჯარიმა:** 12-15; **კუთხური:** 6-4; **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 25 205

### ევერტონი–არსენალი 1:1

**ევერტონი:** ჰოვარდი, ლესკოტი, ჟაგიელკა, ბაინესი, ჰიბერტი, ფილ ნევილი, არტეტა, პიენაარი, ოსმანი, ტიმ კაჰილი (86. ანიჩებე), ფელაინი.

**არსენალი:** ალმუნია, ჯურუ, გალასი, კლიში, სანია (72. ებუე), დიაბი, სონგი (72. ბენდტნერი), ნასრი, დენილსონი, ვან პერსი, ადებაიორი.

**გოლები:** 1:0 ტიმ კაჰილი (61), 1:1 ვან პერსი (90).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 10(2)-8(2); **ჯარიმა:** 10-14; **კუთხური:** 7-6; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 37 097

### ვესტ ჰემი–ჰალ სიტი 2:0

**ვესტ ჰემი:** გრინი, აპსონი, კოლინსი, ილუნგა, ნილი, ნობლი (84. ბოა მორტე), პარკერი, კოლისონი (72. ფობერი), ბეჰრამი, კარლტონ კოული, დი მიკელე (87. ნსერეკო).

**ჰალი:** დიუკი, ზაიათი, ტერნერი, ეშბი, დოსონი, რიკეტსი, ჯოვანი (53. ბულარდი), კილბეინი, მარნი (74. მენდი), კუზენი, მანუჩო (53. ფეგანი).

**გოლები:** 1:0 დი მიკელე (33), 2:0 კარლტონ კოული (51).

*22-ე წუთზე ნობლმა ვერ გაიტანა პენალტი*

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 28(10)-16(6); **ჯარიმა:** 12-15; **კუთხური:** 11-5; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 34 340

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 22 | 15 | 5 | 2 | 39-10 | 50 |
| 2. ჩელსი | 23 | 14 | 6 | 3 | 44-13 | 48 |
| 3. ლივერპული | 23 | 13 | 9 | 1 | 37-15 | 48 |
| 4. ასტონ ვილა | 23 | 14 | 5 | 4 | 38-24 | 47 |
| 5. არსენალი | 23 | 12 | 6 | 5 | 38-25 | 42 |
| 6. ევერტონი | 23 | 10 | 7 | 6 | 31-27 | 37 |
| 7. ვიგანი | 23 | 9 | 5 | 9 | 26-24 | 32 |
| 8. ვესტ ჰემი | 23 | 9 | 5 | 9 | 31-31 | 32 |
| 9. მანჩესტერ სიტი | 22 | 8 | 4 | 10 | 41-31 | 28 |
| 10. ჰალ სიტი | 23 | 7 | 6 | 10 | 29-44 | 27 |
| 11. ფულჰემი | 21 | 6 | 8 | 7 | 19-18 | 26 |
| 12. სანდერლენდი | 23 | 7 | 5 | 11 | 24-32 | 26 |
| 13. ტოტენჰემი | 23 | 6 | 6 | 11 | 24-28 | 24 |
| 14. ბოლტონი | 23 | 7 | 3 | 13 | 24-32 | 24 |
| 15. პორტსმუთი | 22 | 6 | 6 | 10 | 22-35 | 24 |
| 16. ნიუკასლი | 23 | 5 | 8 | 10 | 29-39 | 23 |
| 17. ბლექბერნი | 22 | 5 | 7 | 10 | 27-38 | 22 |
| 18. მიდლსბრო | 23 | 5 | 6 | 12 | 18-35 | 21 |
| 19. სტოკ სიტი | 23 | 5 | 6 | 12 | 20-38 | 21 |
| 20. ვესტ ბრომვიჩი | 23 | 6 | 3 | 14 | 20-42 | 21 |

**ბომბარდირები:** 14 – ანელკა (ჩელსი); 11 – რობინიო (მანჩესტერ სიტი); 10 – რონალდო (მანჩესტერ იუნაიტედი), ზაქი (ვიგანი), დეფო (პორტსმუთი); 9 – აგბონლაორი (ასტონ ვილა), ლემპარდი (ჩელსი), ჯერარდი (ლივერპული).

იტალია. სერია A. XXI ტური



იუვენტუსს ტრეზეგეს დაბრუნებამ ვერაფერი უშველა

### კატანია–ინტერი 0:2

**კატანია:** ბიცარი, სილვესტრე, სტოვინი, სილვესტრი, კაპუანო (72. ლამა), ბაიოკო, ჯაკ. ტედესკო, მორიმოტო, მარტინესი (88. დ'ამიკო), მასკარა, პაოლუჩი (76. სპინეზი).

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, ბურდისო, სანტონი (88. რივასი), ხ. ძანეტი, კამბიასო, მუნტარი, სტანკოვიჩი (90. ფიგუ), იბრაჰიმოვიჩი, კრუსი (64. მაქსველი).

**გოლები:** 0:1 სტანკოვიჩი (5), 0:2 იბრაჰიმოვიჩი (71)

**გაძევება:** მუნტარი (32. ინტერი)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 22-15 (4-5); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 20 000

### უდინეზე–იუვენტუსი 2:1

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი, საპატა, ა. კოდა, დომიცი, პასკუალე, ინლერი, გ. დ'აგოსტინო, ისლა, ასამოა, კვალიარელა (85. ფლორო ფლორესი), დი ნატალე (81. პეპე).

**იუვენტუსი:** ბუფონი, გრიგერა, მელბერგი, ლეგროტალიე, მოლინარო, მარკიონი (46. იაკუინტა), სისოკო (83. პოულსენი), მარკიზიო, ნედვედი, ჯოვინკო, ამაური (81. ტრეზეგე).

**გოლები:** 1:0 კვალიარელა (20), 2:0 დი ნატალე (74), 2:1 იაკუინტა (77-პენ)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 18-17; **თამაშგარე:** 9-2; **კარში დარტყმა:** 11-11 (5-3); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 25 000

### მილანი–ჯენოა 1:1

**მილანი:** აბიატი, ძამბროტა, მალდინი, ფავალი, იანკულოვსკი, ბექჰემი (71. ფლამინი), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი (79. სენდეროსი), კაკა, პატო (74. რონალდინიო).

**ჯენოა:** რუბინიო, ბიავა, ბოკეტი, კრიშიტო, მესტო, ტ. მოტა (46. ვანდენ ბორე), მილანეტო, მოდესტო (40. იანკოვიჩი), იურიჩი, სკული (63. პალადინო), მილიტო.

**გოლები:** 1:0 ბექჰემი (33), 1:1 მილიტო (88)

**გაფრთხილება:** 5-3; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 18-21; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 14-14 (4-4); **ბურთის ფლობა:** 57%-44%.

**მაყურებელი:** 49 907

### ფიორენტინა–ნაპოლი 2:1

**ფიორენტინა:** ს. ფრეი, კომოტო, ძაური, გამბერინი, გობი (63. პასკუალი), დონადელი (64. სემიოლი), ფელიპე მელუ, მონტოლივო, სანტანა, ჯილარდინო, იოვეტიჩი (46. ბონაცოლი).

**ნაპოლი:** ჯანელო (32. ზეპე), კანავარო, რინაუდო, არონიკა, მაჯო, ბლაზი, პაციენცა (69. მონტერვინო), ბოლიაჩინო (81. რუსოტო), ვიტალე, სალაიეტა, ლავეცი.

**გოლები:** 1:0 სანტანა (47), 1:1 ვიტალე (49), 2:1 მონტოლივო (79)

**გაძევება:** მონტერვინო (90. ნაპოლი)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 23-20; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 16-10 (4-5); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 28 863

### რომა–პალერმო 2:1

**რომა:** ა. დონი, სისინიო, მექსე, ჟუანი, რიისე, აკვილანი (73. ტადეი), დე როსი, ბრიგი, პეროტა (55. პისარო), ტოტი (84. კასეტი), ვუჩინიჩი.

**პალერმო:** ამელია, კასანი, კაროციერი, ბოვო, სავინი (85. სუჩი), ნოჩერინო (61. მჭედლიძე), ლივერანი, მილიაჩო (43. გუანა), სიმპლისიუ, ბრეშანო, კავანი.

**გოლები:** 1:0 ტოტი (24), 1:1 კავანი (31), 2:1 ბრიგი (45)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 2-2; **ჯარიმა:** 15-22; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 12-20 (4-6); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 34 322

### სამპდორია–ლაციო 3:1

**სამპდორია:** კასტელაცი, სტანკევიჩუსი, ლუკინი, გასტალდელო, პადალინო (15. დესენა), ციგლერი, პალომბო, პიერი, დელვეკიო, კასანო (77. მარილუნგო), ბელუჩი (90. მუსტაკიო).

**ლაციო:** მუსლერა, ლიხტშტაინერი, სივილია, კრიბარი, რადუ, დაბო, კ. ლედესმა, მეგნი (73. მათუსალემი), მაური (63. ფოჯა), პანდევი, როკი (46. სარატე).

**გოლები:** 1:0 დელვეკიო (13), 1:1 როკი (30), 2:1 კასანო (51), 3:1 სტანკევიჩუსი (55)

**გაფრთხილება:** 4-4; **კუთხური:** 7-10; **ჯარიმა:** 29-20; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 7-18 (4-4); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 21 000

### ატალანტა–ბოლონია 0:1

**ატალანტა:** ფ. კოპოლა, დარიჩი, ტალამონტი (56. კაპელი), თ. მანფრედინი, ბელინი, პინტუ (84. ჩერჩი), გუარენტე, ჩიგარინი, ხ. ვალდესი (73. ვიერი), კ. დონი, ფლოკარი.

**ბოლონია:** ანტონიოლი, ძენონი, ტერცი, მორასი, ლანა, ვოლპი (90. კაზარინი), როდრიგესი, მინგაცინი, ვალიანი (88. ამოროზო), ოსვალდო, დი ვაიო.

**გოლი:** 0:1 ვოლპი (80)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 9-8; **ჯარიმა:** 14-27; **თამაშგარე:** 3-6; **კარში დარტყმა:** 20-5 (5-3); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 9 000

### კალიარი–სიენა 1:0

**კალიარი:** ლუპატელი, კანინი, ლოპესი (57. ბიანკო), ფ. პიზანო, აგოსტინი, ფინი (85. ლაძარი), კონტი, ბიონდინი, კოსუ, აკვაფრესკა (52. მატრი), ჟედა.

**სიენა:** კურჩი, სუნიგა, ფიკანია, ბრანდაუ, მ. როსი, იაროლიმი, ვერგასოლა (68. კალაიო), გალოპა, ხარჯა (86. მ. კოპოლა), გეზალი, მაკარონე (61. ფრიკი).

**გოლი:** 1:0 აკვაფრესკა (37)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 6-8; **ჯარიმა:** 14-21; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 7-13 (2-6); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 10 000

### ტორინო–რეჯინა 0:0

**ტორინო:** სერენი, რივალტა, დელაფიორე, მ. პიზანო (30. დი ლორეტო), ოგბონა, აბატე, ზოიმელი (57. ჯემაილი), პ. ძანეტი, როზინა, ამორუზო, ბიანკი (65. სტელონე).

**რეჯინა:** კამპანიოლო, ლანძარო, კ. ვალდესი, სანტოსი, კრაიჩიკი, ბარეტო (88. ტონიოცი), ბარილა (90. სესტუ), კოსტა, კოცა, ბრიენცა (41. ჩერავოლო), კორადი.

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 17-23; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 9-11 (1-3); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 14 000

### კიევო–ლეჩე 1:1

**კიევო:** სორენტინო, მორო (84. პინცი), მანდელი, მორერო, მანტოვანი, ლუსიანო (52. სკარდინა), რიგონი, ბენტივოლიო, მარკოლინი, მ. ესპოზიტო (60. მაკინვა), პელისიერი.

**ლეჩე:** ბენუსი, პოლენგი (81. დიამუტენი), ფაბიანო, ჯულიატო, ა. ესპოზიტო, ძანკეტა, ვივესი (58. კაზერტა), არიატი, ჯაკომაცი, კასტილიო, ტირიბოკი (85. სკიავი).

**გოლები:** 0:1 ვივესი (56), 1:1 მანტოვანი (88)

**გაძევება:** მანდელი (50. კიევო), ფაბიანო (80. ლეჩე)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 6-8; **ჯარიმა:** 21-22; **თამაშგარე:** 3-6; **კარში დარტყმა:** 9-10 (3-5); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 8 505

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 21 | 15 | 4 | 2 | 36-15 | 49 |
| 2. იუვენტუსი | 21 | 13 | 4 | 4 | 34-16 | 43 |
| 3. მილანი | 21 | 12 | 5 | 4 | 36-22 | 41 |
| 4. ჯენოა | 21 | 9 | 7 | 4 | 31-19 | 37 |
| 5. რომა | 21 | 11 | 3 | 7 | 31-26 | 36 |
| 6. ფიორენტინა | 21 | 11 | 2 | 8 | 28-19 | 35 |
| 7. ნაპოლი | 21 | 10 | 3 | 8 | 28-23 | 33 |
| 8. პალერმო | 21 | 10 | 2 | 9 | 30-27 | 32 |
| 9. კალიარი | 21 | 9 | 4 | 8 | 27-23 | 31 |
| 10. ლაციო | 21 | 9 | 4 | 8 | 32-32 | 31 |
| 11. ატალანტა | 21 | 8 | 3 | 10 | 26-25 | 27 |
| 12. უდინეზე | 21 | 7 | 5 | 9 | 30-33 | 26 |
| 13. კატანია | 21 | 7 | 5 | 9 | 20-26 | 26 |
| 14. სიენა | 21 | 7 | 4 | 10 | 15-20 | 25 |
| 15. სამპდორია | 21 | 6 | 5 | 10 | 19-25 | 23 |
| 16. ბოლონია | 21 | 5 | 7 | 9 | 24-33 | 22 |
| 17. ლეჩე | 21 | 3 | 10 | 8 | 20-32 | 19 |
| 18. ტორინო | 21 | 4 | 5 | 12 | 21-36 | 17 |
| 19. კიევო | 21 | 4 | 5 | 12 | 14-29 | 17 |
| 20. რეჯინა | 21 | 3 | 5 | 13 | 17-38 | 14 |

**ბომბარდირები:** 15 - [illegible] (ბოლონია); 14 - მილიტო (ჯენოა); 13 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი); 12 - ჯილარდინო (ფიორენტინა); 11 - ამაური (იუვენტუსი); 10 - დი ნატალე (უდინეზე), ფლოკარი (ატალანტა); 9 - აკვაფრესკა (კალიარი), კაკა (მილანი), პატო (მილანი); 8 - კავანი (პალერმო), კორადი (რეჯინა), მიკოლი (პალერმო), პანდევი (ლაციო), სარატე (ლაციო); 7 - დელ პიერო (იუვენტუსი), დენისი (ნაპოლი), ჰამშიკი (ნაპოლი), მასკარა (კატანია), კვალიარელა (უდინეზე), რონალდინიო (მილანი), სკული (ჯენოა), ვუჩინიჩი (რომა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# მასტერ კლასი შტუტგარტს

## ბაიერნის ამბიციათა საფუძვლიანობაში ეჭვი აღარავის შეეპარება

მთელი გერმანია თასის 1/8 ფინალში ერთი განსაკუთრებული წყვილის თამაშს ელოდა. თითქოს ინტრიგა იყო კიდეც, მაგრამ თითქოს არ ითვლება. ბრძოლა არ შედგა. **მარკუს ბაბელის** „შტუტგარტი" უთავმოყვარეოდ დაეცა. **იურგენ კლინსმანის** „ბაიერნმა" კი თავისი ძალა დაგვიდასტურა. უკანასკნელი ოფიციალური შეხვედრა გუნდებს სწორედ ერთმანეთში ჰქონდათ ჩატარებული - გასული წლის 13 დეკემბერს, იმავე „მერსედეს ბენც არენაზე". მაშინ შვაბების ვარსკვლავმა **სამი ხედირამ** მატჩის ბოლო წამებზე სტუმრებს ჯიბიდან ზამთრის ჩემპიონობა ამოაცალა.

თამაში საოცრად მაღალ ტემპში დაიწყო. რეკორდმაისტერი ყოველგვარი დაზვერვის გარეშე ეკვეთა მეტოქეს. ინიციატივა საკუთარ თავზე აიღეს ფლანგზე მოთამაშე ჩემპიონებმა, **ფრანკ რიბერიმ** და **ბასტიან შვაინშტაიგერმა**. პირველი სახიფათო მომენტი სწორედ ამ უკანასკნელის ჩაწოდებას მოჰყვა. ბურთს თავი **მარტინ დემიკელისმა** დაუხვედრა და **იენს ლემანის** ხარიხას სულ მცირედით გადააცილა. ისევ შვაინი აქტიურობს. მასპინძელი ფეხბურთელი რატომღაც ბურთს აუტზე გადასვლის საშუალებას არ აძლევს, ბურთს სწორედ შვაინი ეუფლება, ის იწევს სიღრმისკენ სულ რამდენიმე მეტრით და კარში ურტყამს. ლემანი უძლურია - 0:1. გადის წუთ-ნახევარი, რიბერიზე **რობერტო-ტონი-რიბერის** სუპერკომბინაციას ფრანგი ერთი მეტრიდან ლოგიკურად ასრულებს - 0:2. მატჩის მე-16 წუთზე შეხვედრის მთავარი ინტრიგა მოკვდა, მაგრამ არ მომკვდარა თამაში. „ბაიერნს" თითქოს ფრთები გამოესხა. 21-ე წუთი. **ლელი** საჯარიმოში გრძელ პასს აგდებს. ტონიმ ბრძოლა მოიგო და ზურგს უკან **კლოზეს** გააყოლა. მირო უხერხული პოზიციიდან ურტყამს. **არტურ ბოკას** ბურთი ხელზე ხვდება, თუმცა აშკარაა, რომ წინასწარ განზრახვას ადგილი არ აქვს. პენალტის ნიშნულთან რიბერი მიდის. ურტყამს უაღრესად უნიჭოდ, ზუსტად ცენტრში. ლემანი არც განძრეულა და სიმართლე ითქვას, ამის საჭიროება არც იყო. შვაბები ცოტა გონზე მოდიან. თამაში მეტოქის ნახევარზე გადააქვთ. თუმცა **ლუსიო**, დემიკელისი და **ლამი** იოლად ახერხებენ **მარიო გომესთან** გამკლავებას. „ბაიერნი" კიდევ უფრო სახიფათო ხდება კონტრშეტევებზე. 43-ე წუთზე ისევ რიბერის დრო დგება. ის ბურთს მოედნის ცენტრში იღებს, მიიწევს საჯარიმოსკენ, საჭირო პაუზის შემდეგ გენიალურ პასს აწვდის ლუკა ტონის. იტალიელს ისღა დარჩენია, მასთან შესახვედრად წინ გამოსულ მეკარეს ბურთი გვერდიდან შემოატაროს - 0:3. პირველი ტაიმი ამით სრულდება. ბაბელის გუნდი მეორე ნახევარს ისევ აქტიურად იწყებს. **იან შიმაკი** ჯარიმიდან ძლიერად ურტყამს. **მიხაელ რენზინგი** შესანიშნავად თამაშობს და ბურთს აშკარად მცველების იმედად ცალი ხელითღა იგერიებს. იქვე ჩნდება **ჩიპრიან მარიკა** და დამატებაზე ყველას ასწრებს, მაგრამ გვერდითმა არბიტრმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. ვიდეოგამეორებაზე აშკარად ჩანს, რომ ის მართალია. ისევ რეკორმაისტერის შეტევა. კლოზე ბურთს იმორჩილებს, რამდენიმე მეტრით წინ მიდის და მისგან მარჯვენა მხარეს მოძრავ ზე რობერტოს პასს აძლევს. ბრაზილიელი ლემანთან ერთი ერთზე გადის. მეკარეს ისღა დარჩენია მეტოქე მოცელოს. ისევ პენალტი. თერთმეტმეტრიანს შვაინშტაიგერი სამაგალითოდ უტყამს - 0:4. მასპინძლებისთვის ანგარიში უკვე კატასტროფას ემსგავსება. „შტუტგარტი" ცდილობს ხიფათი შექმნას... იყო კიდეც მარიო გომესის შორეული, თითქოს განწირული დარტყმა. ბურთი ძელს ხვდება. მიუნხენელები მორიგ მწვავე კონტრიერიშს იწყებენ. ამჯერად საჯარიმოს მისადგომებიდან ბურთი **ალთინთოფს** გამოაქვს. აწვდის რიბერის. ის ბურთიანად გარბის 20-25 მეტრს, უგორებს პარალელურად მოძრავ ტონის. იტალიელი ერთი შეხებით აწვდის თითქმის დიაგონალურ პასს ზე რობერტოს. ბრაზილიელი ერთი ერთზე გადის. ისევ ლოგიკური წერტილი - 0:5. რა ხდება, ნუთუ „შტუტგარტი" ისევ შვებულებაშია? მატჩი პრესტიჟის გოლით მთავრდება. თავი მარიო გომესმა გამოიჩინა. ისე თუ ამასაც თავის გამოჩენა ჰქვია, მაშინ...

ჰო, სტატისტიკისთვის... ლუკა ტონიმ გუშინ „ბაიერნში" თავისი საიუბილეო, 50-ე გოლი გაიტანა და ამისთვის მას სულ 66 შეხვედრა დასჭირდა. დებიუტიდან ასე მალე ამდენი გოლი ჯერ არავის გაუტანია.

**ული ჰიონესი:** *„დღეს მშვენივრად ვითამაშეთ. სწორედ ასეთი ხარისხის ნახვა გვინდა მომავალშიც. ფეხბურთელები შესანიშნავ ფიზიკურ ფორმაში იმყოფებიან. რაც შეეხება „შტუტგარტს", ალბათ, ისინი ჯერ კიდევ ძალიან შორის არიან თავისი საუკეთესო ფორმისგან".*

**იურგენ კლინსმანი:** *„დღეს გუნდს ჩემთვის ერთი პატარა მიზეზიც კი არ მოუცია გასაკრიტიკებლად. თამაში მართლა გრანდიოზული გამოვიდა და მისი ყურებით უდიდესი სიამოვნება მივიღე. მოთამაშეები მოქმედებდნენ ძალზე მობილურად ისეთ სიტუაციებშიც კი, როცა უბურთოდ მოძრაობდნენ. ყველანაირი მოქმედება საერთო გუნდური ინტერესიდან გამოდიოდა და ავტომატიზმამდე იყო დაყვანილი. გუნდი იმდენად კარგად იყო შეთამაშებული, რომ გოლები თითქმის ავტოპილოტის რეჟიმში გადიოდა. ვფიქრობ, ამიერიდან ჩვენს არც ერთ მეტოქეს ეჭვი აღარ შეეპარება ჩვენი ამბიციების საფუძვლიანობაში".*

**ფილიპ ლამი:** *„ხომ ხედავთ, რა კარგად გამოგვდის საქმე, როცა გუნდი ორგანიზებულად მოქმედებს დაცვაში და აგრესიულად შეტევაში. ზამთრის შეკრებამ შედეგიანად ჩაიარა. ერთადერთი რამაც შეიძლება ბუნდესლიგაში ხელი შეგვიშალოს, ეს ზედმეტი თავდაჯერებულობაა. აშკარაა, რომ ბუნდესლიგაში ყველაზე მაღალი კლასის გუნდი გვყავს. მეორე წრეში ჩვენ ამაში ყველას დავაჯერებთ. 5:1, ეს პირველი მტკიცებულება იყო"...*

**ბასტიან შვაინშტაიგერი:** *„ვიცოდით, რომ კარგ ფორმაში ვიყავით. ვიცოდით ისიც, რომ კონცენტრაცია გვჭირდებოდა, რადგან მეტოქე ჩვენთან სერიოზულ ბრძოლას აპირებდა. სწორედ ამიტომ ვითამაშეთ ასე მობილიზებულად. შედეგად ყველაფერი გამოგვივიდა. თამაშის მიწურულს ნერვიულობა არ მოგვიხდა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გუნდური თამაშის ხარისხი. ჩვენ კიდევ უფრო მეტი შეგვიძლია".*


ბასტიან შვაინშტაიგერს იენს ლემანის კარში გოლი გააქვს

ჰოლანდიური ამბები

# სტივენსი გადადგა

## ფეიენოორდმა მარიო ბეენი დაადასტურა


ჰუუბ სტივენსი ეინდჰოვენს გამოეთხოვა

გუშინ შუადღეზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ეინდჰოვენის" თავკაცი **ჰუუბ სტივენსი** თანამდებობიდან გადადგა. მან ვერაფრით შეძლო მოთამაშეთა შორის კონფლიქტებისა და გაუგებრობების აღმოფხვრა. გთავაზობთ „ეინდჰოვენის" პრესსამსახურის მიერ სპეციალურად გავრცელებულ განცხადებას: „მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვერ უზრუნველყო გუნდსა და მას შორის მტკიცე ერთიანობა". შეგახსენებთ, რომ ხსენებულმა გუნდმა ზედიზედ ოთხჯერ შეძლო ჩემპიონატის მოგება, მაგრამ მიმდინარე სეზონში ის მხოლოდ მე-5 ადგილზეა, ჩამორჩება რა ლიდერ „ალკმაარს" [illegible] 15 ქულით. სტივენსმა „ეინდჰოვენი" [illegible] წელს ჩაიბარა. მას ფილიპ[illegible] ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებდა. შეგახსენებთ, რომ ჰუუბს მწვრთნელის რანგში უმუშავია „ეინდჰოვენის" ხალგაზრდული გუნდის თავკაცად, ამას გარდა იყო „როდას" დამრიგებელი. გერმანიაში კი წვრთნიდა „შალკეს" (ვისთან ერთადაც 1997 წელს უეფას თასი მოიგო), „ჰერტას", „ჰამბურგსა" და „კიოლნს".

„ეინდჰოვენი" თითქმის ორი თვის განმავლობაში ცდილობდა შვედეთის ნაკრების 22 წლის თავდამსხმელის **ოლა ტოივინენის** შეძენას. როგორც იქნა, ფილიპსელებმა მიზანს მიაღწიეს. სკანდინაველის დებიუტი შაბათს, 24 იანვარს, „ბრედას" წინააღმდეგ შედგა. ერთადერთი რითიც მან თავი გამოიჩინა, სიმულაციის გამო მიღებული ყვითელი ბარათი იყო. ფეხბურთელი მატჩის შემდეგ „ეინდჰოვენს დანგბლადს" ესაუბრა და პირველი შთაბეჭდილება გაუზიარა: *„თანაგუნდელთა მხრიდან პასს ხშირად ვილებდი, რაც ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო. შეიძლება მთელი თამაშის განმავლობაში განსაკუთრებით ეფექტური არ ვიყავი, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ შეტევას საჭიროზე მეტ დროს ვუთმობდი. ჯერ კიდევ წინ მელის „ეინდჰოვენთან" და ზოგადად ჰოლანდიურ ფეხბურთთან შეგუების პროცესი. ჯერ კიდევ ბევრი რამე მაქვს სასწავლი ადგილობრივი სპეციფიკის. წარმოიდგინეთ, „მალმიოში" ბევრად უფრო დიდ დროს ვუთმობდით სპორტულ დარბაზში მომზადებას, რაც, საბოლოო ჯამში, უარყოფითად მოქმედებდა ფეხბურთელთა ფიზიკურ მომზადებაზე. პსვ-ში ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, რაც ჩემს ცხოვრებას ერთი ორად აიოლებს..."*

„ფეიენოორდის" სპეციალური წარმომადგენელ გუშინ ნაშუადღევს [illegible] [illegible] [illegible] ნებართვის შემდეგ ის „ნაიმეგენის" მთავარ მწვრთნელ **მარიო ბეენთან** მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მხარეთა შორის კონტრაქტი გუშინვე გაფორმდა. შეთანხმება სამ წელიწადზეა გათვლილი. ის ძალაში მიმდინარე სეზონის მიწურულს შევა. „გვინდოდა, რაც შეიძლება მალე დაგვესრულებინა მოლაპარაკება მარიო ბეენთან. ამასთან გარწმუნებთ, რომ სეზონის ბოლომდე „ფეიენოორდს" ლეონ ფლემინგსი უხელმძღვანელებს", - აცხადებს როტერდამელთა გენერალური მენეჯერი **ერიკ გადე**. აქვე გეტყვით, რომ მარიო ბეენი 2000-2005 წლებში როტერდამულ კლუბში მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა. ამას გარდა, „ფეიენოორდში" აქტიური საფეხბურთო კარიერისას 1982-1988 წლებ აქვს გატარებული.

შეგახსენებთ, რომ **გეტრან ფერბეეკის** გადაყენების შემდეგ გუნდს სწორედ **ლეონ ფლემინგსი** ხელმძღვანელობს. გთავაზობთ ამ უკანასკნელის განცხადებასაც: *„ვიცი, რომ ხელმძღვანელობამ გუნდი მხოლოდ სეზონის ბოლომდე მანდო. ასე რომ, „ფეიენოორდთან" განშორების გარდაუვალ პერსპექტივას საკმაოდ მშვიდად ვხვდები. მოხარული ვარ, რომ ასეთ მოკლე დროში უკვე მოვასწარი ფეხბურთელების ნდობისა და პატივისცემის დამსახურება".*

„ფეიენოორდში" ადასტურებენ, რომ ისინი აპირებენ **ლეო ბეენჰაკერისთვის** ტექნიკური დირექტორის პოსტის შეთავაზებას, რომელიც **პეტერ ბოშის** გადადგომის შემდეგ ვაკანტურია. ალბათ, გახსოვთ, რომ ბატონმა ლეომ გასაჭირში მყოფი კლუბის განვითარების პერსპექტივა შორს დაიჭირა. ახალ წინადადებაზე მისი პოზიცია, ჯერჯერობით, უცნობია.

**ლუის ვან გაალი** „ალკმაარის" თამაშის ხარისხით შეშფოთებულია, რაც ბოლო ტურში მისი გუნდის „გრააფსხაპის" ცუდი ასპარეზობის ბრალია (2:0 **შოთა არველაძის** გუნდის სასარგებლოდ). *„ბოლო გამარჯვებები ძალიან მძიმე შრომით მოვიპოვეთ. ეს ჩემში შეშფოთებას იწვევს"*, - განუცხადა „დე ტელეგრააფს" ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა. ეტყობა, ვან გაალი ტაქტიკას ფეხბურთელებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის იყენებს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია მისი პრეტენზიები. „ალკმაარმა" ბოლო გოლი ოფიციალურ მატჩში გასული წლის ნოემბერში გაუშვა. მას შემდეგ ალკმაარელთა ანგარიშზე ზედიზედ რვა მოგებაა, თანაც ისე, რომ საკუთარ კარში ერთი გოლიც არ მიუღიათ.

მიუხედავად იმისა, რომ აზ-ის დაცვა ბრწყინვალედ გამოიყურება, ვან გაალი მაინც ეძებს გზებს უკანა ხაზის კიდევ უფრო გასაძლიერებლად. ამ მიზნით, კლუბმა „ჰერაკლესიდან" იჯარითა და შემდგომი გამოსყიდვის პირობით 23 წლის ესტონელი მარცხენა მცველი **რაგნარ კლავანი** გადაიბირა. პროცესი ცოტა უცნაურად წარიმართა. საქმის არსს მოკლედ მოგახსენებთ: რამდენიმე კვირის წინ კლუბებს შორის ფეხბურთელის ტრანსფერზე გარიგება უკვე შედგა. ის ძალაში მიმდინარე სეზონის ბოლოს უნდა შესულიყო, მაგრამ: *„რამდენიმე დღის წინ „ალკმაარიდან" ხელახლა დამიკავშირდა მარსელ ბრანდსი და პროცედურის დაჩქარება მთხოვა. შესაბამისად, ჩვენ მოთამაშის საიჯარო ხელშეკრულება გავაფორმეთ"*, - ამბობს „ჰერაკლესის" გენერალური მენეჯერი **ნიკო-იან ჰოოგმა** (ფეხბურთის ფანებს გეხსომებათ ეს სახელი და გვარი. ის წლების განმავლობაში „ჰამბურგის" ღირსებას იცავდა). კლავანი ესტონეთის ნაკრების საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევა. 23 წლის ასაკში მის ანგარიშზე ნაკრებში ჩატარებული 52 შეხვედრაა.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა

# ევროპა საკმარისი არ არის

## ლაპორტა საპრეზიდენტო სავარძელს მაიამიში გადაიტანს

2010 წლის ზაფხულში „ბარსელონაში“ მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. ამჟამინდელ პრეზიდენტს **ჟოან ლაპორტას** კენჭისყრის უფლება აღარ ექნება. ფეხბურთშიც ისეთივე კანონი მოქმედებს, როგორიც დემოკრატიული სახელმწიფოების პოლიტიკაში. ერთ ადამიანს არჩევნებში ზედიზედ ორჯერ გამარჯვების შემდეგ თანამდებობისთვის მესამედ ბრძოლა აკრძალულია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წლისა და 6 თვის შემდეგ სენიორ ლაპორტა „ბარსას“ უმაღლესი ხელისუფლის პოსტს დატოვებს... თუმცა ლაპორტას ფეხბურთიდან წასვლა არ უნდა. ის ბუნებრივია, ხელისუფლების უზურპაციას ვერ მოახდენს. სულით ხორცამდე ბარსელონისტს კი სხვა გუნდის მართვა აზრადაც არ მოუვა. ის ნებისმიერ შემთხვევაში „ბარსელონის“ ოჯახში დარჩება, მაგრამ გასარკვევია რა სტატუსით. როგორც ამბობენ, იმ შემთხვევაში თუ მომდევნო არჩევნებში ლაპორტას თანამოაზრეთა გუნდი გაიმარჯვებს, ბატონი ჟოანი დირექტორატში მაინც არ იმუშავებს. შესაძლოა, ეს მისი ამბიციის გამოძახილი იყოს. პრეზიდენტის სავარძლიდან რომელიმე დირექტორის კაბინეტში გადანაცვლება, რა თქმა უნდა, დაქვეითებაა. ლაპორტას, ალბათ, მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი ხელისუფლის სტატუსი აკმაყოფილებს. როგორც გითხარით, საპრეზიდენტო არჩევნებში ზედიზედ მესამედ მონაწილეობა კანონითაა გამორიცხული. მიუხედავად ამისა, სენიორ ჟოანს მაინც აქვს იმის შანსი, რომ საფეხბურთო კლუბი მართოს, თუმცა ამისთვის, მას ამერიკის შეერთებულ შტატებში მოუწევს წასვლა.

საქმე ის არის, რომ „ბარსელონის“ ხელმძღვანელობას უკვე დიდი ხანია გადაწყვეტილი აქვს, ახალი გუნდი დაარეგისტრიროს, რომელიც MLS-ში ითამაშებს. სავარაუდოდ, კატალონიელთა ამერიკული კლუბი მაიამიში დაიდებს ბინას. ლაპორტასა და მის თანამოაზრეებს იმედი აქვთ, რომ მათი კლუბი დიდ წარმატებებს მიაღწევს და ამერიკის შეერთებულ შტატებში ფეხბურთის პოლულარიზაციას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. „ბარსას“ პრეზიდენტის დავალებით, ამერიკაში საბუთების ლეგალიზაციასა და იურიდიული საკითხების მოგვარებაზე მაიამის საუკეთესო საადვოკატო კანტორის მთელი ჯგუფი დაიქირავეს. როგორც ამბობენ, პროცესი ნელა, მაგრამ წარმატებით ვითარდება. ამერიკულ ბიუროკრატიასთან „ბრძოლა“ იოლი არ არის, თუმცა თუ ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებ, წარმატება გარანტირებული გაქვს. ბუნებრივია, საქმეს მხოლოდ კლუბის დაფუძნების უფლება ვერ უშველის. როცა ასეთ დიდ პროექტს ეჭიდები, კომერციული და მარკეტინგული ნიუანსები ბოლომდე უნდა იყოს გარკვეული. ამ სფეროს **ჯოშუა თომფსონი** კურირებს. ეს კაცი „ბარსელონაში“ 2003 წელს სწორედ ჟოან ლაპორტას მიწვევით დასაქმდა. თომფსონი წლების განმავლობაში აზიური ბაზრის ათვისებაზე მუშაობდა და უნდა ითქვას, რომ ძალიან დიდ წარმატებებს მიაღწია. მარტივად რომ ვთქვათ, 2003 წლის შემდეგ ჩინეთისა და იაპონიის ბაზრების ათვისება ინტენსიურად დაიწყო. ამის წყალობით, „ბარსას“ ბიუჯეტში ყოველწლიურად ათეულობით მილიონი ევრო შედის. თომსფონს ახლა ახალ გამოწვევასთან ბრძოლა მოუწევს. მან ამერიკული რეალობა უნდა შეისწავლოს და კატალონიური გრანდის ხელმძღვანელობას ამომწურავი პასუხი გასცეს - ღირს, თუ არა MLS-ში გუნდის დაფუძნება და მუშაობა. ლაპორტა დარწმუნებულია, რომ პროექტი მარკეტინგული თვალსაზრისით წარმატებული იქნება, თუმცა ის პროფესიონალია და თომფსონის დასკვნამდე ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამს. აი, იმ შემთხვევაში, თუ ბატონი ჯოშუა კატალონიელებს მწვანე შუქს აუნთებს, ჟოან ლაპორტა საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ „ბარსლონას დატოვებს და ახლადჩამოყალიბებული კლუბის მმართველის თანამდებობაზე დაიწყებს მუშაობას. პროექტის თანახმად, ამერიკული გუნდი „ბარსელონის“ სოსიოების საკუთრება იქნება. მისი მმართველობის სისტემაზე დირექტორატი ჯერ არ ჩამოყალიბებულა. ერთი ვარიანტი „ბარსას“ არჩეული პრეზიდენტის მიერ შვილობილი კლუბის ხელმძღვანელის პირდაპირ დანიშვნას მოიცავს, მაგრამ არსებობს კიდევ ვარიანტი, რომლის მიხედვითაც, ახალი გუნდის თავკაცი მისმა ახლადშეძენილმა გულშემატკივრებმა და სოსიოებმა უნდა აირჩიონ. ლაპორტა სწორედ ამ ვარიანტს ემხრობა. მისი თქმით, ვარიანტს, რომელსაც ის უფრო დემოკრატიულსა და სამართლიანს უწოდებს.



ექსპერტების აზრით, თუ პროექტს ხორცი შეესხმება და კატალონიელებს ამერიკაში გუნდი მართლაც ეყოლებათ, ამით ფეხბურთი მხოლოდ მოგებული დარჩება. ჯერ ერთი, „ბარსას“ ვარსკვლავებს კრიტიკულ ასაკში ამერიკაში წასვლისა და იქაური გულშემატკივრების გახარების შესაძლებლობა მიეცემათ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო ახალგაზრდა ფეხბურთელების პერსპექტივაა. ამერიკული გუნდი „ბარსას“ ამომავალ ვარსკლვლავებს იმის საშუალებას მისცემს, რომ ხშირად ითამაშონ და პროფესიული ზრდის პროცესს ხელი შეუწყონ. იოლი შესაძლებელია ისე მოხდეს, რომ მსოფლიო ფეხბურთის მომავალი ვარსკვლავები ყველაზე ადრე ამერიკელმა ქომაგებმა გაიცნონ.

რასინგი

# დიდი ამბავი სმოლარეკის გამო

## სანტანდერელებს სიმწრით მოპოვებული ქულების დაკლება ემუქრებათ. სმოლარეკის ტრანსფერის გამო ფეიენოორდი ფიფაში ჩივილს აპირებს

„ფეიენოორდის“ მესვეურები ფიფაში, კონკრეტულად კი ფეხბურთელის სტატუსის განმსაზღვრელ კომისიაში საჩივრის შეტანას აპირებენ. ჰოლანდიური კლუბი „რასინგს“ **ები სმოლარეკის** ტრანსფერისთვის განსაზღვრული თანხის ნაწილის გადაუხდელობის გამო უჩივლებს. საუბარია 140 ათას ევროზე, რომელიც სანტანდერელებს დღემდე არ გადაუხდიათ. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, „ფეიენოორდის“ გენერალური დირექტორის **ჟორის ვან ბენთემის** განცხადებას გაგაცნობთ: *„რასინგიდან“ 140 ათასი ევრო გვეკუთვნის. ეს არ არის 140 ევრო, რომ ხმა არ ამოვიღოთ და კოლეგებს თანხა ვაჩუქოთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავად საქმისადმი ასეთი მიდგომაა დასაგმობი და თანხის მოცულობას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ესპანელებს არაერთხელ დავურეკეთ, მაგრამ ვერაფერს მივაღწიეთ. ისინი გვპირდებოდნენ, თანხას უახლოეს დღეებში გადმოგირიცხავთო, მაგრამ პირობა რამდენჯერმე დაარღვიეს. სხვა გზა, უბრალოდ, აღარ დაგვრჩა, „რასინგს“ ფიფაში ვუჩივლებთ. სასამართლოში იმიტომ არ მივდივართ, რომ საფეხბურთო კანონმდებლობას პატივს ვცემთ. დარწმუნებული ვარ, ფიფა სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს. ყველა დოკუმენტი გვაქვს იმისთვის, რომ სიმართლე დავამტკიცოთ. სანტანდერელებმა უნდა იცოდნენ, რომ „ფეიენოორდი“ არავის არაფერს შეარჩენს.“*

სმოლარეკი კანტაბრიელებმა ერთი წლის წინ დორტმუნდის „ბორუსიიდან“ შეიძინეს. „ფეიენოორდს“ კი ამ ტრანსფერიდან გარკვეული პროცენტი ეკუთვნის. ჰოლანდიელთა წილმა სწორედ 140 ათასი ევრო შეადგინა. თუ ჟორის ვან ბენთემი ფიფაში სიმართლეს მართლაც დაამტკიცებს, უმაღლესი საფეხბურთო ორგანო ესპანურ კლუბს მკაცრ სასჯელს დააკისრებს, კერძოდ, პრიმერა დივიზიონში სიმწრით მოპოვებულ ქულებს დააკლებენ. იმ შემთხვევაში, თუ თანხას ამის შემდეგაც არ გადაიხდიან, კანტაბრიელებს დისკვალიფიკაციას მიუსჯიან და ყველა ტურნირში აუკრძალავენ მონაწილეობას. „ფეიენოორდის“ მესვეურებს, ალბათ, სანერვიულო არაფერი აქვთ. ძალიან ძნელად წარმოსადგენია, რომ პირენეელებმა 140 ათასი ევროს გამო საკუთარ კლუბს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანონ. მართალია, „რასინგის“ დირექტორატის თანამშრომლებს ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებიათ, მაგრამ „დიარიო ასის“ კორესპონდენტი **მანუელ მარკესი** აცხადებს, რომ პრეზიდენტს თანხა უკვე გამზადებული აქვს. თუ ეს სიმართლეა, იქნებ საქმე საჩივრის შეტანამდე აღარც მივიდეს.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**



ესპანიოლი

# ემერსონი კრესპოს ნაცვლად?

## ბრაზილიელი ნახევარმცველი კატალონიელებისგან საკონტრაქტო პირობების სასწრაფოდ წარმოდგენას ითხოვს



**იანვრის** სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა. გუნდებს, რომლებსაც შემადგენლობის დაკომპლექტება და გადახალისება ჯერ არ დაუსრულებიათ, ფაქტობრივად, ფორსმაჟორულ სიტუაციაში უწევთ მუშაობა. ერთ-ერთი ასეთი გუნდი „ესპანიოლია“ როგორც გითხარით, კატალონიელთა პრეზიდენტმა **დანიელ სანჩეს ლიბრემ ერნან კრესპოს** გადაბირება მოითხოვა. მისი წინადადება კოლეგებმა გულისყურით განიხილეს. რამდენიმესაათიანმა მსჯელობამ შედეგი გამოიღო. პრეზიდენტის ინიციატივას დირექტორატი მოწონებით შეხვდა.

კრების დასრულებისთანავე „ესპანიოლის“ წარმომადგენელი თვითმფრინავში ჩაჯდა და მილანს გაფრინდა. მან არგენტინელ ფორვარდთან დაჩქარებული მოლაპარაკება გამართა, მაგრამ ვიზიტი წარუმატებლად დასრულდა. კრესპომ კატალონიაში წასვლა არ ისურვა. იმედგაცრუებული სანჩეს ლიბრე გუნდის ახალმ მთავარ მწვრთნელს **მაურისიო პოჩეტინოს** შეხვდა და ალტერნატიულ ტრანსფერებზე დაელაპარაკა. მწვრთნელი და პრეზიდენტი თანხმდებიან, რომ „ესპანიოლს“ ყველაზე მეტად ფორვარდი სჭირდება, თუმცა პოჩეტინოს აზრით, გუნდს გამოცდილი და ძლიერი ნახევარმცველიც არ აწყენდა.

იმის გათვალისწინებით, რომ „ესპანიოლის“ ემისარი მილანში იმყოფება, დანიელ სანჩეს ლიბრემ არგენტინელი მწვრთნელის თხოვნით მას „ინტერიდან“ „მილანში“ გადარბენა და **ემერსონის** ტრანსფერთან დაკავშირებით „როსონერის“ ხელმძღვანელებთან დალაპარაკება დაავალა. პრეზიდენტის ბრძანება უმალ შესრულდა. კატალონიელი ემისარი იტალიური გრანდის ერთ-ერთი დირექტორის თანაშემწეს, შეხვდა და მისგან თანამშრომლობის პირობა მიიღო. იმავე სალამოს **ადრიანო გალიანისა** და **დანიელ სანჩეს ლიბრეს** სატელეფონო საუბარი შედგა. „მილანის“ მმართველი წინააღმდეგი სულაც არ არის, ბრაზილიელი ნახევარმცველი „ესპანიოლს“ დაუთმოს, თუმცა ამისათვის ყველა დეტალის შეთანხმებაა საჭირო. მხარეები ითვალისწინებენ, რომ სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე უმცირესი დრო დარჩა და მაქსიმალურად ჩქარობენ. გუშინვე გაირკვა, რომ „მონჟუიკზე“ გადასვლის წინააღმდეგი თავად ემერსონიც არ არის. თუმცა ბრაზილიელს კატალოიელებმა საკონტრაქტო პირობები მკაფიოდ უნდა ჩამოუყალიბონ.

„დიარიო სპორტის“ მტკიცებით, ეს ტრანსფერი შესაძლოა, უახლოეს საათებში რეალობად იქცეს. აღსანიშნავია, რომ ემერსონი „მილანიდან“ წასვლას უკვე დიდი ხანია ცდილობს. ამის მიზეზი მუდმივად სათადარიგოთა სკამზე ჯდომაა. „იუვენტუსისა“ და „რეალის“ ყოფილ ვარსკვლავს თამაში საკმაოდ იშვიათად უწევს. მისთვის კი მთავარი არა ხელფასი, არამედ ფეხბურთის თამაშია. მცირე ხნის წინ ის „პორტსმუთში“ გეგმავდა გადასვლას, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო გარიგება არ შედგა და ემერსონი ისევ „მილანის“ სათადარიგოთა სკამზე მოკალათდა.



ბიბლიოთეკა

რეალი

# რატომ დაურეკეს კაკამ და კრისტიანო რონალდომ ფლორენტინოს?

## ბრაზილიელი და პორტუგალიელი სუპერვარსკვლავები პრეზიდენტობის კანდიდატში წარმატებას, ტიტულსა და მატერიალურ კეთილდღეობას ხედავენ



მადრიდის „რეალის“ ყოფილი პრეზიდენტი **ფლორენტინო პერესი** ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ბრძოლას აგრძელებს. მართალია, წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ბატონი ფლორენტინო მაინც აქტიურად მუშაობს და ერთგული ადამიანების დახმარებით საზოგადოებამდე სათქმელი უპრობლემოდ მიაქვს. გუშინ მისმა ერთ-ერთმა უახლოესმა თანამოაზრემ, სამეფო კლუბის ყოფილმა დირექტორმა **ანტონიო გარსია ფერერასმა** კატალონიის რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში ძალიან საინტერესო და საგულისხმო ფაქტები გაახმაურა. მისი ინფორმაცია საგულისხმო იმიტომ არის, რომ სენიორ ფლორენტინოს პოლიტიკა არაერთი კლუბის მომავალსა და კეთილდღეობას უქმნის საფრთხეს. დარწმუნებული ვართ, ანტონიო გარსია ფერერასის სიტყვები ბევრს შეაშფოთებდა, კიდევ უფრო ბევრს კი ძალიან შეაშინებდა. ბატონმა ფერერასმა კატალონიის რადიოს წამყვანს ასეთი რამ უთხრა:

„გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ფლორენტინო პერესის ხელისუფლებაში დაბრუნების პროცესი დაწყებულია და ამის შესახებ ყველამ გაიგო. აჟიოტაჟი არა მარტო აქ, ესპანეთში, არამედ სხვა ევროპულ ქვეყნებშიცაა ამტყდარი. სენიორ პერესის გააქტიურება დიდ ინტერესს იწვევს. მოგეხსენებათ, რიგგარეშე არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ფლორენტინო რამდენიმე ვარსკვლავის გადაბირებას შეეცდება. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს პროცესი უკვე დაწყებულია. გაოცებული ვარ, რადგან ფეხბურთელები თვითონ გვირეკავენ. რა თქმა უნდა, მთავარი როლი ჩვენ უნდა შევასრულოთ, მაგრამ როგორც ჩანს, თანამედროვე ფეხბურთის უპირველეს და ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავებს არ სურთ, მხოლოდ ჩვენს ნებაზე იყვნენ დამოკიდებული და ჩვენი თხოვნის გარეშე დგამენ შემხვედრ ნაბიჯებს. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ბოლო ორი დღის განმავლობაში რამდენიმე სუპერვარსკვლავმა დაგვირეკა და სამეფო კლუბში გადასვლის სურვილი გამოხატეს. სრული პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რომ ფლორენტინო პერესს კაკა და კრისტიანო რონალდო პირადად ესაუბრნენ. ჩემი აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია. ფაქტი, რომელიც ბევრ რამეზე მეტყველებს. ფლორენტინოს სახელი ვარსკვლავებში დიდ წარმატებასთან, ტიტულების მოხვეჭასა და მატერიალურ კეთილდღეობასთან ასოცირდება. ფეხბურთელი, მით უმეტეს, საუკეთესოთა შორის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი, რომელიმე კლუბთან მოლაპარაკებებს საკუთარი ინიციატივით არასოდეს წამოიწყებს. ამ შემთხვევაში კი ყველაფერი სხვაგვარადაა. ენდეთ ჩვენს გამოცდილებას და გვერწმუნეთ, რომ კაკასა და კრისტიანო რონალდოს გააქტიურება უკვე საქმის ნახევარია. ახლა მთავარია, გულშემატკივრებმა და სოსიოებმა ჩვენი პროექტის წარმატების იწამონ და მხარი დაგვიჭირონ. მათი მხარდაჭერის გარეშე, რა თქმა უნდა, არაფერი გამოვა“.

ამ სიტუაციაში ადამიანს ბუნებრივად გაუჩნდება კითხვა. კი, მაგრამ **კაკას** და **კრისტიანო რონალდოს** თუ „რეალში“ უნდათ თამაში, მაინც და მაინც ფლორენტინო პერესს რატომ ელაპარაკებიან. ხომ შეუძლიათ, ნებისმიერ კანდიდატთან აწარმოონ მოლაპარაკება. სენიორ ანტონიო გარსია ფერერასს ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო პასუხი აღმოაჩნდა:

„რატომ ფლორენტინო და არა რომელიმე სხვა? პასუხი მარტივია. საფეხბურთო სამყაროში ყველამ ზედმიწევნით კარგად იცის, ვინ ვინ არის. ფლორენტინოს არაჩვეულებრივი რეპუტაცია აქვს. რეპუტაცია, რომელიც პატიოსნებითა და ადამიანის პატივისცემით შეიქმნა. ნებისმიერმა დიდმა ფეხბურთელმა იცის, რომ პერესი მოთამაშეს განსაკუთრებულ პატივს სცემს. ფეხბურთელის ბედნიერება მისი ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია. ფლორენტინომ მშვენივრად იცის, რომ დისკომფორტში მყოფი ფეხბურთელი შესაძლებლობების მაქსიმუმს ვერ გამოამჟღავნებს. ერთი მხრივ ის პრაგმატიკოსია, მაგრამ მეორე მხრივ, სენტიმენტალური და გულთბილი ადამიანი. სენიორ პერესი ნიჭიერ და მშრომელ პროფესიონალს უდიდეს პატივს სცემს, ყველანაირად ცდილობს მხარში ამოუდგეს და პრობლემების მოგვარებაში დაეხმაროს. აი, სწორედ ის არის იმის მიზეზი, რომ კაკა და რონალდო მხოლოდ ფლორენტინო პერესს ურეკავენ. მე ისიც ვიცი, რომ კრისტიანო რამონ კალდერონის უუნარობით გაოგნებული დარჩა, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი არ მინდა. პირობას გაძლევთ, ფლორენტინო, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ეფექტურად იმუშავებს და ყველა დასახულ ამოცანას გადაჭრის. განა ვინმე იფიქრებდა, რომ „ბარსელონიდან“ ფიგუს წამოყვანა შესაძლებელი იყო?! ალბათ, არა, თუმცა მაშინ ცხოვრებამ დაგვანახა, რომ შეუძლებელი არაფერია“.

ამასობაში, **რამონ კალდერონი** თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ სამეფო კლუბის ოფისში პირველად მივიდა. ყოფილი პრეზიდენტის ვიზიტის მიზეზი ყოფილ თანამშრომლებთან შეხვედრა გახლდათ. მისი წასვლა იმდენად სწრაფად გადაწყდა, რომ სენიორ რამონმა კოლეგებთან გამომშვიდობება ვერც მოასწრო. ამიტომ მან პირველივე შესაძლებლობით ისარგებლა და ოფისში დაბრუნდა. ექსპრეზიდენტმა ხანმოკლე გამოსვლა მთლიანად შეცდომების აღიარებასა და მონანიებას დაუთმო:

„ძალიან ვწუხვარ, რომ ბოლო დროს ჩვენს კლუბში უსიამოვნო ფაქტები მოხდა. ახლა დეტალებზე საუბრის დრო არ არის. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ „რეალისთვის“ მხოლოდ კარგი მინდოდა, მაგრამ ყველაფერი ისე არ გამოვიდა, როგორც დაგეგმილი მქონდა. დიდ მადლობას გიხდით, რომ შეხვედრაზე მოხვედით და საუბრის საშუალება მომეცით. ვიცი, თანამშრომლობის განმავლობაში ყოველთვის სამართლიანი არ ვიყავი. დარწმუნებული ვარ, ბევრ თქვენგანს ვატკინე გული. უნდა ვაღიარო, რომ დაძაბული რიტმის გამო ვღელავდი და ზოგჯერ სრულიად დაუმსახურებლად გსაყვედურობდით. პატიებას გთხოვთ. ცხოვრება გრძელდება და გამიხარდება, თუ ქუჩაში, ან ნებისმიერ სხვა ადგილზე შეხვედრისას ერთმანეთს ადამიანურად მივესალმებით. დიდი მადლობა ყველაფრისთვის. წარმატებებს გისურვებთ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს სათაყვანებელ მადრიდის „რეალში“ ყველაფერი კარგად იქნება. სამეფო კლუბი, უბრალოდ, განწირულია იმისთვის, რომ მუდმივად უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლოს. ამ საქმეში თქვენ უდიდესი როლი გაკისრიათ. ნებისმიერი წარმატება მხოლოდ და მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით მიიღწევა. ვამაყობ, რომ 2 წლისა და 6 თვის განმავლობაში თქვენთან ერთად ვმუშაობდი“.

სამეფო კლუბის თანამშრომლებმა რამონ კალდერონს ყველა ცოდვა მიუტევეს. ამის თქმის საშუალებას ის იძლევა, რომ ყოფილი პრეზიდენტის გამოსვლის დასრულებას რამდენიმეწუთიანი მხურვალე აპლოდისმენტები მოჰყვა.

ილია ნიკოლაიშვილი





WENTTO

ერთი ტელეფონი 2 სიმ ბარათით

BLUETOOTH
MP 3
MP 4
TOUCHSCREEN
CAMERA 2 MPX.
1 GB MICRO SD

DG 699

ფასი 249 ლარი

მანქანის დამტენი. მე -2 აკუმულიატორი
კაბურა. USB-კაბელი. ყურსასმენი.
სტაციონარი სატენი.
ერთ წლიანი გარანტიით
მოზის და ვენტოს მაღაზიებში

თბილისი: ვენტო- 385 395
მოზი: 20 25 25
ქუთაისი: 893 18 38 20
ბათუმი: 7 66 21

თმის გადანერგვის კლინიკა «თალიზი»

თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია. FOX-პროცედურები. წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ინტერვიუ

დევიდ ბექჰემი



# მილანში დარჩენა მინდა

დღე არ გავა, რომ იტალიურ პრესაში დევიდ ბექჰემზე რამე არ დაიწეროს. გუშინაც გამცნეთ, რომ ინგლისელის „მილანში" დარჩენის საკითხი სულ უფრო და უფრო აქტიურად განიხილება. დევიდი პირველად რამდენიმე დღის წინ შეეხო ამ თემას და ორაზროვანი განცხადება გააკეთა. გუშინ კი „კორიერე დელა სერას" ჟურნალისტს გაესაუბრა და „როსონერიში" დარჩენის სურვილი ღიად დააფიქსირა. თუმცა ჯობია ბევრი აღარ გავაგრძელოთ და სიტყვა ბექჰემს გადავცეთ.

**- ელოდით, რომ ასე კარგად წარიმართებოდა თქვენი მილანური კარიერა?**

- ნამდვილად არ მეგონა, თუ ადაპტაციის პროცესს ასე იოლად გავივლიდი. ძალიან მიხარია, რომ ამ დიად გუნდში მოვხვდი. ზუსტად ვიცოდი, რომ „როსონერიში" თავს კარგად ვიგრძნობდი, მაგრამ რეალობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. იტალიაში თავს ფანტასტიკურად ვგრძნობ.

**- ბევრი ამბობს, რომ კარიერის გაგრძელება „მილანში" გსურთ და ხანგრძლივვადიან ხელშეკრულებას გააფორმებთ.**

- „გალაქსი" ძალიან კარგი გუნდია და ამერიკაში თავს მშვენივრად ვგრძნობდი, თუმცა სიმართლის დამალვის სურვილი აღარ მქვს. დიახ, ჩემი სურვილია, რომ კარიერა „მილანში" გავაგრძელო და აქ კიდევ დიდ ხანს დავრჩე. ზემოთაც აღვნიშნე და გავიმეორებ - არ მეგონა, თუ „მილანში" ასე კარგად ვიგრძნობდი თავს.

**- ესე იგი, „მილანში" რჩებით?**

- არ ვიცი, რა იქნება მარტში და ჯერ არც მინდა ამაზე ფიქრი, მილანური ცხოვრებით ვტკბები და კიდევ ცოტა ხანს არ ვაპირებ მომავალზე ფიქრს. მე მხოლოდ ჩემს სურვილს ვაფიქსირებ, კარიერის „მილანში" გაგრძელებაზე უარს არ ვიტყოდი. მეორე მხრივ, მინდა ჩემი პატივისცემა დავაფიქსირო „გალაქსის" ხელმძღვანელების მიმართ და დავძინო, რომ მათ განაწყენებას არ ვაპირებ. თუ რაიმე გადაწყვეტილებას მივიღებ, მხოლოდ მათთან შეთანხმებით.

**- მაშინ გვითხარით, როგორ წარმოგიდგენიათ ამ საკითხის მოგვარება?**

- როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჯერ ამ საკითხზე არ ვფიქრობ და მთლიანად მომავალ პაექრობებზე ვარ კონცენტრირებული. როგრც ვიცი, ჩემი შენარჩუნება „მილანსაც" სურს და ეს ძალიან მახარებს. „როსონერის" მესვეურები არც თანხის გადახდაზე დაიხევენ უკან და ეს ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს. დაველაპარაკებით „გალაქსის" მესვეურებს და ვნახოთ, შესაძლოა შეთანხმებას ზედმეტი გართულების გარეშე მივაღწიოთ.

**- კარგი, ამ საკითხს აღარ შევეხები... გაიხსენეთ პირველი მილანური გოლი.**

- კარგი გოლი გამოვიდა და ამაში დიდი წვლილი ჩემს თანაგუნდელებს მიუძღვით, ელვისებურად წამოიღეს ბურთი საკუთარი ნახევრიდან და წამებში მეტოქის საჯარიმოს მახლობლად აღმოვჩნდით. მარჯვენა ფრთიდან დროულად ჩავერთე და ზეედორფმაც შესანიშნავი გადაცემა მომცა. ერთი ხანობა ჩაწოდებას ვფიქრობდი, საჯარიმოსაც გავხედე, მაგრამ გადავიფიქრე და პირდაპირ კარში დავარტყი. მგონი, მართლა კარგი გოლი გამოვიდა.

**- ნამდვილად ვერაფერს იტყვი. ეს გოლი შესანიშნავი გამარჯვების გვირგვინი გახლდათ.**

- მთლიანად გუნდმა აჩვენა შესანიშნავი თამაში. „ბოლონია" ურიგო გუნდი არაა და ეს გასულ ტურებში დაამტკიცა. სინიშა მიხაილოვიჩი კარგად მუშაობს და ბრძოლისუნარიან გუნდს აკეთებს. დარწმუნებული ვარ, „ბოლონია" თავის სიტყვას კიდევ იტყვის. რაც შეეხება ჩვენს გამარჯვებას, სამი ქულის აღებაში დარწმუნებული ვიყავი. ჩემი თანაგუნდელები მთელი კვირა რევანშზე ფიქრობდნენ. გემახსოვრებათ, პირველ ტურში „სან სიროზე" „ბოლონიასთან" „მილანი" 1:2-ზე დამარცხდა.

**- „ინტერი" არცთუ დამაჯერებლად თამაშობს, ალბათ ეს გახარებთ.**

- „ინტერის" თამაშებს ყურადღებით ვაკვირდებით და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ეს არის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი ევროპაში. ჟოზე მოურინიო ბრწყინვალე სპეციალისტია და შედეგებიც შესაბამისი აქვს. „ნერაძური" კარგად დაკომპლექტებული გუნდია, ყველა რგოლში ძლიერი ფეხბურთელები თამაშობენ და დიდი კონკურენციაა. სწორედ ასეთი კონკურენტი გაძლევს მოტივაციას, რომ უკეთესად ათამაშდე და მეტი იშრომო.

**- ჩემპიონთა ლიგაში „ინტერი"-"მანჩესტერს" დაუპირისპირდება, რა პროგნოზს გააკეთებთ?**

- პროგნოზებისგან თავს შევიკავებ, რადგან ერთმანეთს ორი უდიდესი გუნდი დაუპირისპირდება. „მანჩესტერ იუნაიტედს" ხუთი თითივით ვიცნობ, მიუხედავად იმისა, რომ „ოლდ ტრეფორდი" დიდი ხნის წინ დავტოვე. ამ გუნდში კვლავ ალექს ფერგიუსონი მუშაობს, მას კი თავისი ხელწერა აქვს, რომელსაც არასდროს ულალატებს. ერთმანეთს ორი ამბიციური გუნდი ერკინება და ტემპერატურა ალბათ ძალიან მაღლა აიწევს.

**- არ გენატრებათ ჩემპიონთა ლიგა?**

- ლიგა დიდებული ტურნირია და იმედია, კიდევ მომიწევს ამ გათამაშებაში ასპარეზობა. თუ „მილანში" დავრჩი, ამას მომავალ სეზონშივე გავაკეთებ. ჩემპიონთა ლიგას რაღაც განსაკუთრებული აურა აქვს, თითქოს ბურთი სხვანაირად გორავს და გულიც სხვანაირად ძგერს. როდესაც, ამერიკაში წასვლა გადავწყვიტე, ბევრი ვიფიქრე, ღირდა თუ არა ევროტურნირებზე უარის თქმა.

**- და არჩევანი მაინც ამერიკაზე შეაჩერეთ. რატომ?**

- ადრეც არაერთხელ მითქვამს, რომ ამერიკა ძალიან მიზიდავს და შესაბამისად, ამ ქვეყანაში ცხოვრება ყოველთვის მინდოდა. ამ გადაწყვეტილების მიღებას ხელი ოჯახმაც შეუწყო: ვიქტორიას შტატებში ცხოვრება სურდა, ჩემთვის კი ოჯახი ნომერ პირველია. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ამერიკული ფეხბურთის, ანუ სოკერის დონეც ძალიან მომეწონა და მივხვდი, რომ იქ განვითარებას შევძლებდი.

**- ახლა კი იტალიაში გსურთ დარჩენა. ხუთწლიანი ხელშეკრულების გაფორმება რამდენად მიზანშეწონილი იყო?**

- ხელშეკრულებაში არის პუნქტი, რომელიც საშუალებას მაძლევს, კონტრაქტი ცალმხრივად გავწყვიტო. თუმცა გამოგიტყდებით და, ამის არავითარი სურვილი არ მაქვს. როგორც აღვნიშნე, „გალაქსის" მესვეურებს ძალიან დიდ პატივს ვცემ და მათთან ურთიერთობის გაფუჭებას ნამდვილად არ ვაპირებ. შესაძლოა, უფრო მცირე ვადით ჯობდა ხელშეკრულების გაფორმება, მაგრამ ახლა ამის გარჩევას არანაირი აზრი არ აქვს.

**- კარლო ანჩელოტის როგორ შეეწყვეთ?**

- შესანიშნავად. კარლეტო ნამდვილი დიპლომატია, რასაც მასში ყველაზე მეტად ვაფასებ. ბევრ მწვრთნელთან მქონია შეხება: ზოგი დიქტატორია, ზოგი - გულჩათხრობილი და ფეხბურთელებთან დისტანციას იჭერს, ანჩელოტის კი ის ღირებულებები აქვს, რომელსაც ყველაზე მეტად ვაფასებ. ის ხშირად მიდის კომპრომისზე, შეგირდებთან მუდმივი დიალოგი აქვს და პირადად ცდილობს, თითოეული მათგანის პრობლემას ჩასწვდეს. სწორედ ამიტომ არის, რომ „მილანში" თავს ყველა ბედნიერად გრძნობს.

**- „მილანის" ტიფოზები თქვენზე უკვე სიმღერებს მღერიან.**

- მათთვის თამაში ჩემთვის უდიდესი პატივია. იტალიაში ყველაზე მეტად გულშემატკივრებმა გამაოცეს. ასეთი ემოცია და ასეთი თავდადება, აქამდე არსად მინახავს. მათთვის ფეხბურთი ყველაფერია და ამაში კაკას სატრანსფერო საგის დროს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. ინგლისში ფეხბურთი უზომოდ უყვართ, თუმცა მსგავსი არაფერი მომხდარა, როდესაც „მანჩესტერიდან" „რეალში" გადავედი.

**ლაშა ნიკლაური**

ტოტენჰემი

# რობი კინიც ბრუნდება?

## რედნაპი ლივერპულს ინგლისის ნაკრების ორ ნახევარმცველს სთავაზობს

**ჰარი რედნაპი** "ლივერპულს" გარიგებას სთავაზობს: **აარონ ლენონი** ან **ჯერმეინ ჯენასი რობი კინის** სანაცვლოდ. "მამლების" თავკაცს თავდასხმის გაძლიერება სურს. დიდი მცდელობის მიუხედავად, ლიონელი **ფრედის** ტრანსფერი არ შედგა. უფრო ადრე სანდერლენდელი **კენვინ ჯოუნსის** ტრანსფერიც ჩაიშალა (ამ უკანასკნელმა "შავ კატებთან" ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა). და აი, მწვრთნელის არჩევანი "ტოტენჰემის" ყოფილ ვარსკვლავზე შეჩერდა. რობი კინმა "ლივერპულს" გასულ ზაფხულს, 20.3 მილიონ გირვანქად მიაშურა. მერსისაიდელებს 11 მილიონი ჯერ არ გადაუხდიათ. თუ ირლანდიელი ლონდონში დაბრუნდება, ვალი ავტომატურად ჩამოიწერება.

გუშინ "ლივერპული" "ვიგანს" შეხვდა. რობი კინი გუნდის განაცხადში იყო. თამაშის წინ მერსისაიდელთა თავკაცმა **რაფა ბენიტესმა** ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ის (კინი) ჩვენი გუნდის სრულფასოვანი ფეხბურთელია. მისგან გოლების გატანას ვითხოვთ. გუნდის ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია. მოთამაშეების გაყიდვა არ გვჭირდება. ჩვენ ინგლისის ჩემპიონობისათვის ვიბრძვით. მიზნის მისაღწევად ძლიერი შემადგენლობის შენარჩუნება გვჭირდება. მან (რობიმ) იცის, რომ უკეთ თამაში შეუძლია. ყველამ იცის, რომ მას იმაზე მეტი შეუძლია, ვიდრე ხანდახან მოედანზე გვიჩვენებს."*

აქვე შეგახსენებთ, რომ რედნაპის ინიციატივით "ტოტენჰემში" დაბრუნდა კიდევ ერთი თავდამსხმელი, **ჯერმეინ დეფო**. გასული წლის იანვარში ის "პორტსმუთმა" შეიძინა. იმხანად "პორტსმუთის" დამრიგებელი მისტერ რედნაპი იყო. მაგრამ როგორც კი მას "ტოტენჰემი" ჩააბარეს, დეფო უმალ "უაით ჰართ ლეინზე" დააბრუნა. "პორტსმუთმა" ამ ტრანსფერით გვარიანი თანხა მოიგო.

რედნაპი მიღწეულით არ კმაყოფილდება და კიდევ ერთი ცნობილი ფეხბურთელის ტრანსფერზე ფიქრობს. ლაპარაკია განის ნაკრების ნახევარმცველ **სტეფან აპიაზე**. ერთი თვეა, ის "ტოტენჰემში" ვარჯიშობს. მწვრთნელს ჯერ არ გადაუწყვეტია, შესთავაზოს თუ არა მას კონტრაქტი. მისტერ რედნაპს აპიას ოსტატობაში ეჭვი არ ეპარება. მაგრამ მას ფეხბურთელის ჯანმრთელობის მდგომარეობა აღელვებს. სტეფანს მუხლის ქრონიკული ტრავმა აწუხებს. გუშინ მას "ტოტენჰემის" სარეზერვო გუნდის შემადგენლობაში რედინგელ რეზერვისტებთან უნდა ეთამაშა.

**შალვა ბიბილაშვილი**

ვარსკვლავი



რობინიოს ამჯერად გაუპატიურებაში სდებენ ბრალს

# რობინიო: ისევ სკანდალი

ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელი **რობინიო** გაუპატიურების საქმეზე პოლიცია დაიბარეს. გამოძიების ვერსიას „ტელეგრაფი" გვამცნობს: *„დანაშაული, სავარაუდოდ, მოხდა მიმდინარე წლის 14 იანვარს, ქალაქ ლიდსის ერთ-ერთ ღამის კლუბში. პოლიციას ფეხბურთელის დაკითხვაზე დაბარება ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ სურდა, მაგრამ როგორც ცნობილია, ის ბრაზილიაში „ოჯახური პრობლემების" მოსაგვარებლად გაფრინდა (ამასობაში სამშობლოში დაბადების დღეც აღნიშნა). „მანჩესტერ სიტის" ვარსკვლავი სამართალდამცავების წინაშე თავის ადვოკატებთან ერთად გამოცხადდა. მან დნმ-ის ანალიზისთვის სტანდარტული პროცედურა გაიარა, რის შემდეგაც ის დაჰკითხეს, გამოძიებისთვის „სამახსოვრო" ფოტოები გადაუღეს და შინ გაუშვეს..."*

*„ჩვენ ვადასტურებთ, რომ დღეს რობინიო გამომძიებლებს შეხვდა. სისხლის სამართლის საქმე აღძრულია და ჩემმა კლიენტმა გამოძიებას მის ხელთ არსებული ყველანაირი ინფორმაცია მიაწოდა. რობინიო კატეგორიულად უარყოფს ნებისმიერ ბრალდებას. ის მზადაა, პოლიციასთან იმდენ ხანს ითანამშრომლოს, ვიდრე ეს საქმეს დასჭირდება"*, - წერია სამხრეთამერიკელი ფეხბურთელის ოფიციალურ საიტზე მისი წარმომადგენლის **კრის ნათანიელის** განცხადებაში.

**შალვა ბიბილაშვილი**

არგენტინა

# მარადონამ გუნდი შეკრიბა

საფრანგეთთან ამხანაგური მატჩისთვის, რომელიც 11 თებერვალს მარსელის "ველოდრომზე" უნდა გაიმართოს, **დონ დიეგომ** შემადგენლობა დაასახელა. რაც მთავარია, **ჟოან ლაპორტასთან** შეთანხმების საფუძველზე მან ნაკრებში უხმო **ლეო მესისაც**. აი, არგენტინელთა ლაშქარი:

**მეკარეები** - ხუან კარისო (ლაციო), სერხიო რომერო (ალკმაარი);

**მცველები** - ნიკოლას ბურდისო, ვალტერ სამუელი, ხავიერ ძანეტი (ყველა ინტერი), მარტინ დემიკელისი (ბაიერნი), გაბრიელ ჰაინცე (რეალი), კატა დიასი (ხეტაფე);

**ნახევარმცველები** - ფერნანდო გაგო (რეალი), ხავიერ მასკერანო (ლივერპული), მაქსი როდრიგესი (ატლეტიკო), ხონას გუტიერესი (ნიუკასლი), ლუჩო გონსალესი (პორტუ) ანხელ დი მარია (ბენფიკა);

**თავდამსხმელები** - ლიონელ მესი (ბარსელონა), სერხიო აგუერო (ატლეტიკო), კარლოს ტევესი (მანჩესტერი), ესეკიელ ლავესი, ხერმან დენისი (ორივე ნაპოლი), ლისანდრო ლოპესი (პორტუ).

**შალვა ბიბილაშვილი**




(გაგრძელება)

ჩემპიონატის სტარტის მოლოდინში, მძიმე წინათგრძნობისა და მოწყენილობისგან თავის დასაღწევად, ქალაქში სასეირნოდ მივდივართ. ყოველ დილით 7 საათზე ვდგებით. დღე ძალიან დიდხანს გრძელდება. ვცდილობ, ჩემთვის სასარგებლოდ გავატარო დრო, ამიტომაც წიგნების ყუთში ვიქექები, **ლოპესი ბატენეისთან** ერთად დროს კორტზე ატარებს, სხვები პინგ-პონგს ან ბილიარდს თამაშობენ. დგება დღე, როცა საფირმო პიჯაკებს ვიცმევამთ და ჰალსტუხებს ვიკეთებთ. საფრანგეთის საელჩოში გველიან, რომელიც ჩვენს საპატივსაცემად მიღებას აწყობს.

სასტუმროში პირდაპირ შევეჯახეთ საკითხს უგზო-უკვლოდ დაკარგულების შესახებ. ვცდილობთ, ყურადღება არ მივაქციოთ ბოიკოტის შესახებ მოთხოვნებს, არადა, მოპიკეტეები ამას ძალიან ხმამაღლა აკეთებენ. **როშტოსა** და **გიიოს** თავკაცობით ვცდილობთ შევასრულოთ ის ჰუმანიტარული მისია, რომელიც სამშობლოში დაგვაკისრეს. საფრანგეთიდან გამოფრენამდე, „უგზო-უკვლოდ დაკარგული ან დაკავებული ფრანგების ნათესავთა და მეგობართა ასოციაციამ" გადმოგვცა სია, რომელშიც 22 გვარი შეიტანეს, თითო დაკარგული - ნაკრების ყოველი მოთამაშისთვის. არგენტინაში ჩვენს ელჩს ამ საქმის გამოძიება დაევალა...

დომინიკ როშტო, რომელსაც ყველაფერი ჩვენზე მეტად აღელვებს, მუდმივად ცდილობს წაგვიკითხოს სტატიები არგენტინაში მძიმე მოვლენების შესახებ. მაგრამ ჩვენ სრულებითაც ვერ ვგრძნობთ იმ მწვავე პოლიტიკულ კლიმატს, როგორსაც პრესაში აღწერენ. როგორც ჩანს, მსოფლიოს ჩემპიონატმა საყოველთაო ზეიმი და ბედნიერება მოიტანა, რაც ასახულია ამ დიდ ქალაქში მრავლად გაკრულ აფიშაზე, საიდანაც მომღიმარი არგენტინელები გვიცქერენ.

სულ მალე, არგენტინის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავით მარ-დელ-პლატაში გავფრინდით, სადაც ჩემპიონატის პირველი მატჩი უნდა გავმართოთ.

გაფრენამდე ერთი საათით ადრე, მომავალი მატჩის ატმოსფეროთი განვიმსჭვალეთ. კარგად ვიცით, რომ 12 ათასი კილომეტრის მოშორებით, დროში სხვაობის მიუხედავად, მილიონობით ფრანგი ელის ჩვენს პირველ დარტყმას ამ ტურნირზე.

მარ-დელ-პლატა - საუცხოო საზღვაო კურორტია. ადგილობრივი მოსახლეობის 26 პროცენტს იმიგრანტების შვილები შეადგენენ, რომლებიც აქ მეორე მსოფლიო ომამდე გადმოსახლდნენ. ისინი, ძირითადად, თევზაობით ირჩენენ თავს.

სტადიონზე ხმაურიანი, გიჟური და ოდნავ მხიარული მიღება გვქონდა. ვიღაც ცელქმა ორ უზარმაზარ ელექტრონულ ტაბლოზე ტელეკონტროლი დაანესა - ის საკუთარ დაშიფრულ შეტყობინებებს გადასცემს: იტალია - 3, საფრანგეთი - 1. ასეთი იყო ჩვენი ქვეყნის გუნდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამართული ერთადერთი მატჩის ანგარიში... 45 წლის წინ! ნაღვლიანი მოგონებაა.

გულშემატკივრებს შორის გზას ვიკვლევთ, რათა მოკრძალებულ და მყუდრო გასახდელში მოვასწროთ მატჩისთვის მომზადება. **დომინიკ ბატენეი** მინდვრამდეც კი არ გვაცილებს. ის პირდაპირ ტრიბუნებისკენ მიემართება, რათა თავის და ჩემს მეუღლესთან ერთად იქიდან ადევნოს თვალი თამაშს. ისინიც ამ დაუვიწყარი მოგზაურობის მონაწილენი არიან. სიმართლე ითქვას, დომინიკმა ცუდად აღიქვა მისი თამაშიდან მოკვეთა.

პრესკონფერენციის შემდეგ, როცა გაკვირვებულმა ჟურნალისტებმა მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ იტალიასთან მატჩისთვის შემადგენლობაში ორი დომინიკი (როშტო და ბატენეი) არ იქნებოდა, იდალგომ ხელი მოჰკიდა ბატენეის და გვერდით გაიყვანა. შემდეგ სამივემ მწვრთნელთან ოთახში განვიხილეთ ეს საკითხი. მე დომინიკის შემადგენლობაში დაყენების მომხრე ვიყავი.

მინდორზე ის ძალიან ბევრს მუშაობს და მაქსიმალურად მიმართივებს საქმეს. დომინიკი - საფრანგეთის ნაკრების ძირითადი მოთამაშეა. მასზეა აგებული დაცვის პირველი ეშელონი, ის აძლევს მთელ თამაშს აღმაფრენას. მაგრამ იდალგო ირწმუნება, რომ ბატენეი ფიზიკურად არ არის მზად ამ თამაშისთვის. სწორედ მაშინ წარმოთქვა მწვრთნელმა თავისი განთქმული ფრაზა: „წონის მომატების ნაცვლად, სიგანეში გაიზარდა". ამ მკაცრმა სიტყვებმა დიდი გაუგებრობა გამოიწვია.

მოკლედ, ბატენეის საკითხი დიდი პრობლემა იყო...

მატჩის წინ, გასახდელში უსიამოვნო მოვლენები ვითარდება. საქმე ისაა, რომ ყველა ჩვენგანს ეტიკეტებს გვაკრავენ, რაღაც სიმბოლურ ხაზებს გვაკერებენ, რაშიც ასევე სიმბოლურად გროშებს გვიხდიან...

ფირმა „ადიდასმა" 1500 ფრანკი გადმოგვირიცხა. შემდეგ, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად, მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის სანაცვლოდ თანხა 1600 ფრანკამდე გაზარდეს. უბრალოდ, სასაცილო თანხაა.

რაღაც უნდა მოგვემოქმედებინა, გადადება არ შეიძლებოდა. გვიახლოვდებოდა მატჩი საფრანგეთსა და იტალიას შორის. და უკვე გასახდელში, უშუალოდ მატჩის წინ, წმინდა სიმბოლური საქციელი ჩავიდინეთ - ფუნჯით არ განვაახლეთ „ადიდასის" სამი ცნობილი ხაზი.

პუბლიკამ ამის შესახებ არაფერი იცის, მაგრამ ყოველი საერთაშორისო მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე, მთელი გუნდი მღებავად იქცევა ხოლმე. ფირმის წარმომადგენელი **რემეტერი**, რომელიც უზადოდ ფლობს თავის საქმეს, შემოვლას იწყებს - ათვალიერებს ჩვენს ბუცებს და პატარა ქილით საღებავს გვაძლევს. თუ საჭიროება მოითხოვს, ის თავად მონაწილეობს ამ რიტუალში და კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ნამდვილი დიდოსტატია.

და უცებ, საშინელება ხდება: მასობრივი უარი. ფუნჯების გაფიცვა!

რემეტერი აშკარად გაოგნებულია.

იდალგო - განცვიფრებული.

მხოლოდ **ანრი მიშელი**, - რომელსაც ამ სავაჭრო ფირმასთან ინდივიდუალური კონტრაქტი აქვს და მისი გარემოცვიდან რამდენიმე ჯიუტი, არ მონაწილეობს გაფიცვაში.

დრო მიდის.

დრო გარბის.

სიტუაცია დაძაბულია.

როგორც იქნა, მსაჯის სასტვენი ჩვენს ყურადღებას იპყრობს და დაძაბულობას გვიხსნის. ეს რუმინელი **რაინეა** უსტვენს. არბიტრი საგულდაგულოდ გვათვალიერებს მანამ, სანამ მოედანზე გავალთ.

13:43. „მარსელიოზას" ბოლო ჰანგები.

13:44. გუნდების ოფიციალური ფოტოგადაღება.

13:45. ბურთი თამაშშია.

13:46. **სიქსის** გარღვევა მარცხენა ფლანგზე. შესანიშნავი პასი შორეული კუთხისკენ. **ლაკომბი** გადახტა და ბურთს თავით შეწვდა. გაოგნებული **ძოფი** კარის ხაზზე დგას.

დარტყმა! გოლი!

საფრანგეთი იგებს - 1:0.

ეს იყო მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე სწრაფი გოლი.

ნახევარი საათის შემდეგ, წონასწორობა აღდგა - 1:1.

ერთი საათის შემდეგ - წაგება. 1:2!

ჯილდოს სახით „სიმულაციისთვის" ყვითელ ბარათს ვიღებ - ეს მოწინააღმდეგის კარიდან 20 მეტრის მოშორებით მოხდა. იგივე სასჯელი **ანრი მიშელმა** მიიღო. დროც არ გვაქვს, რომ ჩვენი ბოლო შესაძლებლობა განვიხილოთ: ჯარიმა შესანიშნავი პოზიციიდან - კარამდე სულ ოცი მეტრია. ცენტრალური თავდამსხმელის როლი ვიტვირთე, ბოლო რისკზე წავედი და ჩემი მოწინააღმდეგეების გარემოცვაში შევეცადე, უკეთესი პოზიცია შემერჩია... ისმის სასტვენის ხმა, რომელიც თამაშის დასრულებას გვაუწყებს. აბსოლუტურად ინდიფერენტული არბიტრი, რომელსაც ჩვენ მიმართ არანაირი ილუზია არ გააჩნია, სამჯერ უსტვენს, რათა კიდევ უფრო გაამიზეზოს ჩვენი ჭრილობა. დასასრული.


ლაკომბის გოლი იტალიელთა კარში


პლატინი ნინ ტარდელი (14) და ბელუჯი დგანან

გასახდელის კართან საშინელი ხმაური ისმის. ჩემი კლუბის პრეზიდენტი **კლოდ კიუნი** ასეთ ფრაზას ისვრის: *„იდალგო - საცოდავი ტიპია. ჩამოვიდეს „ნანსიში" და ვანახვებთ, როგორ უნდა ნამდვილი გუნდის მომზადება".*

მე დავიღალე.

მე იმედგაცრუებული ვარ.

მე მრცხვენია...

*(გაგრძელება იქნება)*

**გია თვალაბეიშვილი**

ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი

# ნააგო, მაგრამ მაინც გაჩემპიონდა...


მაია ლომინეიშვილი

მეთერთმეტე ტური. ქალები: მიქაძე - მელია - 0:1; დანელია - არაბიძე - 0,5:0,5; ხუხაშვილი - პაიკიძე - 1:0; ხურციძე - ლომინეიშვილი - 1:0; გვეტაძე - გაფრინდაშვილი - 1:0; გურამიშვილი - ნანალაშვილი - 0,5:0,5;

ვაჟები: გაგუნაშვილი - ფანცულაია - 0,5:0,5; ბალათუროვი - მჭედლიშვილი - 0,5:0,5; სანიკიძე - შანავა - 1:0; აზალაძე - მალალაშვილი - 1:0; ბენიძე - ჭარხალაშვილი - 0,5:0,5; მარგველაშვილი - არუთინიანი - 0,5:0,5; ბრეგაძე - ნიგალიძე - 0:1.

უცნაურად დასრულდა ქალთა ჩემპიონატი - ჩემპიონი ის გახდა, ვისაც ველოდით, მაგრამ დიდი შანსი იყო, სურათი შეცვლილიყო და ტახტრევანზე პატარა **ნაზი პაიკიძე** გვეხილა. საქმე ასე იყო: ბოლო ტურის წინ **მაია ლომინეიშვილი** პაიკიძეს ნახევარი ქულით უსწრებდა, გადამწყვეტ პარტიას კი შავებით ეთამაშებოდა ფინიშის სწორზე სიჩქარეაკრებილ **ნინო ხურციძეს**, ხოლო პაიკიძე შავებით **სოფიკო ხუხაშვილს** უნდა დაპირისპირებოდა. ლომინეიშვილმა ცუდად წარმართა შეხვედრა და მთელი მატჩის განმავლობაში თავის დაცვა უწევდა. ნაზიმაც ვერ მოიპოვა უპირატესობა, მაგრამ გამოკვეთილად ცუდი პოზიცია არ ჰქონდა და შეეძლო ქულის დაცვა. მაიამ ვერ შეძლო მუქარების აცილება და დამარცხდა, მაგრამ მისდა ბედად, ვერც პაიკიძემ მოახერხა კარგად თამაში - საშამათო ქსელიდან თავი ვერ დაიძვრინა და მარცხის ნიშნად საათი გააჩერა. არც ხუხაშვილს და არც ხურციძეს ლომინეიშვილთან გათანაბრება არ შეეძლოთ, მაგრამ ნაზის კი დაეწივნენ ქულათა რაოდენობით და მეორე-მესამე ადგილებზე გასვლის შანსი მიიღეს; ლომინეიშვილი კი ყველაზე მოგებული დარჩა - ჩემპიონის ტიტული ერგო. უცნაურია, მაგრამ წაგებით რომ ჩემპიონი ხდებოდეს სპორტსმენი, იშვიათია. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ 6,5 ქულა კიდევ ორმა მონაწილემ დააგროვა - **სალომე მელიამ** და **სოფიკო გურამიშვილმა**. ამათ შორის საუკეთესო კოეფიციენტს უნდა გამოევლინა. მთავარმა მსაჯმა **ევგენი მელიქსეთ-ბეგმა** ამცნო მონაწილეებს საბოლოო შედეგები. მეორე ადგილზე ნინო ხურციძე გავიდა, მესამეზე - სოფიკო ხუხაშვილი. ფულადი პრიზი მე-4 ადგილზე გასულსაც ხვდება. ბედმა ამჯერად სალომე მელიას გაუღიმა. მეხუთეზე გავიდა ნაზი პაიკიძე, სოფიკო გურამიშვილი კი მე-6 ადგილს დასჯერდა. კვლავ წააგო **ნონა გაფრინდაშვილმა** - შავებით დამარცხდა **სოფიო გვეტაძესთან** და კოეფიციენტის გამო ბოლო, მე-12 ადგილზე გავიდა. მისმა კონკურენტებმა - **მარიამ დანელიამ** და **მერი არაბიძემ** ერთმანეთში ყაიმით ითამაშეს და ნონას დარად 3,5 –3,5 ქულა დააგროვეს.

ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ ჩემპიონმაც და პრიზიორებმაც, მეოთხეადგილოსნის ჩათვლით, რეიტინგში დაიკლეს(?!) ასეთი რამ თითქმის წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია და ვერსად გავექცევით. საერთოდაც, ამ ჩემპიონატში, მხოლოდ ოთხმა გოგონამ მოიმატა რეიტინგში, დანარჩენმა რვამ კი დაიკლო. ლომინეიშვილმა 1,5 ქულა დაკარგა, ხურციძემ - 4, ხუხაშვილმა სამი და მელიამ - 4. ყველაზე მეტი - 27 პუნქტი გაფრინდაშვილს ჩამოაკლდება, ხოლო ყველაზე მეტი მატება პაიკიძეს აქვს – 28. გურამიშვილი 27,5 ქულას მოიმატებს, ნანალაშვილს 24 ქულა ჩაეწერება აქტივში. მეოთხე ბედნიერი მირანდა მიქაძეა - 3 ქულით გაეზრდება რეიტინგი.

საბოლოო ცხრილი: 1. მაია ლომინეიშვილი - 7; 2. ნინო ხურციძე - 6,5. 3. სოფიკო ხუხაშვილი - 6,5; 4. სალომე მელია - 6,5; 5. ნაზი პაიკიძე - 6,5; 6. სოფიკო გურამიშვილი - 6,5; 7. ქეთი ნანალაშვილი - 5,5; 8. სოფიო გვეტაძე - 5,5; 9. მირანდა მიქაძე - 5; 10. მერი არაბიძე - 3,5; 11. მარიამ დანელია - 3,5; 12. ნონა გაფრინდაშვილი - 3,5.

ვაჟთა შორის ორი ტურია დარჩენილი და აქაც საინტერესოდ ვითარდება მოვლენები: ერთპიროვნულმა ლიდერმა **მიხეილ მჭედლიშვილმა** შავებით **გიორგი ბალათუროვთან** ქულა გაიყო და მეტოქეებს დაწევის შანსი მისცა. ამ შანსით მხოლოდ **თორნიკე სანიკიძემ** ისარგებლა, რომელმაც თეთრებით **კონსტანტინე შანავა** დაამარცხა - სანიკიძესაც 7 ქულა აქვს და მჭედლიშვილთან ერთად ტანდემში ლიდერობს.

სატურნირო მდგომარეობა 11 ტურის შემდეგ: 1-2. მიხეილ მჭედლიშვილი - თორნიკე სანიკიძე - 7-7; 3-4. მერაბ გაგუნაშვილი - გიორგი მარგველაშვილი - 6,5-6,5; 5-6. ლევან ფანცულაია - გაიოზ ნიგალიძე - 6-6; 7-8. შოთა აზალაძე, დავით მალალაშვილი - 5,5 -5,5; 9-11. კონსტანტინე შანავა, გიორგი ბალათუროვი, დავით ბენიძე - 5-5; 12-13. დავით არუთინიანი, ლევან ბრეგაძე - 4,5; 14. ინგა ჭარხალაშვილი - 3,5.

დღეს ხვდებიან: ფანცულაია - მარგველაშვილი; მჭედლიშვილი - გაგუნაშვილი; შანავა - ბალათუროვი; მალალაშვილი - სანიკიძე - ჭარხალაშვილი - აზალაძე; ბრეგაძე - ბენიძე; ნიგალიძე - არუთინიანი

**ზვიად შათირიშვილი**

ძიუდო

ახალი თაობა. ინტერვიუ ადამ ოქრუაშვილთან

# რომ შვილი სჯობდეს მამასა...


მარცხნივ ადამ ოქრუაშვილი

**ფოიეში ახლობლები შემოხვეოდნენ და შვილის წარმატებას ულოცავდნენ ჭალარათმიან კაცს, რომელიც სახემლიმარი მადლობას უხდიდა ყველას, ვინც მისი სიხარული გაიზიარა.**

**- დიმიტრი, გული ხომ არ დაგწყდა, შვილმა რომ გაჯობა? - ჰკითხა ერთ-ერთმა მეგობარმა.**

**- რას ამბობ, კაცო. ნეტავ, ჩემი მარინეც მოსწრებოდა ამ დღეს და მეტი არაფერი მინდოდა... - სახე მოუნაღვლიანდა.**

**დიმიტრი ოქრუაშვილი** ჭაბუკობისას კარგ ფალავნად მიიჩნეოდა. ქართულ ჭიდაობაში, სამბოსა და ძიუდოში ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა 1983 წელს თბილისის ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალში გერმანელ ევროპის ჩემპიონ **შტორს** სძლია, გადამწყვეტი პექრობა კი სახელოვან **გრიგორი ვერიჩევთან** დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა. წინა წელს იაპონელ ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონ **საიტოსაც** შეხვედრია. თავად ხომ ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი ჭიდაობა, ვაჟიშვილსაც გადასდო ტატამისა და კიმონოს სიყვარული. ეს იყო მხოლოდ, დავაჟკაცებულს დროდადრო წამოსძახებდა ხოლმე, როდის იქნება, ჩემი შედეგი გააუმჯობესოო?! ადამიც ძალ-ღონეს არ იშურებდა და 2009 წლის 25 იანვარს ოცნებას ფრთები შეასხა - თბილისის მსოფლიოს თასის გათამაშებაზე კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიპყრო.

- ამ შეჯიბრებისთვის დიდი მონდომებით ვემზადებოდი **შოთა ხაბარელისა** და ჩემი პირადი მწვრთნელის **ბიძინა მოხევიშვილის** ხელმძღვანელობით, - მითხრა **ადამ ოქრუაშვილმა**. - შარშან დეკემბერში ეროვნულ ჩემპიონატზე **ალექსი დავითაშვილთან** დავმარცხდი და მხოლოდ მესამე ადგილი მერგო. მაშინ ვთქვი, რადაც უნდა დამიჯდეს, თბილისის ტურნირი უნდა მოვიგო-მეთქი. მით უმეტეს, რომ ეს ჩემი მეოთხე ცდა იყო. შარშან და შარშანწინ ბრინჯაოს მედლები მოვიპოვე. ამჯერად ტურნირის სტარტზე ბერძენ **გიანის არზუმანიდისს** დავუპირისპირდი. კარგი მოჭიდავე აღმოჩნდა. მთელი შეჯიბრების განმავლობაში მხოლოდ მან ამართვა იუკო, თუმცა გამარჯვებისთვის ეს არ ეყო, რადგან მანამდე ეფექტური გდებით ვაზარი დავიმსახურე.

2007 წელს რუმინეთის საერთაშორისო ტურნირზე ფრანგმა **მეტიო ტორემ** მაჯობა, ამიტომ თბილისის ტატამზე რევანშის წყურვილით გავედი მასთან საჭიდაოდ და მეორე წუთზე იპონით მიზანსაც მივაღწიე. **ზვიად ხანჯალიაშვილთან** ნახევარფინალური პაექრობის ძირითადი დრო უშედეგოდ დამთავრდა. დამატებით სამ წუთში კი მასაც იპონით ვაჯობე.

**- ფინალი საკმაოდ იოლად მოიგე...**

- მჯეროდა, რომ ტურნირში გავიმარჯვებდი, მაგრამ გადამწყვეტ ბარიერს ასე თუ გადავლახავდი, ვერ წარმომედგინა. მოგეხსენებათ, ლაშა გუჯეჯიანი სახელოვანი ფალავანია - ოლიმპიური თამაშების ორგზის მონაწილე, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი. ოფიციალურ ტურნირებში არასდროს შევხვედრივართ ერთმანეთს, ვარჯიშებზე კი ხშირად გამიწევია სპარინგპარტნიორობა. მსოფლიოს თასის ფინალში ორი იუკოთი, ვაზარითა და შებოჭვით მოვუგე. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. კვარცხლბეკზე მდგარი ცალ თვალს იმ ტრიბუნისკენ ვაპარებდი, სადაც მამა იჯდა. ერთი სული მქონდა, როდის გადავეხვეოდი და მაინტერესებდა, რას მეტყოდა.

**- მერე, რა გითხრა?**

- ბოლოს და ბოლოს, მაინც მაჯობეო. მარტო რომ დავრჩი, სინანულმა შემიპყრო... ძალიან მომინდა, იმ წუთას დედაც ყოფილიყო დარბაზში. ო, როგორ გაუხარდებოდა ჩემი წარმატება... მაგრამ მე ხომ დედა ხუთი წლის წინ გარდამეცვალა... ბავშვობიდანვე დედის რამდენიმე ლერ თმას ვინახავ თილისმად. ყოველი შეჯიბრების წინ თანადგომას დედას ვთხოვ და ვგრძნობ, რომ მისი უხილავი ძალა მეხმარება...

ადამ ოქრუაშვილი 20 წლისაა (1988 წლის 1-ელ იანვარს დაიბადა). ძიუდოში ვარჯიში 15 წლისამ დაიწყო. 2004 წელს კადეტების ევროპის პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა, მომდევნო წელს კი „ბრინჯაოს" დასჯერდა. 2006 წელს ჰოლანდიის საერთაშორისო ტურნირზე ყველას აჯობა, ევროპის გუნდურ ჩემპიონატსა და აბსოლუტურ პირველობაზე მესამე ადგილები დაიკავა: საგულისხმოა, რომ კონტინენტის გუნდურ პირველობაზე ისრაელის ნაკრებთან შეხვედრისას „ბრინჯაოს" ბედი სწორედ ადამის იპონმა გადაწყვიტა. 2007 წელს სუმოში ევროპელ თანატოლებს აჯობა, მსოფლიოს პირველობაზე კი მეორე იყო. იმასაც გეტყვით, რომ ადამ ოქრუაშვილს, ჭიდაობის გარდა, კალათბურთი და რაგბიც იტაცებს, უყვარს ლექსების კითხვა. ყველაზე მეტად ვაჟა-ფშაველას პოეზია მოსწონს - დიდი მგოსნის სურათს ჯერ კიდევ ჭაბუკობისას მიუჩინა სპორტული კოლექციის გვერდით ადგილი.

და მაინც - ტატამი და კიმონო ყველაფერს ურჩევნია. თბილისის მსოფლიოს თასის მოპოვების შემდეგაც მონდომებით განაგრძობს ვარჯიშს, რათა სხვა ტურნირებზეც წარმატებით იასპარეზოს. რამდენიმე დღეში ეროვნულ ნაკრებთან ერთად საფრანგეთს გაემგზავრა და პარიზის სუპერთასის გათამაშებაზე გამოვა.

- წინა წლებში სამჯერ ვცადე ბედი, მაგრამ სამწუხაროდ ყოველთვის ხელი მომეცარა. იქნებ პარიზში მეოთხე ცდა აღმოჩნდეს შედეგიანი. ყველაფერს გავაკეთებ, რათა ნაკრებში ადგილი დავიბევო და ევროპის ჩემპიონატზე ვიჭიდავო, რომელსაც აპრილში თბილისი უმასპინძლებს, - მითხრა ახალგაზრდა ფალავანმა. მისი ხასიათი რომ ვიცი, მიზნის მისაღწევად არაფერს დაიშურებს.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

სამთო-თხილამურები


იასონ აბრამაშვილი

# პირველად, მსოფლიოს თასზე

20 წლის **იასონ აბრამაშვილი** ჩვენს მოქმედ სამთო-მეთხილამურეთა შორის ყველაზე გამოცდილია. მას ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე (არცთუ ურიგოდ) და მსოფლიოს ორ ჩემპიონატში, იტალიურ ბორმიოსა (2005 წ.) და შვედურ არეში (2007 წ.) უასპარეზია. იგი დღე-დღეზე ვალ დიზერში (საფრანგეთი) მისთვის მსოფლიოს მესამე ჩემპიონატშიც ჩაებმება. მაგრამ აქამდე იასონ აბრამაშვილი არასოდეს ყოფილა მსოფლიოს თასის თუნდაც ერთი ეტაპის მონაწილე. მსოფლიოს თასი უპრესტიჟულესი ტურნირია და მიმდინარე ეტაპებს ტელეკომპანია „ევროსპორტი" პირდაპირ ეთერში აშუქებს. ქართული სამთო-მეთხილამურეობა დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნის, ასე რომ, ჩვენთვის მსოფლიოს თასის ეტაპზე მონაწილეობა უკვე წარმატებაა, რაც ხაზგასმით აღნიშნეს კიდეც მსოფლიოში ცნობილმა სპეციალისტებმა და თვით გამოჩენილმა სპორტსმენებმა. იასონმა მსოფლიოს თასს გემო სამშაბათს, ავსტრიულ შლადმინგში გაუგო, სადაც სლალომი გაიმართა.

იასონ აბრამაშვილმა ამ სეზონში „სითიზენის" დონის სამი ტურნირი მოიგო. ასე რომ, უფრო მაღალ დონეზე მის გამოჩენას ველოდით კიდეც. შლადმინგში 75 მეთხილამურე შედგა სლალომის ტრასის, „პლანაის" სტარტზე. აბრამაშვილი 73-ე ნომრით იყო. ჩვენმა თანამემამულემ „პლანაის" ტრასა 51,16 წამში ჩაისრიალა, ლიდერს 3,43 წამით ჩამორჩა და 43-ე ადგილი დაიკავა. როგორც ხედავთ, მან საკმაო ნაწილს გაუსწრო, თუმცა მათ შორის ვინც ტრასის ჩამთავრება შეძლო და არც დისკვალიფიკაცია შეხებია, იასონმა მხოლოდ 4-ს აჯობა. მსოფლიოს თასის ეტაპზე მეორე ცდის უფლება 30 უსწრაფეს მონაწილეს მიეცა. სლალომი კი ავსტრიელმა **რაინფრედ ჰერბშტმა** მოიგო, რომელიც პირველი ცდიდანვე დაწინაურდა.

**ელენე გედევანიშვილის** უმცროსი ძმა, **დიმიტრი** 30 იანვარს 16 წლისა შესრულდება. ის ამერიკაშია და სხვადასხვა ტურნირში ასპარეზობს. სამშაბათს დიმიტრიმ პირველად სცადა ბედი სამთო თხილამურობის ისეთ ურთულეს შეჯიბრებაში, როგორიც სწრაფდაშვებაა. ქართველმა FIS-ის ეგიდით გამართულ სწრაფდაშვებაში კურორტ შუგარლოუვში მიიღო მონაწილეობა, ორივე ცდა 99-მა მონაწილემ ჩაამთავრა, დიმიტრი გედევანიშვილი 59-ე ადგილზე გავიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## მილოცვა

**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის თანამშრომლები ვულოცავთ გენერალურ დირექტორს, ბატონ ირაკლი მეძმარიაშვილს დაბადების დღეს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ბედნიერებას, წარმატებებს, ენერგიას და მხნეობას, მისი თაოსნობით წამოწყებული ყოველი საქმის ღირსეულად დასაგვირგვინებლად.**

**უფალი ფარავდეს მას და მის ოჯახს.**

## სპორტული ფედერაციების საყურადღებოდ!

**„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი სპორტის სახეობის დღევანდელობა და წინსვლა, ფედერაციის ღვაწლი.**

**დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.**

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

ქართველი NBA-ში

# 3 სარეკორდო დაფარება



**ზაზა ფაჩულიას** "ატლანტამ" "მაიამისთან" გასვლითი შეხვედრა გამართა და 79:95 დათმო. ზაზამ მაიამიში 2-2 საჯარიმო და ორქულიანი ისროლა, რომელთაგან მხოლოდ ერთი საჯარიმო გამოიყენა. შესაბამისად 1 ქულა, 4 მოხსნა და 3 დაფარება მიითვალა. 3 დაფარება... ამდენი "ბლოკ-შოტი" ზაზას ამერიკაში გადასვლის შემდეგ არ ჰქონია. 3 დაფარება მისთვის რეკორდული მაჩვენებელია.

"ატლანტა ჰოქსმა" მაიამიში სეზონის ერთ-ერთი ყველაზე ცუდი შეხვედრა ჩაატარა. ჯორჯიელები ვერ გაუმკლავდნენ **დუეინ უეიდს**, რომლის წყალობითაც "მაიამი ჰიტმა" პირველი ტაიმი 46:27 მოიგო და მეორე ნახევარს ფორმალური ხასიათი მისცა. უეიდმა საბოლოოდ 35 ქულა მიითვალა.

სადღეისოდ "ატლანტას" 26 მოგება, 18 წაგება აქვს და აღმოსავლეთის კონფერენციაში მე-4 ადგილზეა. მას "დეტროიტ პისტონსი" მოსდევს – 24 მოგება, 19 მარცხი.

**ფაჩულიას მონაგარი**

21 წუთი: 1 ქულა, 4 მოხსნა, 3 დაფარება, 1 ჩაჭრა, 1 შეცდომა, 2 ფოლი

| I პერიოდი | |
|---|---|
| 08:23 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 07:50 | დაფარება: 1 (მაგლოირს დაუფარა) |
| 07:03 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 03:53 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |
| 01:19 | ზაზამ ჯონსი შეცვალა |

| II პერიოდი | |
|---|---|
| 11:26 | დაფარება: 2 (ქუინს დაუფარა) |
| 11:02 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 09:44 | საჯარიმოები: 2\1 (1ძ, 15:22) |
| 09:08 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 08:45 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 07:28 | შეცდომა: 1 |
| 06:34 | ზაზა უილიამსმა შეცვალა |

| III პერიოდი | |
|---|---|
| 10:55 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 09:27 | ჩაჭრა: 1 (უეიდს ჩაუჭრა) |
| 08:55 | ფოლი: 1 |
| 08:04 | დაფარება: 3 (უეიდს დაუფარა) |
| 05:41 | ფოლი: 2 |
| 05:41 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |

ვაჟა სიმონიშვილი

ევროჩელენჯი

# მარკოიშვილის მუსიკა ბრემენში



მანუჩარ მარკოიშვილი



ტაირონ ელისი

გემახსოვრებათ, რომ ევროჩელენჯის მეორე ჯგუფურ ეტაპზე სამი "ქართული" გუნდიდან ორი გავიდა – **მანუჩარ მარკოიშვილის** "კიევი" და **ტაირონ ელისის** "კახასოლი". ჯგუფში ჩარჩა **გიორგი ცინცაძისა** და **ვიქტორ სანიკიძის** "ტარტუ როკი".

დღეიდან ევროჩელენჯზე საუბრისას "კიევსა" და "კახასოლს" შევეხებით. მეორე ეტაპის პირველ ტურში მანუჩარ მარკოიშვილის თანაგუნდელებმა გასვლაზე გერმანული "ოლდენბურგი" დაამარცხეს – 86:73, ხოლო ტაირონ ელისის გუნდი შინ კვიპროსის აელ-ს დანებდა – 56:64.

"კიევის" თანაჯგუფელმა იტალიურმა "ვირტუსმა" ასევე გასვლაზე თურქულ "გალათასარაის" მოუგო – 104:91. "კახასოლის" ჯგუფში კი რუსული დერბი შედგა – "ურალ გრეიტმა" "ლოკომოტივს" 69:60 სძლია.

**ოლდენბურგი-კიევი 86:73**

**მანუჩარ მარკოიშვილი: 29 წუთი, 11 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, 3 ჩაჭრა, 1 შეცდომა, 2 ფოლი**

კიეველებს გერმანელებთან დაპირისპირება დაბედებული აქვთ: შარშან, ულების თასზე ისინი "არტლანდს" დაუპირისპირდნენ. წლეულს, ევროჩელენჯის პირველ ჯგუფურ ეტაპზე ფრანკფურტის "სკაილაინერსი" ორჯერ დაამარცხეს, ახლა კი ბრემენის "ოლდენბურგიც" "სკაილაინერსის" გზას გაუყენეს.

მატჩის საწყის სამ პერიოდში თანაბარი თამაში მიდიოდა და მეოთხე ათწუთეულს "კიევი" ოდენ ერთქულიანი უპირატესობით შეხვდა. გადამწყვეტ რაუნდში ანგარიში გერმანელთა ლეგიონერმა **ბუმტიე-ბუმტიემ** გახსნა - 61:60. ამას მოჰყვა მარკოიშვილის აცილებული სამქულიანი. მისივე ჩაჭრა და შედეგიანი გადაცემა "კიევის" ალმასვლას დაემთხვა – მომდევნო 4 წუთში უკრაინელებმა 13:0 მოიგეს და მატჩის ბედიც სირენამდე 5 წუთით ადრე გადაწყვიტეს. საბოლოო ანგარიში ზემოთ ორჯერ დავწერეთ და აქ აღარ გავიმეორებთ. მანუჩარის მონაგარის გაცნობის საშუალებაც გქონდათ, თუმცა ზემოთ არ წერია, რომ მარკოიშვილმა 5-დან 3 სამქულიანი გამოიყენა. მას მეოთხე პერიოდის წინ სამივე შორეული ტყორცნა კალათში ჰქონდა მოთავსებული, თუმცა ასპროცენტიანი შედეგი ბოლომდე ვერ შეინარჩუნა.

კიეველთა სნაიპერი **კენან ბაირამოვიჩი** გახდა, რომელმაც 20 ქულას მოუყარა თავი.

მატჩის შემდეგ "კიევის" თავკაცი **საშა ობრადოვიჩი** კმაყოფილი ჩანდა: *"დღეს დიდებული გერმანული გუნდი დავამარცხეთ. ჩემი კალათბურთელების თამაშით კმაყოფილი ვარ. ამ ტურნირზე ყველა გამარჯვება მნიშვნელოვანია, მით უმეტეს გასვლითი მოგება"*.

ვფიქრობთ, "კიევის" პრესცენტრის ხელმძღვანელის, **ალექსანდრ მუზიკას** მატჩის წინა კომენტარი უფრო დაგაინტერესებთ. გერმანელებმა მას ჰკითხეს, უკრაინელთაგან ყველაზე სახიფათო ვინ არისო? ჟურნალისტმა მარკოიშვილი და **არტურ დროზდოვი** დაასახელა: "მანუჩარ მარკოიშვილი ისეთი კალათბურთელია, რომელსაც ეულად შეუძლია თამაშის გადაწყვეტა. შეტევაში მაღალი პროცენტული სიზუსტით ისვრის და დაცვაშიც საიმედოა".

**კახასოლი-აელ 56:64**

**ტაირონ ელისი: 31 წუთი, 9 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი, 3 ფოლი, 4 შეცდომა**

"კახასოლი" ესპანეთის ჩემპიონატის აუტსაიდერია, 20 ტურის შემდეგ მხოლოდ 3 გამარჯვება აქვს. ეს კალათბურთელთა ფსიქოლოგიაზე დადებითად ნამდვილად არ მოქმედებს. არასასურველი ფსიქოლოგიური მდგომარეობა კვიპროსელებთან ევროჩელენჯის მატჩისასაც გამოვლინდა: ტაირონ ელისის თანაგუნდელებმა პირველ პერიოდში მხოლოდ 7 ქულა ჩააგდეს. შემდეგ ცოტა გაიხსნნენ და მეტოქეს გაასწრეს კიდეც, მაგრამ როცა მატჩის გადამწყვეტი ეპიზოდი დადგა, კვლავ შეიბოჭნენ და მეოთხე პერიოდი აელ-ს 15:23 დაუთმეს.

საყურადღებოა, რომ სევილიელთა რიგებში 10-ქულიანი ბარიერი ერთადერთმა კალათბურთელმა, **ტიგუერომ** გადალახა – 13 ქულა ჩააგდო. ელისმა 9 ქულა 5-დან 2 სამქულიანისა და 4-დან 3 საჯარიმოს რეალიზებით მიითვალა.

მომდევნო მატჩს, "კახასოლი" 10 თებერვალს გამართავს - პერმის "ურალ გრეიტს" ესტუმრება.

მანუჩარ მარკოიშვილის "კიევი" კი 3 თებერვალს "გალათასარაის" უმასპინძლებს.

ვაჟა სიმონიშვილი




ჰოკეი

# კალენდარის ცნობილია

როგორც იცით, ბაკურიანში სამთა ტურნირი უნდა გაიმართოს. საბოლოოდ დადგინდა მონაწილეთა ვინაობა და კალენდარი. გათამაშებაში იასპარეზებენ თბილისის ნაკრები, სომხეთის ახალგაზრდული ნაკრები და ბაკურიანის "მიმინო". ტურნირი ორ წრედ გაიმართება.

**2 თებერვალი, 19:00: ტურნირის საზეიმო გახსნა. მიმინო-სომხეთი**
**3 თებერვალი, 10:00: თბილისი-სომხეთი**
**4 თებერვალი, 10:00: მიმინო-თბილისი**
**6 თებერვალი, 10:00: მიმინო-სომხეთი**
**7 თებერვალი, 10:00: თბილისი-სომხეთი**
**8 თებერვალი, 10:00: მიმინო-თბილისი**

ტურნირი დაჯილდოების საზეიმო ცერემონიით დასრულდება.

ლევან ჯანეზაშვილი

ჩოგბურთი

# ჩიხლაძის პირველი გამარჯვება



ლადო ჩიხლაძე

საქართველოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, 23 წლის **ლადო ჩიხლაძემ** (1118) წლევანდელ სეზონში ერთეულთა თანრიგში პირველი გამარჯვება იზეიმა. ლადო ავსტრიაში ზალცბურგის საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი $) პერსონალური მიწვევით თამაშობს. პირველ წრეში ჩვენებური საკვალიფიკაციო ბადეში გამარჯვებულ ჩეხ **დავიდ სოდეკს** (1139) ხვდებოდა. ქართველმა ჩოგბურთელმა იოლად მოიგო ორთაბრძოლა და მერვედფინალში გავიდა - 6:3, 6:2. ჯერ უცნობია მისი მომავალი მეტოქის ვინაობა, სამაგიეროდ ცნობილია, თუ რომელ დუეტს დაუპირისპირდება ლადოს და ავსტრიელი **ბიორნ პროპსტის** (1333) მე-2 ნომრად განთესილი წყვილი მეოთხედფინალში. ეს ბელარუსი **ანდრეი კარაჩენიას** (613) და ჩეხი **ირჟი სკოლუდიკის** (627) გუნდია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

კარატე

# ნაკრები დაკომპლექტდა

სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტში საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციამ გასული წლის შედეგები შეაფასა და საუკეთესო ინსტრუქტორები დააჯილდოვა. ეს ჯილდოები ინსტრუქტორებს რეგიონებში კარატეს განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის გადაეცათ. ისინი სპორტის დეპარტამენტის სიგელებითა და იაპონური "კატანას" ხმლებით დაჯილდოვდნენ.

საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტმა **კახა ბასილიამ** მომავალ ტურნირებსა და გეგმებზე ისაუბრა. 30-31 იანვარს საქართველოს კადეტი და იუნიორი კარატისტები პარიზში, ევროპის ჩემპიონატზე გამოვლენ. საფრანგეთის დედაქალაქში 14 ქართველი სპორტსმენი გაემგზავრება. ნაკრების შემადგენლობა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა.

2008 წლის საუკეთესო ინსტრუქტორები არიან:

1. **ნოდარ ხაჯიშვილი** (ბათუმი)
2. **მამუკა ყურაშვილი** (ზუგდიდი)
3. **ბაჩუკი სულამანიძე** (ფოთი)
4. **მერაბ თურქია** (ლანჩხუთი)
5. **ვაჟა უნგიაძე** (ქუთაისი)
6. **ნოდარ გულალაშვილი** (კახეთი)
7. **ბესო ხუციშვილი** (თბილისი)
8. **ვაჟა კრიჭაშვილი** (თბილისი)
9. **ირაკლი ცინცაძე** (თბილისი)
10. **რაფიკ დარბინიანი** (ახალციხე)

ლევან ჯანეზაშვილი

სუმო

# გაგამარუ ძურიოში არ გადაიყვანეს

წლის პირველი ბაშო რამდენიმე დღეა, რაც დასრულდა, იმპერატორის თასის 23-გზის გამარჯვებული **ასაშორიუ** მშობლიურ მონღოლეთში გაემგზავრა, სადაც მორიგი ტრიუმფი ელის. ბაშოს შედეგები კი რეიტინგში 2 მარტს აისახება, როცა სუმოს ასოციაცია ოფიციალურად გამოაქვეყნებს კლასიფიკაციას (ბანძუკე). მანამდე მხოლოდ ვარაუდების დონეზე შეიძლება მოსალოდნელი ცვლილებების განხილვა. თუმცა ერთი საკითხი უკვე გადაწყვეტილია - ოფიციალურად გაირკვა, თუ რამდენი სუმოისტი დატოვებს რანგით მეორე დივიზიონ ძურიოს და ვინ შეცვლის დაქვეითებულებს. ეს საკითხი ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რადგან მესამე დივიზიონ მაკუშიტაში დიდებულად იასპარეზა **თეიმურაზ ჯუღელმა** (**გაგამარუ**), რომელმაც ბაშო 6-1 ბალანსით დაასრულა. გაგამარუს ძურიოს საგზურის მოპოვების მცირე შანსი ჰქონდა, თუმცა სუმოს ასოციაციამ სხვაგვარად განსაჯა...

ძურიოს დივიზიონს დატოვებენ და შესაბამისად სეკიტორის (ელიტის სუმოისტის) სტატუსს დაკარგავენ 26 წლის **ტამაასუკა** და 37 წლის **კიტაძაკურა**. მათ ნაცვლად ძურიოში გადავლენ, გამარჯვებული **ფუკუოკა** (რომელიც ამიერიდან **ოკინოუმის** სახელით იასპარეზებს) და 25 წლის **კირინოვაკა**.



გაგამარუ

გაგამარუ, სავარაუდოდ, მაკუშიტას მე-2 ან მე-3 ნომერი გახდება (ახლა მე-13-ეა). ქართველს მარტის ბაშოზე 5-2 ბალანსი ძურიოს დივიზიონში გადასასვლელად ეყოფა (შეიძლება, 4-3-იც ეყოს). მარტის ბაშო 15-29 რიცხვებში ქალაქ ოსაკაში გაიმართება. ელიტაში **კოკაი** (ლევან ცაგურია) და **ტოჩინოშინი** (ლევან გორგაძე) დაახლოებით ერთნაირ რანგში იჭიდავებენ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# კადეტები ქუთაისში ჩხუბობენ



ქუთაისის სპორტის სასახლეში მიმდინარეობს საქართველოს ღია პირველობა კადეტ მოკრივეთა შორის 11 წონით კატეგორიაში. საქართველოს 14 ქალაქის წარმომადგენლებთან ერთად, ტურნირში სომეხი მოკრივეებიც ასპარეზობენ. გამარჯვებულთაგან დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები ამ ასაკში, რომელიც ერევანში საერთაშორისო ტურნირზე გამოვა. გუშინ დასრულდა მეოთხედფინალური შეხვედრები და გაირკვა ნახევარფინალისტების ვინაობა. ყველაზე დასამახსოვრებელი ორთაბრძოლა 54კგ-ში ქუთაისელ **გიორგი გელაშვილსა** და თბილისელ **ბექა ელიზბარაშვილს** (დკდ) შორის გაიმართა. ამ წონაში თავიდანვე ორივე ფავორიტად მიიჩნეოდა, თუმცა კენჭისყრამ ისინი ფინალამდე შეახვედრა ერთმანეთს. მათი ჩხუბი, მართლაც საინტერესო და დაძაბული აღმოჩნდა. თანაც დარბაზში ქუთაისელ გულშემატკივართან ერთად, დროშებით „შეიარაღებული" დკდ-ს მხარდამჭერიც მრავლად იყო და ეს ორთაბრძოლა გამაყრუებელი ყიჟინის თანხლებით გაიმართა. თანაბარი ძალის მეტოქეთა პაექრობა საბოლოოდ თბილისელი მოკრივის გამარჯვებით დასრულდა. ელიზბარაშვილის გარდა ნახევარფინალისტები გახდნენ: 38 კგ - **ვახტანგ გაფრინდაშვილი** (ჭიათურა), **ზაურ ხურციძე** (ქუთ), **აჩიკო ტურავა** (ფოთი), **რევაზ ქარციძე** (ქუთ). 40 კგ - **გიორგი არაბული, ჯონი ტორაძე** (ორივე-ქუთ), **აშოტ საფარიანი** (სომხ), **ზაზა პაჭკორია** (ფოთი). 43კგ - **ნიკა ზივზივაძე** (ქუთ), **ლევან კაჭარავა**(ფოთი). 46 კგ - **ბადრი ჯაიანი** (აჭარა), **გიორგი გოგატიშვილი** (ფოთი), **არტურ კარაკოსიანი** (სომხ), **საველე მოზმანიანი** (აჭარა), 50 კგ - **გელოდი ტყებუჩავა** (ფოთი), **ამირან მარგველაშვილი** (ქუთ), **ტავორ სოგომანიანი** (სომხ). 54 კგ - **ანდრანიკ გლოიანი** (სომხ), **ბექა ელიზბერაშვილი** (დკდ), 59 კგ - **ვასილ წიწილაშვილი** (ფოთი), **თევდორე ყანდიაშვილი** (გურჯაანი). 57 კგ - **ალეკო ჭადაშვილი** (თბ.), **ტიგრან გევორგიანი** (სომხ.), 60 კგ - შუკვანი (დკდ), 63 კგ - **სერგო ოვჩარენკო** (დკდ), **გიგა გიგაური** (გორი), 66 კგ - **თამაზ ფართლაძე** (ტყიბული), **გიორგი დემეტრაშვილი** (დკდ).

საქართველოს კადეტ მოკრივეთა ნაკრების მწვრთნელი **კუკური შავგულიძე,** ახალგაზდა მოკრივეების გარჯით ბოლომდე კმაყოფილი არ ჩანდა. „პირველი ორი დღის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მოკრივეთა მომზადების დონე უკეთესის სურვილს ტოვებს. რამდენიმე პერსპექტიული მოკრივე კი გამოჩნდა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მეტს მოველოდი. იმედია, ნახევარფინალებსა და ფინალურ ორთაბრძოლებში მოკრივეები შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოავლენენ. აქ გამარჯვებულთაგან უნდა დაკომპლექტდეს კადეტთა ნაკრები, რომელიც ერევანში საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს", - აღნიშნა კუკური შავგულიძემ.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან



ნიკოლოზ იზორია

ინტერვიუ ნიკოლოზ იზორიასთან

# ნაკრების ლიდერი უკვე მწყობრშია

- არადა, ევროპის ჩემპიონატზე მედალს გეგმავდა
- მესამე ოლიმპიადა ბოლო არ იქნება
- მოკრივეებს ბრიტანეთის საელჩო უქმნის პრობლემებს

**საქართველოს** ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივე ნიკოლოზ იზორია პეკინის ოლიმპიადიდან დაბრუნებისთანავე ავტოავარიაში მოყვა და დღემდე იძულებით უქმობს. მძიმე ტრავმების გამო მას ევროპის ჩემპიონატი და რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი გაუცდა. როგორც შევიტყვეთ, ნიკა ვარჯიშს სულ მალე განაახლებს, ამიტომაც მასთან ინტერვიუ "ლელოს" მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს.

**- ნიკა, პირველ რიგში, ავარიის შესახებ მოგვიყევი...**

- პეკინიდან ახალი ჩამოსული ვიყავი, აბაშასთან ავარიაში რომ მოვყევი. შეიძლება ითქვას, ბეწვზე გადავრჩი. ქალა-ფუძის გაბზარვა და ფუძის შეშუპება მქონდა, რეანიმაციაში ორი კვირა ვიწექი. ღვთის მადლით, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და ჩემს ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრება. აქვე შემთხვევით ვისარგებლებ და კრივის ფედერაციასა და მის პრეზიდენტ პეტრე ცისკარიშვილს თანადგომისთვის დიდ მადლობას გადავუხდი. ჩემი მკურნალობის ხარჯები მთლიანად ფედერაციამ დაფარა. ასევე მადლობელი ვარ მწვრთნელებისა და ჩემი თანაგუნდელების, რომლებიც მორალურად მამხნევებდნენ.

**- ვარჯიშს რამდენ ხანში განაახლებ?**

- ათ დღეში უკვე სრული დატვირთვით ვივარჯიშებ. ჯერჯერობით, ფოთში ვიქნები, შემდეგ კი საქართველოს ჩემპიონატში გამოვალ. თარიღი ჯერ არ დადგენილა, ქვეყნის ეს პირველობა, სავარაუდოდ, თბილისში ჩატარდება.

**- როგორ ფიქრობ, რამდენ ხანში მიაღწევ ოპტიმალურ ფორმას?**

- ამისთვის დიდი ხანი ნამდვილად არ დამჭირდება, დაახლოებით თვე-ნახევარი საკმარისი იქნება. ყველა მნიშვნელოვანი ტურნირისთვის მზად ვიქნები, იმედია, ჯანმრთელობა აღარ შემაწუხებს და ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ღირსეულად გამოვალ.

**- პეკინში თუ შეგეძლო მეტის მიღწევა?**

- ნამდვილად შემეძლო. აზერბაიჯანელმა მოკრივემ, რომელთანაც დავმარცხდი, ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. არადა, მასთან მცირე სხვაობით წავაგე. თანაც, ახალ წონაში, 57-ში გამოვდიოდი და ადაპტაცია ვერ მოვასწარი. კრივში სამი კილოგრამიც ძალიან ბევრს ნიშნავს და 54-დან 57-ში ანაცვლება იოლი ნამდვილად არაა.

**- ევროპის ჩემპიონატზე თუ შეძლებდი უმაღლესი საფეხურებისთვის ბრძოლას?**

- აუცილებლად. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებდი და მინიმუმ ბრინჯაოს მედალს მოვიპოვებდი. ლივერპულში ბრინჯაო ისეთმა მოკრივეებმა აიღეს, დიდი უპირატესობით რომ ვუგებდი ხოლმე.

**- კახა ჟვანიასა და ლევან ღვამიჩავას ბრიტანეთის საელჩომ ვიზები არ მისცა. ხომ შეიძლებოდა, შენთვისაც უარი ეთქვათ?**

- არა, ბრიტანეთში ნამყოფი ვარ და ეს გამორიცხული იქნებოდა. ჟვანიასა და ღვამიჩავას კი საელჩოს ძველმა უარმა შეუშალა ხელი.

**- 23 წლის ხარ, მაგრამ უკვე ორ ოლიმპიადაზე გიასპარეზია. ალბათ, რაოდენობასთან ერთად, ხარისხზეც იზრუნებ.**

- რა თქმა უნდა. იდეალურ ასაკში ვარ და ჯერ ყველაფერი წინ მაქვს. ლონდონის ოლიმპიადა ჩემთვის მესამე იქნება და, იმედია, იქიდან მედლით დავბრუნდები. ისე კი არც სამ ოლიმპიადაზე ვაპირებ შეჩერებას და ცდას არ დავაკლებ, რომ ქართველი გულშემატკივრები დიდი გამარჯვებებით გავახარო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

რაგბი

ჩერჩილის თასი

# ბორჯღალოსნები ოკეანის გაღმა

**საქართველოს** მორაგბეთა ეროვნული ნაკრები, IRB-ის გადაწყვეტილებით, ტრადიციულ IRB-ის ერთა თასის გათამაშების ნაცვლად „ჩერჩილის თასზე" იასპარეზებს.

შეგახსენებთ, რომ IRB-ის ერთა თასი უკვე მესამე სეზონია, რუმინეთში თამაშდება. ჩერჩილის თასს კი კანადა და ამერიკის შეერთებული შტატები მასპინძლობენ. ტურნირი წლეულს, 6-20 ივნისს გაიმართება. საქართველოს ნაკრები A ჯგუფში მოხვდა კანადისა და ირლანდიის A ნაკრებებთან ერთად. პირველ შეხვედრას ბორჯღალოსნები 6 ივნისს კანადის ნაკრების წინააღმდეგ გამართავენ. 14 ივნისს კი, ირლანდიის A ნაკრებს დაუპირისპირდებიან. ამის შემდეგ, ჯგუფში დაკავებული ადგილის მიხედვით B ჯგუფში შესაბამისი ადგილის მქონე ნაკრებს შეხვდებიან. ამ ჯგუფში აშშ-ის ნაკრებთან ერთად არგენტინის ნაკრები და ინგლისელი საქსონები ითამაშებენ. ბოლო შეხვედრას საქართველოს ნაკრები 20 ივნისს გამართავს.

**ჩერჩილის თასი**

A ჯგუფი: კანადა, ირლანდია A, საქართველო
B ჯგუფი: აშშ, არგენტინა, ინგლისელი საქსონები

**ბესიკ ჯანგავაძე**



საქართველოს ნაკრები ამ სტადიონზე ითამაშებს

# ახალი ტურნირი ქართულ ჭიდაობაში

**საქართველოს 11-გზის ჩემპიონი და აბსოლუტური ფალავანი სიმონ მაისურაძე, რომელიც 82 წლისაა, მთელი ცხოვრება დაუღალავად იღვწის ქართული ჭიდაობის საკეთილდღეოდ.**

**უდავოდ მისასალმებელია ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაციის (პრეზიდენტი დიმიტრი დუნდუა) თაოსნობა, საფუძველი ჩაუყაროს სიმონ მაისურაძის სახელობის ტურნირს ქართულ ჭიდაობასა და მკლავჭიდში.**



**პირველი ტურნირი გაიმართება თბილისში თავდაცვის სამინისტროს სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსში (მისამართი: უნივერსიტეტის 2). შეჯიბრება დაიწყება 12 საათზე. თბილისელ სპორტსმენებთან ერთად მონაწილეობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული უძლიერესი მოჭიდავეები.**

გამოიწერეთ ლელო

ნებისმიერი ნომრიდან და მიიღეთ თქვენთვის სასურველ მისამართზე ფასნამატის გარეშე!

3 თვით - 39 ლარი
6 თვით - 78 ლარი
1 წლით - 156 ლარი

„ელვა ჯი"
www.elva.ge

tel: 38 26 73, 38 26 74
fax: 38 08 63

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-ვაშინგტონი 3:2 (ო)**

1:2, 1:0, 0:0, 1:0

გოლები: 0:1 მ. გრინი-13 (სიომინი-24, ოვეჩკინი-29), 1:1 მ. ტორნტონი-4, 1:2 ნიულანდერი-5 (ფლიშმანი-10, კ. კლარკი-5), 2:2 სავარი-47 (პ. ბერჟერონი-15), 3:2 კრეისი-18 (ვიდემანი-23, ხარა-19).

**რეინჯერსი-კაროლინა 3:2**

2:1, 0:0, 1:1

გოლები: 1:0 კორპიკოსკი-3 (გომესი-24, ნესლუნდი-16), 2:0 გომესი-10 (ნესლუნდი-17, როჟივალი-18), 2:1 ბაიდა-4 (ტ. რუუტუ-15, ბრინდამორი-20), 3:1 დუბინსკი-8 (ჟერდიოვი-28, კალინინი-9), 3:2 ტ. რუუტუ-14 (ლაროუზი-4, ბრინდამორი-21).

**კოლამბუსი-დეტროიტი 3:2 (ო)**

0:1, 2:1, 0:0, 1:0

გოლები: 0:1 მარიან ჰოსა-23 (კრონვალი-23, ზეტერბერგი-26), 1:1 ნეში-20, 1:2 ლებდა-4, 2:2 ნეში-21 (ჰუსელიუსი-20, კომოდორი-16), 3:2 ნეში-22 (კომოდორი-17, ტიუტინი-16).

**ოტავა-ნიუ ჯერსი 1:4**

0:1, 1:1, 0:2

გოლები: 0:1 ელიაში-21 (ჯონტა-28), 1:1 პიკარი-6 (ალფრედსონი-29, სპეცა-20), 1:2 ლანგენბრუნერი-9 (ზაიაცი-22, ოდუია-15), 1:3 ლანგენბრუნერი-10 (პარიზე-28, მოტო-9), 1:4 შენეპანი-2 (რუპი-4, ზაიაცი-23).

**ტამპა ბეი-მონრეალი 5:3**

1:2, 3:0, 1:1

გოლები: 1:0 მელოუნი-14 (არტიუხინი-7), 1:1 ლაპიერი-9 (მარკოვი-31, კომისარეკი-5), 1:2 კოვალიოვი-13, 2:2 ლეკავალიე-22 (სენტ ლუისი-30, კ. მერფი-4), 3:2 პროსპალი-12 (კრაიჩეკი-8), 4:2 დაუნი-3 (ემინგერი-15, სტემკოსი-13), 5:2 სენტ ლუისი-18 (ლეკავალიე-24, მეზაროში-14), 5:3 ლატენდრესი-9 (გორჯესი-10).

**ფლორიდა-ფილადელფია 3:2**

1:1, 2:0, 0:1

გოლები: 0:1 საიმონ განიე-20 (ნუბლი-13, მ. რიჩარდსი-31), 1:1 მაკები-9 (სტილმანი-13, ფროლიკი-12), 2:1 ფროლიკი-10 (ბალარდი-14, უეისი-22), 3:1 ბუტი-20 (ბალარდი-15, ფროლიკი-13), 3:2 ქირუ-1 (პოუ-2).

**მინესოტა-ტორონტო 6:1**

1:0, 4:1, 1:0

გოლები: 1:0 კლატერბეკი-8 (შეპარდი-8, ვეილო-6), 1:1 ჯ. ბლეიკი-15 (ი. უაიტი-7, მური-17), 2:1 მ-ა. ბერჟერონი-5 (ბუშარი-16, ბელანჟე-13), 3:1 ბუშარი-9 (ბელანჟე-14, მიეტინენი-21), 4:1 ბრუნეტი-12 (მ. კოივუ-34, ნოლანი-9), 5:1 ბუშარი-10 (მიეტინენი-22, კ. იონსონი-12), 6:1 ნოლანი-12 (ბრუნეტი-17, ჟიდლიცკი-17).

**დალასი-ატლანტა 2:0**

1:0, 1:0, 0:0

გოლები: 1:0 ლეპტინენი-3 (რიბეირო-29, ოტი-9), 2:0 ოტი-6 (დელეი-13, რიბეირო-30).

**კოლორადო-სან ხოსე 0:3**

0:1, 0:1, 0:1

გოლები: 0:1 მ. მიხალეკი-12 (ერპოფი-17, ქლოუ-20), 0:2 მ. მიხალეკი-13 (პაველსკი-20, რ. ბლეიკი-23), 0:3 მარლო-26 (პლიჰალი-7, ჯ. ტორნტონი-44).

**ედმონტონი-ბაფალო 2:10**

0:3, 1:4, 1:3

გოლები: 0:1 სტეფორდი-10 (ვანეკი-16), 0:2 პაეტჩი-1 (მაკარტური-10), 0:3 დ. როი-19 (პაეტჩი-3, პომინვილი-27), 0:4 ჰეხტი-6 (პომინვილი-28, დ. როი-20), 1:4 ე. კოული-12 (ნილსონი-8, გრებეშკოვი-18), 1:5 კონოლი-6 (ვანეკი-17, დ. როი-21), 1:6 ვანეკი-29 (რივე-8), 1:7 შპაჩეკი-2 (რივე-9, კოტალიკი-14), 1:8 სტეფორდი-11 (გოსტადი-8, კოტალიკი-15), 1:9 სტეფორდი-12 (კონოლი-6, მაკარტური-11), 2:9 ნილსონი-7 (სურეი-20, გილბერტი-22), 2:10 კონოლი-7 (ჰეხტი-10).

**ფინიქსი-ანაჰაიმი 3:7**

1:1, 2:4, 0:2

გოლები: 1:0 ბოედკერი-9 (იენდლი-16, ო. იოკინენი-17), 1:1 კუნიტცი-12 (გეტცლაფი-40), 1:2 პერი-15 (რაიანი-16, ს. ნიდერმაიერი-25), 2:2 დოუნი-19 (რაინპრეხტი-18, ლინდსტრიომი-3), 2:3 კუნიტცი-13, 2:4 რ. ნიდერმაიერი-11 (პრონგერი-22, პალსონი-9), 3:4 დოუნი-20 (რაინპრეხტი-19), 3:5 მოენი-3 (ს. ნიდერმაიერი-26, პალსონი-10), 3:6 რაიანი-16 (ებეტი-8, მონტადორი-10), 3:7 პერი-16 (გეტცლაფი-41).

## კალათბურთი. NBA

**კლივლენდი-საკრამენტო 117:110**

26:27, 34:29, 28:26, 29:28

კ: მ. უილიამსი (43+8 მოხსნა+11 პასი), ლ. ჯეიმსი (23+15 მოხსნა+11 პასი+3 დაფარება), პაველოვიჩი (12), პიქსონი (11+8 მოხსნა), გიბსონი (10).

ს: მარტინი (35+7 მოხსნა+7 პასი+4 ჩაჭრა), სალმონსი (21), ტომპსონი (16).

**ორლანდო-ინდიანა 135:111**

36:18, 32:30, 34:39, 33:24

ო: პიეტრუსი (27+10 მოხსნა), ლუისი (24), დ. ჰოვარდი (22+10 მოხსნა), კ. ლი (14), ჯ. ნელსონი (12+8 პასი+3 ჩაჭრა), თურქოგლუ (11+8 პასი), ბეტი (13+8 მოხსნა), ჯონსონი (10).

ი: ფორდი (23), მ. დენიელსი (16), მერფი (13+7 მოხსნა), ჰიბერტი (12), ჯეკი (10), გრეინჯერი (10).

**მემფისი-დენვერი 85:100**

25:24, 20:30, 23:21, 17:25

მ: მაიო (19), გეი (13+8 მოხსნა), ლოური (13), დ. მაილზი (13), უორიკი (9+10 მოხსნა).

დ: ბილაპსი (29+4 ჩაჭრა), სმიტი (20), კლეიზა (16+7 მოხსნა), მარტინი (12+10 მოხსნა+5 ჩაჭრა+3 დაფარება), ნენე (10+7 მოხსნა).

**იუტა-სან ანტონიო 100:107**

28:25, 21:25, 31:30, 20:27

ი: რ. ბრიუერი (23), ოქური (22+17 მოხსნა), დ. უილიამსი (19+13 პასი), მაილზი (16), მილსეპი (14+9 მოხსნა).

ს-ა: დანკანი (24+9 მოხსნა+8 პასი+3 დაფარება), ტ. პარკერი (24+6 პასი), ბონერი (20), რ. მეისონი (13), ჯინობილი (13+9 მოხსნა+4 ჩაჭრა).

**ლეიკერსი-შარლოტი 110:117 (2ო)**

16:23, 32:26, 22:27, 23:17, 10:10, 7:14

ლ: ბრაიანტი (38+8 მოხსნა), ბინუმი (24+14 მოხსნა+6 დაფარება), ფიშერი (14+6 პასი), პ. გასოლი (10+7 მოხსნა), ვუიაჩიჩი (10).

შ: დიაო (23+9 მოხსნა+9 პასი), ფელტონი (21+11 მოხსნა+9 პასი), ოკაფორი (18+11 მოხსნა), რ. ბელი (17), ჯ. უოლასი (15), შ. ბრაუნი (14).

# რეკორდული კონტრაქტი



"დეტროიტ რედ უინგზის" ხელმძღვანელობამ შეთანხმებას მიაღწია სტენლის თასის შარშანდელი გათამაშების საუკეთესო მოთამაშესთან - **ჰენრიკ ზეტერბერგთან.** კლუბსა და შვედ ლეგიონერს შორის 10-წლიანი კონტრაქტი გაფორმდება, რომლის მიხედვითაც ზეტერბერგის წლიური ხელფასი 7 მილიონ დოლარზე მეტი იქნება. საერთო ჯამში, ახალი ხელშეკრულების თანახმად, ფორვარდი დაახლოებით 71 მილიონ დოლარს მიიღებს.

28 წლის შვედი ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 2002 წლიდან თამაშობს. ამ ხნის განმავლობაში NHL-ში 399 მატჩი ჩაატარა და 374 ქულა (169 გოლი+205 შედეგიანი პასი) დააგროვა. ასე რომ, "დალას სტარზთან" რეგულარული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი საიუბილეო იქნება ზეტერბერგის კარიერაში.

ამ სეზონში 2006 წლის ოლიმპიურ ჩემპიონს 45 მატჩში 43 ქულა აქვს დაგროვილი.

## კრივი

# რკინის მაიკი არ დაბრუნდება

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში ამერიკული კრივის ლეგენდების - **მაიკ ტაისონისა და ევანდერ ჰოლიფილდის** ბრძოლა იგეგმება. არაბები ამ შეხვედრის სანაცვლოდ თითოეულ მოკრივეს 34-34 მილიონ დოლარს ჰპირდებიან. ბრძოლა ღია ცის ქვეშ, 25 ათასი მაყურებლის თანდასწრებით უნდა გაიმართოს. იმასაც კი იტყობინებოდნენ, რომ ამ ორთაბრძოლის შესახებ შეთანხმება უკვე მიღწეულია და მის გამართვას წინ ველარაფერი აღუდგება.

მაგრამ გუშინ, მაიკ ტაისონი ჟურნალისტებს შეხვდა და ამ ინფორმაციას უაზრო ჭორი უწოდა: "ევანდერ ჰოლიფილდთან ბრძოლის შესახებ ინფორმაცია ჭორია და სიმართლესთან არანაირი კავშირი არ აქვს. გასულ კვირას წავიკითხე, თითქოს ვილაც ინგლისელ ქალზე ვაპირებ დაქორწინებას, ახლა კი ჰოლიფილდთან შეხვედრის შესახებ გაჩნდა ინფორმაცია. სინამდვილეში, არ ვაპირებ რინგზე დაბრუნებას. ამჟამად მხოლოდ დოკუმენტური ფილმის - "ტაისონის" გამოშვებით ვარ დაკავებული. სავარაუდოდ, მისი პრემიერა 24 აპრილს გაიმართება. გარდა ამისა, ვმუშაობ წიგნსა და კომპიუტერულ თამაშზე".

სხვათა შორის, აქ წარმოდგენილი სურათი რამდენიმე დღის წინ არის გადაღებული და მაიკის შემხედვარე, მართლაც ძნელი წარმოსადგენია, რომ მან რინგზე გასვლა შეძლოს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



## ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები

**II ეტაპი**

**I ჯგუფი**

| | |
|---|---|
| უნგრეთი-ს. კორეა | 28:27 |
| სლოვაკეთი-შვედეთი | 26:27 |
| საფრანგეთი-ხორვატია | 19:22 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 5 | 5 | 0 | 0 | 137-118 | 10 |
| 2. საფრანგეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 139-112 | 8 |
| 3. უნგრეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 127-135 | 5 |
| 4. შვედეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 135-146 | 4 |
| 5. სლოვაკეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 124-137 | 3 |
| 6. ს. კორეა | 5 | 0 | 0 | 5 | 119-139 | 0 |

**II ჯგუფი**

| | |
|---|---|
| პოლონეთი-ნორვეგია | 31:30 |
| მაკედონია-სერბეთი | 28:32 |
| გერმანია-დანია | 25:27 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 5 | 4 | 0 | 1 | 156-145 | 8 |
| 2. პოლონეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 150-141 | 6 |
| 3. გერმანია | 5 | 2 | 1 | 2 | 147-133 | 5 |
| 4. სერბეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 153-161 | 5 |
| 5. ნორვეგია | 5 | 2 | 0 | 3 | 138-141 | 4 |
| 6. მაკედონია | 5 | 1 | 0 | 4 | 132-155 | 2 |

**1/2 ფინალი**

**30 იანვარი**

ხორვატია-პოლონეთი
დანია-საფრანგეთი

**ფინალი**

**1 თებერვალი**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| ჩელსი-მიდლსბრო | 2:0 |
| მანჩესტერ სიტი-ნიუკასლი | 2:1 |
| ვიგანი-ლივერპული | 1:1 |
| ბლეკბერნი-ბოლტონი | 2:2 |
| ევერტონი-არსენალი | 1:1 |
| ვესტ ჰემი-ჰალი | 2:0 |

**ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ქოვენთრი-კარდიფი | 0:2 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| ჩესტერფილდი-ექსეტერი | 2:1 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| მილანი-ჯენოა | 1:1 |
| რომა-პალერმო | 2:1 |
| ატალანტა-ბოლონია | 0:1 |
| კალიარი-სიენა | 1:0 |
| კატანია-ინტერი | 0:2 |
| კიევო-ლეჩე | 1:1 |
| ფიორენტინა-ნაპოლი | 2:1 |
| სამპდორია-ლაციო | 3:1 |
| ტორინო-რეჯინა | 0:0 |
| უდინეზე-იუვენტუსი | 2:1 |

**ესპანეთის თასი**

**1/4 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| ბეტისი-მალიორკა | 0:0 (0:1) |
| სპორტინგი-ბილბაო | 1:2 (0:0) |

**გერმანიის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| ლევერკუზენი-კოტბუსი | 3:1 |
| დორტმუნდი-ვერდერი | 1:2 |
| კარლსრუე-ვეენი | 0:1 |
| ვოლფსბურგი-ჰანზა | 5:1 |

**საფრანგეთის თასი**

| | |
|---|---|
| ლიონი-მარსელი | 1:0 |

**ჰოლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| დენ ჰააგი-ტვენტე | 1:5 |

**პორტუგალიის თასი**

| | |
|---|---|
| ფერეირა-ნავალი | 5:3 |
| პორტუ-ლეიქსოეში | 1:0 |

**შოტლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| ინვერური-მოზერველი | გადაიდო |

**შოტლანდია**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| სელტიკი-დანდი იუნ. | 0:0, პენ. 11:10 |

**საბერძნეთის თასი**

| | |
|---|---|
| პანიონიოსი-ვერია | 2:0 |
| არისი-პაოკ | 0:0, პენ. 8:9 |

**თურქეთის თასი**

| | |
|---|---|
| ანთალია-ბეშიქთაში | 0:2 |
| ფენერბაჰჩე-ბურსა | 1:0 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ციბონა-მონტეპასკი | 88:81 |
| ტაუგრესი-პროკომი | 99:77 |
| რეალი-ბარსელონა | 85:83 |

**ევროჩელენჯი**

| | |
|---|---|
| ტელეკომი-შოლე | 68:71 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ბარისი-მეტალურგი (ნ) | 3:1 |
| ნეფტეხიმიკი-ს. იულაევი | 2:3 |
| ლადა-სიბირი | 3:2 |
| ხიმიკი-ამური | 5:2 |
| აკ ბარსი-ტრაქტორი | 6:2 |
| ლოკომოტივი-ატლანტი | 5:1 |
| სევერსტალი-ტორპედო | 3:4 |
| სკა-მვდ | 2:2 |
| დინამო (რ)-სპარტაკი | 4:1 |

**ჩემპიონთა ლიგა**

**ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| ციურიხი-მეტალურგი (მ) | 5:0 (2:2) |

## TV პროგრამა

**29 იანვარი. ხუთშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:30 ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-ლივერპული.
09:20 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მიდლსბრო.
11:10 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-არსენალი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ბრედა.
15:05 ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-ლივერპული.
16:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:00 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-არსენალი.
18:45 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მიდლსბრო.
20:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:50 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
20:55 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
21:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:55 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. სევილია-ვალენსია (LIVE).
00:55 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
01:25 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
02:20 ლიბერტადორესის თასი. საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი. პალმეირასი (ბრაზილია)-რეალ პოტოსი (ბოლივია) (LIVE).
04:30 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-ესპანიოლი.
06:20 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. სევილია-ვალენსია.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:50 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. ახალი ზელანდია.
09:50 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
09:55 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
10:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-ნიუ ჯერსი.
12:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-ლივერპული.
14:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-ატლეტიკო.
15:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-არსენალი.
17:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
17:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ჯენოა.
19:25 კალათბურთი.
19:35 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
20:05 სპორტის სამყარო.
20:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. TOP16. მიმოხილვა.
21:05 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:15 ფეხბურთი. FootBrazil.
21:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:45 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. TOP16. რომა-უნიკახა (LIVE).
01:30 ლიბერტადორესის თასი. საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი. პალმეირასი (ბრაზილია)-რეალ პოტოსი (ბოლივია) (LIVE).
03:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ასტონ ვილა.
05:10 წყალში ხტომა.
05:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. სენტ ლუისი-ოტავა (LIVE).

**EUROSPORT**

10:15 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. X დღე.
12:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. კაცები (LIVE).
15:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. ქალები.
18:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. კაცები.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 მულტისპორტი.
21:30 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. საჩვენებელი გამოსვლები. ჰელსინკი. ფინეთი.
23:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჩემპიონთა ლიგა. უკრაინა.
00:00 პროფესიული კრივი. ნახევრადსაშუალო წონა. ლ. მირანდა (მექსიკა)-ო. კრუზი (პუერტო რიკო). აშშ.
02:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სეზონის წინ.
02:30 ბრძოლა წესების გარეშე.
04:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სეზონის წინ.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მარსელი. საფრანგეთი.
14:00 ახალი ამბები.
14:30 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. დინამო (რუსეთი)-პანელინიოსი (საბერძნეთი).
15:30 ახალი ამბები.
16:00 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. ჩინეთი.
16:30 ახალი ამბები.
17:00 რაკროსი. ეროვნული ლიგა. რეგულარული სეზონი.
18:30 ციგურებით სირბილი. კანადა.
19:45 ახალი ამბები.
20:00 ბილიარდი.
21:00 ახალი ამბები.
21:15 ახალი ამბები ავსტრალიის ღია პირველობიდან. დღის შედეგები.
21:30 სნოუბორდი. შვეიცარია.
22:00 ახალი ამბები.
22:15 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ფინალი. ს. აფრიკა (LIVE).
00:15 ბილიარდი.
00:15 ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. ავსტრია.
02:15 ახალი ამბები ავსტრალიის ღია პირველობიდან. დღის შედეგები.
02:30 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# ესპანეთი-საფრანგეთი 2:0

ავსტრალიის ღია პირველობაზე მეოთხედფინალური ეტაპი დასრულდა. მამაკაცებს შორის გუშინდელი მატჩები ესპანეთისა და საფრანგეთის დაპირისპირებად გადაიქცა.

პირველ შეხვედრაში ესპანელმა **ფერნანდო ვერდასკომ** შარშანდელ ფინალისტ **ჟო-ვილფრიდ ცონგასთან** მეორე სეტის შუამდე თითქმის უნაკლო ჩოგბურთი ითამაშა. ტურნირის აღმოჩენად მიჩნეული ვერდასკო დამაჯერებლად ინარჩუნებდა საკუთარ მოწოდებას, ტაი-ბრეიკზე კი ბრწყინვალედ გაისარჯა და 7:2 მოიგო. მეორე სეტის შუაში კი ესპანელმა ბრეიკ-პოინტზე ასპროცენტიანი შანსი ვერ გამოიყენა და ცონგამ იოლად გაათანაბრა სეტებს შორის ანგარიში. თითქოს ფრანგმა მატჩში გარდატეხა შეიტანა, მაგრამ ცონგამ მოულოდნელად საკუთარი მოწოდებებისას შეცდომების დაშვება დაიწყო და ვერდასკომ მატჩში პირველი ბრეიკი გააკეთა. დევისის თასის ფინალის გმირს მეორე სუნთქვა გაეხსნა. მან პარტია დამაჯერებლად მიიყვანა გამარჯვებამდე, შემდეგ კი მატჩიც უპრობლემოდ მოიგო და ნახევარფინალში გავიდა. ეს შედეგი არავის გაკვირვებია, რადგან ყველას ახსოვდა წინა წრეში ვერდასკოს ბრწყინვალე გამარჯვება ტურნირის მთავარ ფავორიტ **ენდი მიურეისთან** მატჩში.

ფერნანდოს მეტოქე კიდევ ერთ ფრანგულ-ესპანურ დაპირისპირებაში ირკვეოდა. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა ჟილ სიმონის** უამრავი შეცდომის წყალობით თავიდანვე წაიყვანა სეტებს შორის ანგარიში. რაფა, რომელიც წინა მატჩებში ძალიან აქტიურად მოქმედებდა, ამჯერად ზედმეტად ფრთხილი იყო - როგორც ჩანს, კარგად ახსოვდა მადრიდის შარშანდელ მასტერსზე სიმონთან ნაგება.

მეორე პარტიის პირველივე გეიმში ესპანელმა ბრეიკი გააკეთა და ისე ჩანდა, რომ ბრძოლა დასრულებული იყო. მაგრამ სიმონმა მოუმატა, ინიციატივა მოიპოვა და მალე საპასუხო ბრეიკი მიითვალა. ფრანგი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლა და მე-10 გეიმში, რაფას მოწოდებაზე სეტპოინტიც მიილო. ჟილმა მისი გამოყენება ვერ შეძლო და განაწყენებულმა ფრანგმა მომდევნო გეიმში ნულზე წააგო თავისი მოწოდება. ნადალმა საჩუქარი მიიღო და პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა - 7:5.

მესამე პარტიის სცენარი წინას ჰგავდა. ისევ პირველი ბრეიკი ნადალმა გააკეთა, სიმონმა გაათანაბრა ანგარიში და შეტევებში ცდილობდა უპირატესობის მოპოვებას. მაგრამ კვლავ გადამწყვეტ მომენტებში, ესპანელმა ფენომენალური თამაში აჩვენა და მე-11 გეიმში ბრეიკი გაახერხა. საჭირო მომენტებში თამაშის მომატების უნარი - ჩემპიონებისთვის დამახასიათებელი თვისებაა. სწორედ ამიტომ ატარებს ნადალი პირველი ჩოგანის სტატუსს და ამის ხარჯზე მიუახლოვდა ავსტრალიის ღია პირველობის პირველ ტიტულს. სხვათა შორის, შეგახსენებთ, რომ რაფა მელბურნში ერთადერთი ჩოგბურთელია, ვისაც ჯერ სეტი არ წაუგია.

■ ■ ■

ქალთა შორის მეოთხედფინალებში **სერენა უილიამსმა** იყოჩაღა და ავსტრალიის ღია პირველობა რუსეთის ჩემპიონატად არ გადააქცია. ამერიკელმა ურთულესი მატჩი მოუგო რუს **სვეტლანა კუზნეცოვას**. შეხვედრა ისეთ აუტანელ სიცხეში მიმდინარეობდა, რომ ორგანიზატორებმა მატჩი შეწყვიტეს და ცენტრალური კორტი მოძრავი სახურავით გადახურეს. ამ მომენტისთვის რუსს პირველი სეტი მოგებული ჰქონდა - 7:5. ნახევარსაათიანმა პაუზამ უკეთესად სერენაზე იმოქმედა. უმცროსი უილიამსი დამშვიდდა და იგივე ანგარიშით - 7:5 მოუგო კუზნეცოვას. მესამე პარტიაში კი რუსს ძალა აღარ ეყო და თითქმის უბრძოლველად წააგო - 1:6.

რაც შეეხება ვენუს უილიამსის მძლეველ **კარლა სუარეს-ნავაროს**, მან მორიგი გმირობის ჩადენა ვერ შეძლო. ესპანელმა ვერაფერი დაუპირისპირა ბრწყინვალე ფორმაში მყოფ **ელენა დემენტიევას** და 2:6, 2:6 დამარცხდა. რუსმა ამ სეზონში ზედიზედ მე-14(!) შეხვედრა მოიგო და ამ მომენტისთვის დამსახურებულად ითვლება ავსტრალიის ღიას ნომერ პირველ ფავორიტად. ნახევარფინალში დემენტიევა სერენა უილიამსს შეხვდება, რომელსაც ერთხელ უკვე მოუგო ამ სეზონში - ბრისბენის ტურნირზე ორ სეტში გაანადგურა ამერიკელი.

მეოთხედფინალური ეტაპის დასრულების შემდეგ გაირკვა, რომ ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ, სერბი **ელენა იანკოვიჩი** ნებისმიერ შემთხვევაში დაკარგავს რეიტინგში პირველ ადგილს.

WTA-ის ოფიციალური ვებგვერდის ექსპერტებმა გაარკვიეს, რომ იანკოვიჩი მესამე პოზიციაზე დაეშვება, ხოლო თუ ვინ გახდება პირველი ნომერი, აქ მოვლენათა განვითარების ოთხი სავარაუდო ვარიანტი არსებობს.

**უილიამსი ფინალში ითამაშებს საფინასთან:** ჩემპიონი პირველი ნომერი გახდება, ფინალისტი - მეორე, დემენტიევა - მეოთხე;

**უილიამსი ფინალში ითამაშებს ზვონარევასთან:** უილიამსი - პირველი ნომერი, საფინა - მეორე, დემენტიევა - მეოთხე;

**დემენტიევა ფინალში ითამაშებს საფინასთან:** ჩემპიონი - პირველი ნომერი, ფინალისტი - მეორე, უილიამსი - მეოთხე;

**დემენტიევა ფინალში ითამაშებს ზვონარევასთან:** დემენტიევა - პირველი ნომერი, საფინა - მეორე, უილიამსი - მეოთხე.



### კაცები

#### 1/4 ფინალი

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-ჟილ სიმონი (საფ, 6) 6:2, 7:5, 7:5; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 14)**-ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) 7:6 (2), 3:6, 6:3, 6:2.

#### 1/2 ფინალში ხვდებიან

რაფაელ ნადალი (ესპ, 1)-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 14); ენდი როდიკი (აშშ, 7)-როჯერ ფედერერი (შვეიც, 2).

### ქალები

#### 1/4 ფინალი

**ელენა დემენტიევა (რუს, 4)**-კარლა სუარეს ნავარო (ესპ) 6:2, 6:2; **სერენა უილიამსი (აშშ, 2)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 8) 5:7, 7:5, 6:1.

#### 1/2 ფინალში ხვდებიან

ელენა დემენტიევა (რუს, 4)-სერენა უილიამსი (აშშ, 2); ვერა ზვონარევა (რუს, 7)-დინარა საფინა (რუს, 3).

# არანორმალური მამიკო





სერბული წარმოშობის ავსტრალიელმა **ელენა დოკიჩმა** 2009 წლის სეზონში "დიდი სლემის" პირველ ტურნირზე პატარა სასწაული მოახდინა - თითქმის ორი წლის უთამაშებელმა ჩოგბურთელმა ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალში გააღწია და იქ კინაღამ მსოფლიოს მესამე ჩოგან **დინარა საფინას** მოუგო.

რუს ჩოგბურთელთან მატჩის წინ, დოკიჩმა ავსტრალიურ პრესას თავისი ოჯახური საიდუმლოებები გაანდო, კერძოდ, საკუთარ მამასთან ურთიერთობების შესახებ ილაპარაკა.

"არანორმალური მამიკო" - სწორედ ასეთი სახელი შეარქვა პრესამ ჯმუხ და დიდწვერა სერბს, რომელმაც საჩოგბურთო სამყაროს ჭირვეული და ფეთქებადი ხასიათით დაამახსოვრა თავი.

ასე მაგალითად, თავის დროზე, **დამირ დოკიჩმა** ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორები წილისყრის გაყალბებაში დაადანაშაულა; ამერიკის ღია ჩემპიონატის მსვლელობისას ტრიბუნიდან გააძევეს იმის გამო, რომ ნაყინის გამყიდველს ეჩხუბა; უიმბლდონის ტურნირის დროს კი იმით გამოიჩინა თავი, რომ ერთ-ერთ ჟურნალისტს მობილური ტელეფონი დაუმსხვრია.

"არანორმალური მამიკო" თავის ქალიშვილს ყოველ წამს აკონტროლებდა. დამირი ელენას მიმართაც არ ყოფილა მაინცდამაინც კეთილად განწყობილი. უფროსი დოკიჩი ხშირად სცემდა გოგონას, WTA-ის ტურში ყველა გადაიმტერა და ელენას აიძულებდა მუდმივად ეცვალა მწვრთნელები. 2001 წელს, მან ქალიშვილს დააძალა, რომ ის იუგოსლავიის სახელით გამოსულიყო ტურნირებზე, რის შემდეგაც ელენას შედეგები მკვეთრად გაუარესდა. ჩოგბურთელი მუდმივად გარბოდა სახლიდან, შემდეგ ბრუნდებოდა, ისევ გარბოდა...

ქალთა ჩოგბურთში მრავლად არიან "არანორმალური მამიკოები", რომლებიც თავიანთ შვილებს პრაქტიკულად მონებად თვლიან. მაგრამ ელენა დოკიჩის შემთხვევაში, მამობრივმა სიყვარულმა კლინიკური ფორმები მიიღო.

ელენასთვის ბოლო წვეთი იყო ინტერვიუ, რომელშიც დამირმა ქალიშვილის ბოიფრენდი - ბრაზილიელი ავტომრბოლი **ენრიკე ბერნოლდი** "იდიოტად" და "კრეტინად" მოიხსენია. ამის შემდეგ, ელენამ საბოლოოდ მიატოვა მშობლიური სახლი და გამოაცხადა, რომ აღარ სურს საკუთარი მამის ხილვა. საპასუხოდ, დამირმა ქალიშვილი უშვერი სიტყვებით გამოლანძღა. 2006 წელს დოკიჩმა ისევ გამოთქვა ავსტრალიის სახელით გამოსვლის სურვილი. გარდა ამისა, ოფიციალურად განყვიტა ურთიერთობა მამასთან და ამისთვის ერთი მილიონი დოლარი გადაიხადა.

ბოლო დრომდე, დამირ დოკიჩის შესახებ არაფერი ისმოდა, მაგრამ, როგორც კი მისი ქალიშვილის კარიერა ისევ ზემოთ წავიდა და ელენამ სოლიდური ჰონორარების მიღება დაიწყო, "არანორმალურმა მამიკომ" თავი წამოყო და ავსტრალიის ერთ-ერთ ტელეარხზე განაცხადა, რომ სურს ქალიშვილთან ურთიერთობის აღდგენა. ელენამ ეს ამბავი **ალისა კლეიბანოვასთან** მერვედფინალის მოგების შემდეგ, ჟურნალისტისგან პრესკონფერენციაზე მოისმინა და მამასთან შერიგებაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

*"მამაჩემთან არანაირი კონტაქტი არ მაქვს,* - მოჰყავს დოკიჩის სიტყვები სააგენტო "როიტერს". - *ამის შესახებ პირველად მესმის და რაც არ უნდა მოხდეს, უკვე ვთქვი, რომ მასთან ყველანაირი ურთიერთობა დასრულებულია. სამუდამოდ".*

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ელენა ყოველთვის იცავდა დამირ დოკიჩს ჟურნალისტების შემოტევებისგან. ის მამის საქციელს ზედმეტი ემოციურობით ხსნიდა. მაგრამ ახლა მის შესახებ არაფრის გაგონება არ სურს.

ფორმულა 1

# კრიზისი გრძელდება

მსოფლიოს ფინანსური კრიზისის გამო, ფორმულა 1-ის დატოვებას აპირებს "რენოს" სატიტულო სპონსორი - ING. 2008 წლის შედეგების მიხედვით, ამ იურიდიული კომპანიის ზარალმა დაახლოებით ერთი მილიარდი ევრო შეადგინა. ამის გამო, ფირმის ხელმძღვანელობამ "არაპროფილური" დანახარჯების მკვეთრად შემცირება გადაწყვიტა.

*"2009 წლის დასაწყისში მოგების მკვეთრი ვარდნის გამო, მოგვიწევს ხარჯების დაახლოებით 1 მილიარდი ევროთი შემცირება. გარდა ამისა, 1.1 მილიარდი ევროს ეკონომიას კომპანიის 7 ათასი თანამშრომლის განთავისუფლების შემდეგ მოვახერხებთ",* - წერია ING-ის ოფიციალურ განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ წელს ING ავსტრალიის, ბელგიის, უნგრეთისა და თურქეთის ეტაპების ეკონომიკური პარტნიორი უნდა გამხდარიყო, მაგრამ ფირმისგან ამ მხრივაც არ იქნება დახმარება, რის გამოც ბელგიის გრანპრის ორგანიზატორები 2009 წელს დიდ ზარალს ელიან.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



გამოვიდა ახალი ნომერი